აფხაზური ვარდები და რუსეთის ახალი მზაკვრული ფანდები A8

დედაქალაქის მთავარი პრობლემები და მათი გადაწყვეტა A8

გულახდილად B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 16 ოქტომბერი, 2004 წელი. №246 (795)

ფასი 50 თეთრი

### ეკონომიკა

## ბიზნესმენები წყლის ტარიფის ძველ ნიშნულზე დაბრუნებას მოითხოვენ



"არ გადავიხდით წყლის გადასახადს, სანამ იგი ძველ ნიშნულს არ დაუბრუნდება. ნუ შექმნით დაძაბულობას ხელოვნურად," - აცხადებენ ბიზნესმენები.

A4

### უცხოეთი

## რუსეთში წვრილმანი პარტიებისათვის ადგილი აღარ მოიძებნება



კრემლს წვრილმანი პარტიების გაუქმება საკუთარი ძალაუფლების განსამტკიცებლად სჭირდება

A5

### საზოგადოება

## ერიდეთ ფალსიფიცირებულ პრეპარატებს



სამინისტრომ ბოლოს რეიდი ფარმაცევტულ ბაზარზე 2002 წელს ჩაატარა და დაადგინა, რომ პრეპარატების 60 პროცენტი ნორმებს არ აკმაყოფილებს.

A6

### სამართალი

## ყოფილი სარდალი სამშობლოს ღალატში ვერ დაადანაშაულეს

A7

იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

# პარლამენტში ბიუჯეტის პრიორიტეტსაც აკრიტიკებენ



*გივი თარგამაძეს რჩება შთაბეჭდილება, რომ ნოღაიდელი და თავდაცვის სამინისტრო არასათანადოდ თანამშრომლობენ.*

იური ლობოდინის ფოტო

გიორგი ასანიშვილი

*მთავრობის მადლიერი დეპუტატები პარლამენტში ძნელად თუ მოიძებნებიან. აღმასრულებელ ხელისუფლებას ის კანონმდებლებიც კი აკრიტიკებენ, ვისაც საამისოდ თითქოს საფუძველი არ გააჩნია და მინისტრთა კაბინეტს მხოლოდ მადლობებს უნდა უხდიდეს.*

2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად არის მიჩნეული და ეს სფერო, მიმდინარე წელთან შედარებით, დამატებით 30 მილიონი ლარითაა დაფინანსებული. მიუხედავად ამისა, მთავრობის მიმართ საყვედურები თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე მაინც გაისმა.

**"თავდაცვა პრიორიტეტულად გამოცხადდა და მისთვის ნამატი თანხაც გამოიყო, მაგრამ შემდგომში ეს თანხა მეტისმეტად შეიკვეცა. მრჩება შთაბეჭდილება, რომ თავდაცვისა და ფინანსთა სამინისტროები ერთმანეთთან სათანადოდ ვერ თანამშრომლობენ,"** - აღმასრულებელი ხელისუფლების ერთდროულად ორი სტრუქტურის მიმართ აქვს პრეტენზიები კომიტეტის თავმჯდომარეს გივი თარგამაძეს.

კიდევ უფრო კრიტიკულია ოპოზიცია. **"ერთია ზეპირსიტყვიერი, ხმამაღალი განცხადებები საბიუჯეტო პრიორიტეტებთან დაკავშირებით და მეორე - მისი რეალიზება. როგორც ჩანს, თავდაცვითი უწყებების დაფინანსების პრიორიტეტულობა მხოლოდ პოპულისტური განაცხადია და ის რეალობით არ დასტურდება,"** - ამბობს მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერი დავით გამყრელიძე.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ხაჯიმბას მხარდაჭერამ ბასაევი და პუტინი მოკავშირეებად აქცია

### თბილისი კი მოსკოვისგან შეიარაღებული ფორმირებების გაყვანის უზრუნველყოფას მოითხოვს

ნინო გომართელი

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ჯერ კიდევ მოქმედი პრეზიდენტის ვლადისლავ არძინბას წინასწარმეტყველება, რომ რეგიონში "მცოცავი გადატრიალების" საშიშროებაა, თანდათანობით მართლდება. ისედაც დაძაბულ რეალობაში, კავკასიის ხალხთა კონფედერაციის სახით "მესამე ძალა" გამოჩნდა, თანაც რუსეთის რჩეულის - რაულ ხაჯიმბას მხარდასაჭერად.

სოხუმში შექმნილი ვითარება სხვა თუ არაფერს, სასაცილო ელფერს მაინც ნამდვილად იღებს. შამილ ბასაევის "ძმები", რომლებიც ჩეჩნეთში კრემლის და პრეზიდენტ პუტინის წყევლასა თუ მასთან ომის გეგმების შემუშავებაში ათენებ-აღამებენ, თანაც რუსეთის ფედერაციის მიერ ტერორისტული აქტების ჩადენისთვის იძებნებიან, საქართველოს ტერიტორიაზე, აფხაზეთში, რაულ ხაჯიმბას სამსახურში, რუსეთის სპეცრაზმების მხარდამხარ დგანან.

როგორც რუსული გაზეთი "Независимая газета" იტყობინება, სოხუმში მათი ყოფნის შესახებ ცნობა გაზეთის კორესპონდენტს სატელეფონო ინტერვიუში არძინბას პრეს-მდივანმა როინ აგრბამ დაუდასტურა.

**"სოხუმში უკვე იმყოფება კავკასიის ხალხთა კონფედერაციის ხელმძღვანელობა, ასევე ბევრი მოხალისე ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებიდან,"** - თქვა მან, თუმცა მოხალისეთა რაოდენობასა და მათი რუსეთიდან აფხაზეთში გადაადგილების მარშრუტზე საუბარი მიზანშეწონილად არ ჩათვალა.

კონფედერაციის შტაბის ყოფილი უფროსი ამინ ზეხოვი მიიჩნევს, რომ ჩრდილოეთ კავკასიის მოხალისეები ვერ დარჩებიან გულგრილნი აფხაზეთში შექმნილი ვითარების გამო. მისი განცხადებით, იქ ამჟამად იმყოფებიან ყარაჩაი-ჩერქეზეთის, ყაბარდო-ბალყარეთისა და ადიღეს ყოფილ მოხალისეთა მოძრაობის წარმომადგენლები და ისინი არასდროს დაუჭერენ მხარს სერგეი ბაღაფშს.

გაგრძელება A2 გვერდზე

# სამხედრო ბეგარას ჯიბეში იდებენ

### თანამდებობის პირების შვილები ისევ არ მიდიან ჯარში

*"არანაირი დანდობა არ იქნება იმ პირების მიმართ, რომლებმაც სამხედრო ბეგარა ჯიბეში ჩაიდეს... ჩვენ გვაქვს ინფორმაცია სხვადასხვა რაიონებზე. ეს ინფორმაცია პროკურატურას გადავეცით... ბევრ თანამდებობის პირს შეუძლია, წინაწარ დაწეროს განცხადება," - სახელმწიფო მინისტრი ზურაბ მელიქიშვილი გუშინდელ თათბირზე განსაკუთრებული სიმკაცრით და მუქარით გამოირჩეოდა. მისი ინფორმაციით, ორი რაიონის სამხედრო განყოფილების გამგის საქმე უკვე პროკურატურაშია გადაცემული. მელიქიშვილის მუქარაში ივარაუდებოდა, რომ ზოგიერთებსაც არ მოელით უკეთესი დღე.*

ვერიკო თევზაძე

სახელმწიფო მინისტრის გუშინდელი თათბირი საშემოდგომო გაწვევას მიეძღვნა. თათბირში, ძირთადად, მონაწილეობდნენ რეგიონებში პრეზიდენტის რწმუნებულები, ქალაქების და რაიონების გამგებლები და გამგეობების წარმომადგენლები.

გუშინდელ თათბირზე სახელმწიფო მინისტრმა ფინანსური პოლიციის უფროსს დავით კეზერაშვილს დაავალა, რომ ფინანსურმა პოლიციამ რაიონის სამხედრო განყოფილებებში ყველა საოქმო წიგნი შეამოწმოს და გამწვევი კომისიების საქმიანობა დეტალურად შეისწავლოს.

პარლამენტის თავდაცვის და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის დავით კირკიტაძის განცხადებით, ადამიანთა გარკვეულმა ჯგუფმა ხელი შეუშალა იმ საქმეს, რასაც რეზერვისტთა მომზადება ჰქვია. **"უახლოეს დღეებში მოგაწვდით ამ ადამიანთა სიას და კონკრეტულ მამხილებელ ფაქტებს,"** - განაცხადა გუშინ კირკიტაძემ.

საშემოდგომო გაწვევა 2004 წლის 15 ოქტომბერს დაიწყება და 25 დეკემბრამდე გასტანს. შემოდგომაზე გასაწვევ ჯარისკაცთა რაოდენობა 1950 კაცით განისაზღვრა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ჩვენებური ამბავი

სოფიო თოდუა

*როცა სიკვდილზე ვფიქრობ (ასე კი ხშირად ხდება), ჯემალ ქარჩხაძის სტრიქონები მაგონდება. სიცოცხლის ბოლო წუთები სხვებსაც აუწერიათ, იქნებ უკეთაც, მაგრამ მე, რატომღაც, ასეთ სიკვდილს ვინატრებდი: "სულ ახლო რომ მივიდა, სიკვდილი ერთბაშად შედგა და გაშეშდა. ახლა სამყაროში მხოლოდ მისი ღიმილი მოძრაობდა. ღიმილი უსხეულო და უხილავ სხივებად იღვრებოდა ზებულონის ირგვლივ და ზებულონს, რომელიც ნელ-ნელა იხსნებოდა მასში, ისღა უკვირდა, რომ სიკვდილს ცისფერი წამოსასხამი ესხა, ცისფერი პირბადე ეფარა და ცისფერი პირბადის უკან თეთრ სახეზე სათნოების უცხო ნათელი გადასდიოდა. ამის დანახვაზე გაიფიქრა, ეგებ ყველას თავისი საკუთარი სიკვდილი ჰყავს და, ჟამი რომ დაჰკრავს, ის საკუთარი სიკვდილი ეწვევაო." ვინ იცის, ეს ჟამი როდის დაჰკრავს და მართლა ეწვევა თუ არა ყველას საკუთარი სიკვდილი, მაგრამ ყველა ისე კი გლოვობს ახლობელს, როგორც მას სწორად მიაჩნია. აქეთ ჩვენებური შეცხადება, პანაშვიდი, დასაფლავება, ქელეხი, სასაფლაო, იქით - დიდედა-პაპები, მოახლოებული სიკვდილის წინ დასამარხავ ფულზე რომ წუწუნებდნენ. ერთხელაც გაიღვიძეს ბებია-ბაბუებმა და აღმოაჩინეს: სიმწრით შეკოწიწებული ფული, ადრე მუთაქებში რომ ინახავდნენ და შვილიშვილების დაჟინებული თხოვნით შემნახველ სალაროებს ანდეს, ფაფუუ, სადღაც გამქრალიყო... იქიდან მოყოლებული, როცა საკუთარ სიკვდილზე ვფიქრობ, საკუთარი დასაფლავებაც მადარდებს.*

იხილეთ A3 გვერდზე




მარიკა ამურველაშვილის ფოტო

### ამინდი

| | 16/10 | 17/10 |
|---|---|---|
| თბილისი | 19 | 22 |
| ქუთაისი | 23 | 26 |
| ბათუმი | 23 | 26 |
| სოხუმი | 21 | 23 |
| ფოთი | 23 | 26 |
| თელავი | 18 | 21 |
| ზუგდიდი | 24 | 26 |
| გორი | 17 | 20 |
| ახმეტა | 18 | 21 |
| ჭიათურა | 21 | 23 |
| გაგრა | 19 | 22 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8350 |
| ევრო | 2.2732 |
| გირვანქა სტერლ. | 3.2971 |
| რუბლი | 0.0630 |

A2 ამბები · A3 მთავარი თემა · A4 ეკონომიკა · A5 უცხოეთი · A6 საზოგადოება · A7 სამართალი · A8 თვალსაზრისი

B2 რევიუ · B3 რევიუ · B4 სპორტი · B5 სპორტი · B6 კვირა · B7 სხვადასხვა · B8 სხვადასხვა

## ხაჯიმბას მხარდაჭერამ ბასაევი და პუტინი მოკავშირეებად აქცია

პირველი გვერდიდან

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიის ხალხთა კონფედერაციის რაზმები აფხაზეთში 1992-93 წლებში სეპარატისტთა მხარეს იბრძოდნენ და მათ საველე მეთაური შამილ ბასაევი ხელმძღვანელობდა. რუსული გაზეთის კორესპონდენტი კი ასეთ დასკვნას აკეთებს: **“აფხაზეთის კრიზისში ასეთი სერიოზული მესამე ძალის ჩართვა საკმაოდ სახიფათოა. კავკასიის ხალხთა კონფედერაციის მოხალისეებს შეუძლიათ, სამოქალაქო ომის პროვოცირება მოახდინონ აფხაზეთში, ეს კი მთელ კავკასიაში გაართულებს ვითარებას.”**

ამასთან, რიგი საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, აფხაზეთში შექმნილ სიტუაციაზე კონტროლის დამყარების მიზნით, რუსეთმა თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში ათასამდე სპეცრაზმელი შეიყვანა, რომლებმაც ამჟამინდელი ხელისუფლების და პრეზიდენტობის კანდიდატის რაულ ხაჯიმბას მხარდაჭერა უნდა უზრუნველყონ.

სპეცრაზმელების შეყვანასთან დაკავშირებით, ბაღაფშის მომხრეები ძალების მობილიზაციას ახდენენ, მათ შორის - ქართულ-აფხაზური ომის ვეტერანთა მოძრაობის "ამცახარას" წევრებისაც. ამას კი, შესაძლოა, ვითარების ესკალაცია და სამხედრო დაპირისპირება მოჰყვეს.

დევნილობაში მყოფმა აფხაზეთის მინისტრთა საბჭომ გუშინ დაადასტურა ინფორმაცია, რომ აფხაზეთის რეგიონში, რუსეთის ფედერაციის მხრიდან, ტერორისტულ საქმიანობაში ეჭვმიტანილი შეიარაღებული ჯგუფების შესვლა დაიწყო, რასაც ორგანიზებას უკეთებენ რუსეთის გარკვეული ძალების მიერ დაფინანსებული ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა კონფედერაციის ლიდერები.

აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ირაკლი ალასანიას თქმით, აფხაზეთის ტერიტორიაზე დაფიქსირდა სპეცდანიშნულების რამდენიმე შენაერთი და ამას ადასტურებს საქართველოს სადაზვერვო უწყებების მონაცემებიც.

ალასანიას განცხადებით, შეშფოთებას იწვევს რუსეთის ფედერაციის მხრიდან მათი შესაბამისი უწყებების აბსოლუტური უმოქმედობა, რუსეთ-საქართველოს აფხაზეთის მონაკვეთზე არსებული საზღვრის გადაკვეთის ფაქტების აღკვეთის კუთხით.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გუშინ ოფიციალურად დაადასტურა აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსეთის მიერ რამდენიმე ასეული ადამიანით დაკომპლექტებული სპეცდანიშნულების რაზმის გადასხმის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია, ისევე როგორც კავკასიის ხალხთა კონფედერაციის ძალების თავშეყრა.

გუშინ გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გიორგი გომიაშვილმა განაცხადა, რომ საქართველო კატეგორიულად მოითხოვს რუსეთის მხრიდან მიიღოს ზომები, რომ შეიარაღებულმა ფორმირებებმა საქართველოს ტერიტორია დატოვონ.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი კი კრემლის იმედების გაცრუებას ირონიული ტონით ხვდება.

**“მე არ ვიტყვი, რომ აფხაზეთთან მიმართებაში ყველაფერი ერთ დღეში იქნება კარგად. იქ ძალიან დიდი სირთულეები იქნება და ეიფორიაში ნუ ჩავვარდებით. აფხაზეთთან დაკავშირებით, ჩემი ხელისუფლებაში მოსვლის პირველივე დღიდან, ძალიან ბევრს ვმუშაობთ, თუმცა ამის შესახებ ტელევიზიით არ ვყვირით. ჩვენ გვინდა, რომ აფხაზ ხალხთან აღდგეს მეგობრობა და ნორმალური ურთიერთობები, მაგრამ ეს იქნება ძალიან მტკივნეული პროცესი. ჩვენ არავის ვურჩევთ აფხაზეთში ცხვირის შეყოფას და განსაკუთრებით - გალის მოსახლეობასთან შეხებას. დღეს ნამდვილად სულ სხვა დონის სახელმწიფო ვართ, მაგრამ მტრებს ამ არჩევნებზე კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ,"** – განაცხადა მან.

# პარლამენტში ბიუჯეტის პრიორიტეტსაც აკრიტიკებენ



იური ლობოდინის ფოტო

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში ვერ ხვდებიან, რაში გამოიხატება თავდაცვის დაფინანსების პრიორიტეტულობა.

პირველი გვერდიდან

ივლიანე ხაინდრავა კი აღმასრულებელ ხელისუფლებას შეახსენებს, რომ ნატო-ს სტანდარტების თანახმად, თავდაცვის ხარჯები ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ორ პროცენტზე ნაკლები არ უნდა იყოს, მაშინ, როდესაც მთავრობის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, ეს მაჩვენებელი ერთ პროცენტს არ აღემატება.

გუშინდელ საკომიტეტო მოსმენას ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელიც ესწრებოდა. ბიუჯეტის პროექტის საპარლამენტო განხილვის პროცესში ეს პირველად მოხდა. ალბათ, შემთხვევითი არ არის, რომ ასეთი "პატივი" მან თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს დასდო - როგორც აღვნიშნეთ, ამ კომიტეტის საკურატორო სფერო მთავრობის მიერ პრიორიტეტულად არის აღიარებული და, ამდენად, ნოღაიდელი, როგორც ჩანს, კრიტიკას აქ ნაკლებად ელოდა. თუმცა, მისი "გათვლა" არ გამართლდა: დეპუტატებმა მინისტრს ნამდვილი დაკითხვა მოუწყვეს.

ირკვევა, რომ თავდაცვის სამინისტრო მომავალი წლისთვის ბიუჯეტიდან 157 მილიონი ლარის გამოყოფას ითხოვს და უწყების ხელმძღვანელს გიორგი ბარამიძეს, მთავრობაში შეთანხმებულ ბიუჯეტის პროექტში ხელი სწორედ ამ თანხაზე აქვს მოწერილი, თუმცა, ფინანსთა სამინისტრო მხოლოდ 119 მილიონ ლარს "იმეტებს". ეს თანხა ვერ გასწვდება სამხედრო მოსამსახურეთა ხელფასების გაზრდას, რის პირობასაც მთავრობა დღემდე იძლეოდა. გარდა ამისა, 157 მილიონი ლარის მიღების შემთხვევაში, თავდაცვის სამინისტრო მთლიანად მოახერხებდა ნატო-სთან ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, 119-მილიონიანი დაფინასების პირობებში კი, ამ ვალდებულებათა მხოლოდ ნაწილის შესრულება იქნება შესაძლებელი.

დეპუტატთა პრეტენზიებს ზურაბ ნოღაიდელი ოლიმპიური სიმშვიდით უდგება. მისი განცხადებით, საბიუჯეტო პრიორიტეტები, მათ შორის, თავდაცვის სფეროში, ძალიან მკაფიოდ არის გამოკვეთილი. მინისტრი დეპუტატებს ურჩევს, ზოგად შენიშვნებს თავი დაანებონ და თუ მთავრობის მიერ არჩეული პრიორიტეტები არ მოსწონთ, დასაბუთებული არგუმენტები წარმოადგინონ. მისივე თქმით, სამი პრიორიტეტის (ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება, ძველი სახელფასო და საპენსიო დავალიანებების დაფარვა, უკიდურესი სიღატაკის აღმოფხვრა) გარდა, ხარჯების სოლიდური რაოდენობა იქნება აგრეთვე მიმართული ენერგოსისტემასა და სოფლის მეურნეობაში.

**"ქვეყნის თავდაცვის უწყების დაფინანსებას წლევანდელი 67 მილიონი ლარიდან 119 მილიონამდე ვზრდით, მისი გადანაწილება კი უკვე თავად თავდაცვის სამინისტროს პრეროგატივაა და, ამდენად, სამხედრო მოსამსახურეთა ხელფასების გაზრდის საკითხი მთლიანად მასზე იქნება დამოკიდებული,"** - ჟურნალისტებთან საუბრის დროს, ოპონენტებს დაუსწრებლად ეპაექრება ზურაბ ნოღაიდელი და იქვე დასძენს, რომ მომავალი წლიდან 115-ლარიანი მინიმალური ხელფასი ყველა ცენტრალურ სახელმწიფო სტრუქტურაში იქნება.

რაც შეეხება ნატო-ს სტანდარტებთან მიახლოებას, ფინანსთა მინისტრის აზრით, ამისთვის გარკვეული დროა საჭირო.

**"წელს თავდაცვითი სტრუქტურების დაფინანსებამ მთლიანი შიდა პროდუქტის 0,65 პროცენტი შეადგინა, 2005 წლისთვის ეს მაჩვენებელი ერთ პროცენტს გადააჭარბებს, ორ პროცენტამდე ასვლისთვის კი კიდევ რამდენიმე წელია საჭირო. თუ ნატო-ში მომავალ წელს მიგვიღებენ, ამ პროცესს დავაჩქარებთ და ორპროცენტიან ზღვრამდე ავალთ,"** - ოპონენტებს სათქმელს აღარ უტოვებს ზურაბ ნოღაიდელი.

თუმცა, დეპუტატებს აღმასრულებელი ხელისუფლების გასაკრიტიკებელს რა გამოულევთ: გივი თარგამაძემ გუშინ სერიოზული პრეტენზიები წაუყენა საზღვრის დაცვის დეპარტამენტსა და თავდაცვის სამინისტროს.

**"მე გამიჭირდება ვთქვა, სად შეიძლება იდგეს ის 6 700 მესაზღვრე, რომელიც დეპარტამენტის საშტატო ერთეულით არსებობს,"** - ბადრი ბიწაძის უწყების ბოსტანშიც ისროლა გუშინ კენჭი თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ. იგი მომავალ კვირაში საზოგადოებას მეტად საინტერესო "სანახაობას" ჰპირდება. ეს მოხდება კომიტეტის სხდომაზე, რომელიც თავდაცვის სამინისტროში შესყიდვების საკითხს განიხილავს.

**"თავდაცვის სამინისტროს ზოგიერთ ხელმძღვანელს, უკეთეს შემთხვევაში, ახალი სამსახურის ძებნა მოუწევს,"** - პირობას იძლევა გივი თარგამაძე.

## მიხეილ სააკაშვილი: ბალტიისპირეთის ქვეყნებს საქართველო მალე დაეწევა

15 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ლიტვის სეიმს ესტუმრა და სეიმის თავმჯდომარეს არტურას პაულაუსკასს შეხვდა. მიხეილ სააკაშვილმა ასევე შეხვედრა გამართა ლიტვის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან ალგირდას მიკოლას ბრაზაუსკასთან.

ამის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა ლიტველი ჟურნალისტი აუდრიუს სიაურუსევიჩიუსი ღირსების ორდენით დააჯილდოვა.

საქართველოს პირველი პირი ლიტვის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი გმირების მემორიალზეც გაემგზავრა და გვირგვინით შეამკო. მემორიალის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ სასაფლაოზე მან 1921 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი კაპიტნის დათიკო მაჭავარიანის საფლავიც მოინახულა. დათიკო მაჭავარიანი ნოე ჟორდანიას მთავრობის დროინდელი ემიგრანტი იყო, რომელიც ვილნიუსში 40 წლის ასაკში გარდაიცვალა. პრეზიდენტმა ყვავილებით მისი საფლავიც შეამკო, რომელიც ერთი წლის წინათ აღმოაჩინეს.

მიხეილ სააკაშვილის ლიტვაში ვიზიტი ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრთან ანტანას ვალიონისთან შეხვედრით გაგრძელდა. შემდეგ კი საქართველოს პრეზიდენტი და პირველი ლედი ვილნიუსის უნივერსიტეტს ესტუმრნენ. უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან, სტუდენტებთან და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე მიხეილ სააკაშვილმა აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და ვარდების რევოლუციის შესახებ ისაუბრა.

**- ჩვენ ერთად ვიბრძოდით დამოუკიდებლობისათვის, ჩვენთვის ის არავის უჩუქებია - თავისუფლება ბრძოლით მოვიპოვეთ,** - ამ სიტყვებით მიმართა საქართველოს პრეზიდენტმა დამსწრე საზოგადოებას, - **ჩვენი მიზანი ევროპის კავშირში შესვლაა. პირველად ვართ ლიტვაში და ჩვენს ურთიერთობაში ახალი ეტაპი იწყება.**

**- საბჭოთა კავშირი მხოლოდ იმის გამო დაიშალა, რომ ოთხმა რესპუბლიკამ ერთად იბრძოლა,** - აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა ჟურნალისტებთან საუბრისას, - **თუმცა შემდეგ ჩვენი გზები გაიყარა. ბალტიისპირეთმა კურსი ევროპაზე აიღო, ერთმანეთიც არ დაუჭამიათ, პირიქით, განვითარებული ევროპული სახელმწიფოები გახდნენ. საბჭოთა კავშირიდან ჩვენ ერთად გამოვედით და ევროპაშიც ერთად უნდა შევიდეთ.**

მიხეილ სააკაშვილმა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებაც ისაუბრა და აღნიშნა, რომ იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გელა ბეჟუაშვილის მოსკოვში ვიზიტს, რომელიც მომავალ კვირას გაიმართება. პრეზიდენტის განცხადებით, ყველა საკითხი მოლაპარაკებისა და ცივილიზებული დიალოგის გზით უნდა გადაწყდეს.

ლიტვისა და საქართველოს პირველ პირებთან ერთად, შეთანხმებას თანამშრომლობის შესახებ თავდაცვის მინისტრებმაც მიაღწიეს. ევროკავშირსა და ნატო-ში გაწევრიანებაში დახმარება ერთადერთი არ იქნება. მეგობარი ქვეყნები დახმარების ხელს ჩვენს ქვეყანას სამხედრო სფეროშიც გაუწვდიან - ქართველი ოფიცრები ბალტიისპირეთში სხვადასხვა სამხედრო სასწავლებლებში მიიღებენ განათლებას. ამას გარდა, საქართველოს შეიარაღებული ძალების ტექნიკური დახმარების მხრივაც სერიოზული ნაბიჯები გადაიდგმება. ლიტვის თავდაცვის მინისტრის ლინას ლინკევიჩიუსის განცხადებით, მომავალში ეს თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდება.

ვიზიტის დასასრულს, საქართველოს პრეზიდენტი და ქვეყნის პირველი ლედი ქართულ დიასპორას შეხვდნენ. სანდრა ელისაბედ რულოვსმა ლიტვაში მცხოვრებ ქართველ ბავშვებს საჩუქრად ქართული სახელმძღვანელოები გადასცა. მიხეილ სააკაშვილმა კი ლიტვის დამსახურებული მწვრთნელი მძლეოსნობაში ვიქტორ ბარკალაია ღირსების ორდენით დააჯილდოვა.

მიხეილ სააკაშვილი ლიტვაში ვიზიტს უმნიშვნელოვანესსა და ერთ-ერთ წარმატებულს უწოდებს. მისი თქმით, საქართველო მალე დაეწევა ბალტიის ქვეყნებს და აღნიშნავს, რომ ამ ქვეყნების სახით ევროკავშირსა და ნატო-ში სამი ლობისტი გვყავს. ამას გარდა, საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით, ახალი საერთაშორისო ინიციატივა - 3+3 - ვიზიტის მთავარი შედეგია.

*საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური*

## ავტოკატასტროფა სოფელ იგოეთთან



*დალეწილი მიკროავტობუსი.*

გუშინ საღამოს, სოფელ იგოეთთან მომხდარი ავტოკატასტროფა მძიმე შედეგით დასრულდა – ავარიის შედეგად დაიღუპა ქუთაისიდან მომავალი სამარშრუტო ტაქსის მძღოლი და ექვსი მგზავრი. საპატრულო პოლიციის წინასწარი მონაცემებით, ავტოკატასტროფის მიზეზი “კამაზის” მარკის ავტომანქანის მძღოლის მიერ მოძრაობის წესების დარღვევა გახდა, რამაც სამი ავტომანქანის – “იკარუსის” მარკის სამგზავრო ავტობუსის, “ფორდის” მარკის სამარშრუტო ტაქსისა და “კამაზის” მარკის სატვირთო მანქანის შეჯახება გამოიწვია. შეჯახების შედეგად სატვირთო მანქანა ხევში გადავარდა, თუმცა მძღოლი არ დაზიანებულა. ავტოკატასტროფის გამომწვევი მანქანის - “კამაზის” მძღოლი დაკავებულია, საქმის დეტალები წინასწარი გამოძიების მიერ ჩატარებული მოკვლევის შემდეგ გახდება ცნობილი.

*24 საათი*

## სამხედრო ბეგარას ჭიბეში იდებენ

პირველი გვერდიდან

მათგან, უშიშროების სამინისტროში 200 მოქალაქეს გაიწვევენ, შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგან ჯარებში – 1200-ს, სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტში – 550 წვევამდელს.

საქართველოს პრეზიდენტის 11 ოქტომბრის №450 ბრძანებულებით, “საქართველოს სამხედრო ძალებში 2004 წელს მოქალაქეთა საშემოდგომო გაწვევისა და სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის შემდეგ სამხედრო მოსამსახურეთა სამხედრო ძალებიდან დათხოვნის შესახებ”, მითითებულია: **“ეთხოვოთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, ფართოდ გააშუქონ საშემოდგომო გაწვევისა და სამხედრო ძალებიდან ვადიან სამხედრო მოსამსახურეთა რეზერვში დათხოვნის მიმდინარეობა და ამ ღონისძიებათა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა.”**

ზურაბ მელიქიშვილმა გუშინ ჟურნალისტების მხრიდან შეკითხვის რამდენჯერმე განმეორების მიუხედავად, არ დააკონკრეტა, რომელი რაიონის სამხედრო განყოფილების გამგეების საქმეებია გადაცემული პროკურატურისთვის.

## მთავრობა ბიუჯეტში თვითმმართველობას არ ცნობს

*რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მთიანი რეგიონების კომიტეტის წევრებისთვის აბსოლუტურად მიუღებელი აღმოჩნდა 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ის პროექტი, რომელიც მთავრობამ პარლამენტს წარუდგინა. მეტიც - როგორც კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე ითქვა, ეს პროექტი "შემოგდებულია, რადგან მთვარობა ვადებში ვერ ეტეოდა".*

**"ყველამ შესანიშნავად ვიცით, რომ მთავრობას პროექტი 30 სექტემბრამდე უნდა წარმოედგინა და ამიტომაც შემოიტანეს ასეთი დაუხვეწავი ვარიანტი. ყველასთვის ისედაც ნათელია, რომ ამ პროექტს აღმასრულებელი ხელისუფლება თავადვე გაიწვევს უკან,"** - განაცხადა კომიტეტის სხდომაზე "მემარჯვენე" მამუკა კაციტაძემ. მისივე თქმით, **"30 პროცენტით იზრდება სამხარეო ადმინისტრაციების ბიუჯეტის დაფინანსება, რაც ნიშნავს, რომ ცენტრალური ხელისუფლება აძლიერებს სამხარეო ადმინისტრაციას და ჩაძირვას უპირებს ადგილობრივ თვითმმართველობას. თუკი პარლამენტი ბიუჯეტის ამ პროექტს მიიღებს, ცოცხალ-მკვდარი თვითმმართველობისაგან მკვდარი თვითმმართველობა შეგვრჩება ხელთ".**

რაც შეეხება ზუგდიდის მაჟორიტარს გოჩა ფიფიას, მან ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებს, ყოველგვარი მორიდების გარეშე, ცინიკოსებიც კი უწოდა.

ამავე დროს, დეპუტატთა ნაწილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მანამ, სანამ საქართველოს არ ექნება ახალი საგადასახადო კოდექსი, მომავალი ბიუჯეტის პროექტის განხილვის დაწყება, ელემენტარულად, არაფრის მომცემია და ეს დროის ფუჭი ხარჯვაა.

კომიტეტის თავმჯდომარის ედუარდ სურმანიძის განცხადებით, ბიუჯეტის პროექტში სოციალური ტრანსფერები გაწერილი არ არის. **"რაიონებში პრობლემების გადასაჭრელად ბიუჯეტიდან გამოყოფილი 28 მილიონი ლარი არასაკმარისია.**

**მაღალმთიანი რეგიონების მიზნობრივ ფინანსურ დახმარებაზე ამ პროექტში ლაპარაკიც არ არის, პენსიები რეგიონებში არ იზრდება, არაფერია ნათქვამი იმაზე, როგორ უნდა განვითარდეს რაიონებში ეკონომიკა,"** - ასეთი იყო სურმანიძის პოზიცია. მისი თქმით, აუცილებელია, მთავრობამ 2005 წლის ბიუჯეტის რამდენიმე ძირითადი პრიორიტეტი გამოკვეთოს, რის შემდეგაც საპარლამენტო კომიტეტებს ექნებათ საშუალება, განსაზღვრონ საკუთარი დამოკიდებულება ბიუჯეტის მიმართ. **"სახელმწიფო ბიუჯეტში რამდენიმე ძირითადი პრიორიტეტი არ არსებობს და ქვეყნის განვითარების ყველა მიმართულება პრიორიტეტულია, სწორედ ამიტომ ვერც ერთი სფერო, საბოლოო ჯამში, სრულყოფილად ვერ ფინანსდება,"** - აღნიშნა სურმანიძემ.

ერთი სიტყვით, რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის საპარლამენტო კომიტეტი 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მხარდაჭერას არ აპირებს, თუ მთავრობა ბიუჯეტის ძირითად პრინციპებში კომიტეტის შენიშვნებს არ გაითვალისწინებს.

კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ვანო ხუხუნაიშვილის განცხადებით, კომიტეტისთვის გაუგებარია, რის საფუძველზე შექმნა მთავრობამ 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, როცა, ჯერჯერობით, გაურკვეველია ახალი "საგადასახადო კოდექსის" ძირითადი პრინციპები და "ადგილობრივი ბიუჯეტების შესახებ" კანონპროექტის ბედი. მისი თქმით, 2005 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, საგადასახადო ბაზა ერთმევა ადგილობრივ თვითმმართველობას, რაც მთლიანად სპობს ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარების საფუძველს. **"ჩვენ ვერ მივაღწიეთ იმას, რომ ცენტრალურმა ხელისუფლებამ ადგილობრივი ხელისუფლება აღიაროს და მათი ლეგიტიმაცია მოხდეს. ფინანსთა სამინისტრო აღნიშნული ბიუჯეტის პროექტით, ფაქტობრივად, არ ცნობს თვითმმართველობის ადგილობრივ ხელისუფლებებს,"** - აღნიშნა ხუხუნაიშვილმა.

*24 საათი*

## საქართველოს ეროვნული ბანკის შეტყობინება სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე გაყიდვის თაობაზე

სახაზინო ვალდებულებები 1,500,000 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარის ოდენობით, რომლის დაფარვა განხორციელდება 2005 წლის 19 ოქტომბერს, გამოტანილ იქნება N35 აუქციონზე, რომელიც შედგება 2004 წლის 20 ოქტომბერს 10 საათზე.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ განაცხადი დადგენილი ფორმით წარუდგინონ საქართველოს ეროვნულ ბანკს კომერციული ბანკების მეშვეობით, არაუგვიანეს 2004 წლის 20 ოქტომბრის 10 საათამდე.

აუქციონის შედეგები სახაზინო ვალდებულებების მყიდველ ბანკებს ეცნობებათ იმავე დღეს და გამოქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

აუქციონში მონაწილეობის მსურველნი გაცნობილნი უნდა იყვნენ “საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების გამოშვების, განთავსების, მომოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ “ დებულებას და აღიარებდნენ მის სავალდებულო შესრულებას. განაცხადის ფორმების მიღება შეიძლება ეროვნულ ბანკში ან ნებისმიერ კომერციულ ბანკში.

*აუქციონის კომიტეტი*

### ორი სიტყვით

**თბილისი.** ცხინვალის რეგიონში გუშინ ღამით სროლა კვლავ ისმოდა. ამჯერად დაპირისპირება ოს სეპარატისტებსა და ეგრეთწოდებულ “ტექსტილის" დასახლების შეიარაღებულ ფორმირებებს შორის მოხდა. სროლის შედეგად დაიჭრა ორი ოსი.

მოგვიანებით, დე ფაქტო ხელისუფლების კონტროლირებადი ტერიტორიიდან სეპარატისტებმა ამჯერად ცეცხლი ქართულ სოფელ თამარაშენს გაუხსნეს. სროლის შედეგად დაზიანდა საცხოვრებელი სახლები. "ამ ფაქტის შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლება და რუსეთის ჯარები, ამ ბანდფორმირებებს ვერ აკონტროლებენ და შესაბამისად, დაუცველია მოსახლეობაც", - აცხადებს შიდა ქართლის გუბერნატორი მიხეილ ქარელი. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ჩვენებური ამბავი

## პროზექტურა



მარიკა ამურველაშვილის ფოტო

*უზედამხედველო მიცვალებულების ამოცნობა, როგორც წესი, ვერ ხერხდება, თუმცა არის შემთხვევები, როცა იცი სახელიც, გვარიც და ასევე იცი, რომ ამ ადამიანის დამმარხავი დედამიწის ზურგზე კაცი არ არის.*

*აქაურობას პირობითად თუ უწოდებ პროზექტურას. ცხადია, არ ველოდი, რომ იქ ისეთივე სურათი დამხვდებოდა, როგორიც ამერიკულ დეტექტივებში მინახავს, მაგრამ იმ დღეს ჩემი ყნოსვის რეცეპტორები ფორმალინს რომ არ გაუღიზიანებია, ზუსტად ვიცი.*

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის რესპუბლიკურ ცენტრში, რომელიც ქალაქის N1 კლინიკური საავადმყოფოს ტერიტორიაზე მდებარეობს, ყოველწლიურად საშუალოდ 800 გვამი იკვეთება, მათგან დაახლოებით 150 უზედამხედველოდ დარჩენილი მიცვალებულია. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის პროზექტურაში ცხედარი მხოლოდ იმ შემთხვევაში ხვდება, თუ ასეთი გვამით სამართალდამცავი ორგანოები არიან დაინტერესებულნი. არის შემთხვევები, როცა აქაური ექსპერტები გვამის გარეგნული დათვალიერების საფუძველზე გასცემენ დასკვნას. რაც შეეხება უზედამხედველო მიცვალებულებს, მაშინაც კი, როდესაც სიკვდილის მიზეზი ნათელია, გვამის გაკვეთა აუცილებელია. იმ ქვეყნებშიც კი, სადაც კრემაცია ჩვეულებრივი მოვლენაა, უზედამხედველოდ გარდაცვლილთა ცხედრებს მიწას აბარებენ, რომ საჭიროების შემთხვევაში მათი ეგსგუმაცია მოხდეს.

უზედამხედველო მიცვალებულების ამოცნობა, როგორც წესი, ვერ ხერხდება, თუმცა არის შემთხვევები, როცა იცი სახელიც, გვარიც და ასევე იცი, რომ ამ ადამიანის დამმარხავი დედამიწის ზურგზე კაცი არ არის. ამისდა მიუხედავად, აუცილებელია ტანსაცმლის დეტალური აღწერა, გარეგნული პორტრეტის შედგენა, კბილების ფორმულის დადგენა, გვამის ამოსაცნობად ნებისმიერი დამატებითი ნიშნის (ხალი, ნაიარევი, ლაქა და ა.შ.) დაფიქსირება, თითის ანაბეჭდების აღება, სისხლის გამოკვლევა ბიოლოგიურ ექსპერტიზაზე, ბოლოს კი ფოტოსურათის გადაღება. ყველა ამ პროცედურისა და ცხედრის ჰიგიენური დამუშავების შემდეგ უზედამხედველო გვამს "ველის" სასაფლაოზე კრძალავენ.

მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და მეზობელი ქვეყნის მოქალაქეები საუკეთესო შემთხვევაში ერთი ხელი ტანსაცმლის ამარა საქართველოში გამოსაზამთრებლად ველარ ჩამოდიან, უზედამხედველო გვამების რიცხვმა საგრძნობლად იკლო, მაგრამ იმდენად არა, რომ პროზექტურის თანამშრომლებს მათი შენახვა (განსაკუთრებით ზაფხულში) პრობლემებს არ უქმნიდეს. სამწუხაროდ, იკლო დაფინანსებამაც და აქაურობას ისევე აკლია პატრონი, როგორც დამწუხრებული ჭირისუფალი უზედამხედველო ცხედარს. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის რესპუბლიკური ცენტრი რეორგანიზაციის მოლოდინშია, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ტიპის კიდევ ორი სამსახურის გაერთიანების შემთხვევაში მათ ახალ შენობას გადასცემენ. იქნებ მაშინ მაინც გამოიყოს თანხა პროზექტურის მოსაწესრიგებლად.

თქვენი აზრით, რამდენ ხანს აჩერებენ პროზექტურაში უზედამხედველო გვამს? ერთი კვირა, ჰა-ჰა - ათი დღე. რა კარგია, პატარა ქვეყანაში რომ ვცხოვრობთ და ყველა ყველას იცნობს, მაგრამ ისეც ხდება, რომ უზედამხედველო მიცვალებულს პატრონი დასაფლავების შემდეგ გამოუჩნდება. ასეთ დროს საჭიროა ეგსგუმაცია (საშუალოდ 5-7 შემთხვევა ყოველწლიურად), რაც ჭირისუფალსაც და სახელმწიფოსაც დამატებით პრობლემებს უქმნის. მეზობელ რუსეთში უზედამხედველო გვამებს ერთი თვე მაინც არ კრძალავენ, მაგრამ სად რუსეთი და სად - საქართველო. ჩვენს პროზექტურაში არ არის არც ერთი კამერა-მაცივარი გვამის შესანახად, ვერ ყიდულობენ შრატებსა და რეაქტივებს მათ დასამუშავებლად. იყო შემთხვევები, როცა სხვა ქვეყნების მოქალაქეების საეჭვო სიკვდილის შემთხვევაში - აი, ვუდროფი რომ მოკლეს, ისეთი, - გვამი რესპუბლიკური საავადმყოფოს პროზექტურაში გადაუსვენებიათ გამოსაკვლევად. ამ ინფორმაციის შემდეგ ძნელი დასაჯერებელია, რომ სასამართლო-სამედიცინო ექსპეტიზა საქართველოში სათანადოდ ტარდება.

ქართველი ექსპერტები ირწმუნებიან, რომ დასავლეთში მსგავს დაწესებულებებში ერთი გვამის გაკვეთა დაახლოებით 2000 დოლარი ჯდება ექსპერტის ჰონორარის ჩათვლით. რამდენი უჯდება ჩვენს სახელმწიფოს იგივე სამუშაო, ამაზე პასუხი არ არსებობს. დიდი ხნის წინათ - იმდენად დიდი წნის წინათ, რომ პროზექტურაში ზუსტად ვერც კი იხსენებენ, ვინ იყო მაშინ საქართველოს პრეზიდენტი, - დაადგინეს, რომ ერთი გვამის გაკვეთა მიახლოებით ასი დოლარი ჯდებოდა. ეს თანხა ბიუჯეტში არც მაშინ და არც ახლა არ ასახულა. სამაგიეროდ, აისახა აქაური პერსონალის ხელფასები. მაგალითად, განყოფილების გამგე ხელზე 72 ლარს იღებს, ჩვეულებრივი ექსპერტი კი 36 ლარზეც ყაბულსაა. ახლა გეკითხებით, ამ ხელფასის შემყურე, როცა მადლიერების ნიშნად არათუ ჯიბეზე გაიკრავს ვინმე ხელს, მადლობასაც არავინ გადაგიხდის, რატომ უნდა მიუხაროდეს დილაობით ექსპერტს ავლაბრისაკენ? ვინ იცის, ამათი "ხეირი" სამართალდამცავ ორგანოებთან შეხმატკბილებული მუშაობა და საჭიროების შემთხვევაში სათანადო დასკვნების გაცემაა. ეს, ცხადია, მხოლოდ ვარაუდია, თუმცა ამ ეჭვების საფუძველს გახმაურებული, მაგრამ ჯერაც გაუხსნელი საქმეები იძლევა.

უზედამხედველო მიცვალებულების ჭირისუფლებად ამჯერად ჩვენ გამოვდივართ. გვაინტერესებს, სად და რა როგორ კრძალავენ ამ უბედურებს და პროზექტურიდან "ველის" სასაფლაოზე მივდივართ. როგორც მოსალოდნელი იყო, მათი დაკრძალვა ყველასთვის კარგად ნაცნობ "ჰერმესს" ევალება. ხარჯები ასეა გადანაწილებული: საფლავის გათხრა - 92 ლარი; ფირნიშის დამზადება - 6,6 ლარი; სანიტრის მომსახურება - 8 ლარი და ტრანსპორტირების ხარჯები. ერთი უზედამხედველო გვამის დაკრძალვაზე სახელმწოფომ 170 ლარი გამოყო. ამ თანხაში არ შედის გაკვეთის ხარჯები. ნუ დამზარდებით და თავად გადაიანგარიშეთ, რჩება თუ არა იმდენი ფული მაინც, რომ უზედამხედველო ცხედარი პოლიეთილენის პარკის ნაცვლად ყველაზე იაფ ნაჭერში გაახვიონ? რჩება კიდეც, მაგრამ "ველის" სასაფლაოზე დღესაც სინანულით აღნიშნავენ, რომ უჭირისუფლო მიცვალებულები ისევ პოლიეთილენში შეფუთულები მიჰყავთ. ხშირად რამდენიმე მიცვალებულს ერთდროულად, მაგრამ უკვე ცალ-ცალკე სამარხებში კრძალავენ. ასე უმთავრესად ზამთარში ხდება, როცა კლიმატური პირობები პროზექტურაში რამდენიმე გვამის გაჩერების შესაძლებლობას იძლევა. იმის გამო, რომ მიცვალებულის ამოცნობა და, შესაბამისად, აღმსარებლობის დადგენა შეუძლებელია, მათი სულების შესავედრებელ ლოცვებს ვერსად გაიგონებთ: ვერც ეკლესიებში, ვერც მეჩეთებსა თუ სინაგოგებში. რაც შეეხება საფლავებს, პატარა ფირნიშებზე ასეთ წარწერებს ამოიკითხავთ: უცნობი ქალი 523/056.

პროზექტურამ რომ პათანატომია გაგვახსენა, ეს ჩვეულებრივი ამბავია. მკრეხელობა იქნებოდა, დაგვეჩემებინა, რომ ამ მეტად სასარგებლო საგნის შესასწავლად მაინცდამაინც უზედამხედველო ცხედრებია საჭირო. გვამების ნაკლებობას სამედიცინო სასწავლებლები ადრეც განიცდიდნენ, დღეს ამ მხრივ მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. არადა, ჩვენ ვიცით, როგორ იპარავდნენ მიცვალებულებს ექიმები ეკლესიის გვერდის ავლით და ამისთვის ზოგჯერ ინკვიზიციის ცეცხლზეც იხრუკებოდნენ. ახლა გვეცოდინება, რომ ექიმს, რომელთანაც მილებაზე აწი ჩავეწერებით, შეიძლება საერთოდაც არ უნახავს გვამი. სავალდებულო გაკვეთის გაუქმების გამო მედიკოსთა ერთი ნაწილი შესაბამის კანონში ცვლილებების შეტანას ითხოვს.

## აუცილებელი კრედიტი

*სოციოლოგი ემზარ ჯგერენაია სინანულით აღნიშნავს, რომ სასაფლაოების თემა საქართველოში შესწავლილი არ არის, თუმცა ეს, თავის მხრივ, ძალიან საინტერესო სოციოლოგიური მასალაა.*

- სასაფლაო ზუსტად ასახავს იმ სოციალურ უთანასწორობას, რასაც ადგილი აქვს ადამიანის სიცოცხლეში. იმისდა მიხედვით, თუ როგორია სასაფლაო, ადვილად დავადგენთ ჭირისუფლის სტატუსს. სასაფლაო ერთგვარი ტექსტია, რომლის წაკითხვაც შესაძლებლობას გვაძლევს, გავარკვიოთ ამ ადამიანების წარმომავლობა და მათი ადგილი საზოგადოებაში. რაც შეეხება სიკვდილისადმი ჩვენს დამოკიდებულებას, თანამედროვე კაცობრიობა ამ ფაქტის მიჩქმალვას და სიკვდილის უკანა პლანზე გადაწევას ცდილობს. ამიტომაც ზრუნავს ასე ისტერიულად ჯანმრთელობაზე.

**- მაგრამ დასავლეთში და ჩვენთან განსხვავებულად კვდებიან.**

- იქ უმთავრესად სტერილურ გარემოში კვდებიან, მათი გასვენებაც ოჯახებიდან არ ხდება და დაკრძალვასთან დაკავშირებულ პრობლემებს შესაბამისი სტრუქტურები აგვარებენ. საბოლოოდ ადამიანს უკანასკნელ გზაზე ახლობლების ნაცვლად ზრდილობიანი, მაგრამ გულგრილი ხალხი აცილებს. რადგან ქართული კულტურა ადამიანურ ურთიერთობებზეა ორიენტირებული, ჩვენში მიცვალებულზე ოჯახის წევრები და მათი ახლობლები ზრუნავენ, რაც იმას ნიშნავს, რომ საზოგადოება ჯერ კიდევ ინარჩუნებს ჩვენი კულტურისათვის არსებით მომენტს. თუ კი ოდესმე საქართველოში მიცვალებულის გაპატიოსნებას და დაკრძალვას თავის თავზე ახლობლების ნაცვლად ორგანიზაციები აიღებენ და ეს წესად დამკვიდრდება, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი ხალხის მენტალიტეტში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა.

**- ეს გარდატეხა უმტკივნეულოდ ჩაივლის?**

- ჩვენს კულტურაში არსებულ ამ ტრადიციას პრობლემა შეექმნება მაშინ, როცა გაჩნდება ბევრი სამუშაო ადგილი და ხალხი დასაქმდება. უბრალოდ, აღარ იქნება იმდენი თავისუფალი დრო, საქმეს მოწყდე და იმ რეჟიმით იცხოვრო, რასაც დღეს დაკრძალვასთან დაკავშირებული რიტუალი მოითხოვს. ეს ძალიან მტკივნეული პროცესი იქნება. დროის დეფიციტს დღესაც განვიცდით, ხარჯებიც გვამძიმებს, მაგრამ უმრავლესობას სტიგმატიზაციის ეშინია და დაკრძალვის რიტუალებს ზედმიწევნით იცავს. ქართველი ისე ორგანიზებული არსად არ არის, როგორც გასვენებებსა და ქორწილებში. ამ დროს ოჯახის უფროსი კი არ მართავს სიტუაციას, არამედ საგანგებოდ დანიშნული პიროვნება, რომელსაც სხვები, მეზობლები და ნათესავები, ეხმარებიან. ოჯახი მხოლოდ თანხას იხდის, მაგრამ ყველა დეტალს ოჯახის წევრებთან ათანხმებენ. ამ შემთხვევაში სოციალური ორგანიზაციის ხარისხი მაღალია - და ეს მაშინ, როცა სხვა სფეროში, ვთქვათ, სახელმწიფო მართვის დროს, ორგანიზებულობა არ გვახასიათებს. ერთი ხანობა ვფიქრობდი, მხოლოდ იმიტომ ვცხოვრობთ, რომ ერთმანეთის მიმართ ეს ვალი აღვასრულოთ.

**- რა განსხვავებაა ამ მხრივ ქალაქსა და სოფელს შორის?**

- რეგიონებში დასაფლავების დროს ოჯახი გარკვეულ კრედიტს იღებს. როგორც ვთქვით, როცა კაცი კვდება, დაკრძალვასთან და ქელეხთან დაკავშირებულ პრობლემებს მეზობლები და ნათესავები აგვარებენ. ყველა ოჯახში ინახება სპეციალური რვეული, სადაც მითითებულია ის თანხა, სხვებმა რომ შემოიტანეს. ფაქტობრივად, ვინც ქელეხზე რჩება, საკუთარი საკვების ფულს იხდის. ეს ოჯახი ადრე თუ გვიან უკან აბრუნებს აღებულ თანხას და გააქვს ზუსტად იმდენი, რამდენიც მასთან შემოიტანეს. სოფლად კარგად ჩანს, რა სოციალური ჯგუფებია გაერთიანებული ერთი ოჯახის ირგვლივ. ეს ტრადიცია შეიძლება სოფლადაც ბევრისთვის უკვე მიუღებელია. შეცხადება გაისმის არა მარტო გარდაცვლილის ოჯახებში, არამედ იქაც, სადაც თანხის გაღება ევალებათ, მაგრამ სტიგმატიზაციის შიშით არაფერი იცვლება. რაც შეეხება ქალაქს, ეს ტრადიცია თითქმის მოიშალა და ჭირისუფალი ფინანსური თვალსაზრისით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა.

## რა ღირს სიკვდილი?

*სტატისტიკური მონაცემებით, 2003 წელს 46 055 კაცი გარდაიცვალა. სოფელთან შედარებით ქალაქში დასაფლავების ხარჯები მეტია. უხეში გამოთვლით ყველაზე თავშეკავებულ ჭირისუფალსაც კი გარდაცვლილი მოხუცებულის დასაკრძალავად გაცილებით მეტი ფული დასჭირდება, ვიდრე ამ უკანასკნელთა მიერ სიცოცხლეშივე "შავი დღისათვის" გადადებული ხუთი წლის პენსიაა. არადა, იმ ადამიანთა რიცხვი, ვისაც თვიდან თვემდე პენსიით გააქვს თავი, სულ უფრო და უფრო იზრდება.*

**გარდაცვალების ცნობა.** ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტის გარეშე ჭირისუფალი მიცვალებულს მიწას ვერ მიაბარებს. საავადმყოფოში ბუნებრივი სიკვდილით გარდაცვალების შემთხვევაში ცხედარი სტაციონარიდან საავადმყოფოს პათოლოგ-ანატომიურ განყოფილებაში გადაჰყავთ, სადაც ხდება გვამის დათვალიერება და უკვე ამის შემდეგ გაიცემა გარდაცვალების ცნობა. 2002 წლამდე ასეთი საბუთი გაკვეთის შემდეგ გაიცემოდა, დღეს გაკვეთა მხოლოდ ჭირისუფლის წერილობითი თანხმობის საფუძველზეა შესაძლებელი. ისეც ხდება, რომ ხშირად ახლობლის დაღუპვით გამწარებულ ჭირისუფალს მიცვალებული სტაციონარიდან ისე გადაჰყავს სახლში, ექიმი ცხედრის დათვალიერებას ვერ ასწრებს. ასეთ დროს საავადმყოფო ცნობას ვერ გასცემს, რაც ხშირად გამხდარა მასა და ჭირისუფლებს შორის კონფლიქტის მიზეზი.

როცა ავადმყოფი პოლიკლინიკაშია რეგისტრირებული და უბნის ექიმმა სიცოცხლეშივე მოინახულა, ჭირისუფალი ცნობას პოლიკლინიკაშივე იღებს. თუ რეგისტრირებული არ ყოფილა და ექიმსაც არ უნახავს, შინ გარდაცვალების შემთხვევაში პოლიკლინიკა ცნობას ვერ გასცემს და სიკვდილის მიზეზის დასადგენად გვამი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ცენტრში გადაჰყავთ. ასეთ დროს ცნობა ექსპერტიზის შემდეგ გაიცემა. სხვადასხვა პოლიკლინაში განსხვავებული ტარიფებია და გარდაცვალების ცნობის საფასური 3-დან 15 ლარამდე მერყეობს. თუ გარდაცვალებას სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმი აფიქსირებს, ცნობა უფასოდ გაიცემა. გარდაცვალების ცნობა ჭირისუფალს კუკიაზე "მმაჩის" ბიუროში მიაქვს, სადაც ხდება კიდეც გარდაცვლილის რეგისტრაცია.

**გაკვეთა.** ეს პროცედურა სიკვდილის მიზეზის დასადგენადაა საჭირო. დასავლეთში სადაზღვევო კომპანიები ამ ნაკლებად სასიამოვნო პროცედურის გარეშე არანაირ ანგარიშსწორებას არ აწარმოებენ. ამიტომ იქ გვამის გაკვეთას თავად ჭირისუფალი ითხოვს. როგორც საავადმყოფოში, ისე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ცენტრში, გაკვეთა ჭირისუფლისთვის უფასოა.

**დამკრძალავი ბიურო.** გარდაცვალების ცნობის აღების შემდეგ ჭირისუფლის საზრუნავი დაკრძალვის აქსესუარების შეძენა და ქელეხისთვის მზადებაა. ამ სერვისს უმეტესად დამკრძალავი ბიუროები აგვარებენ. ასეთი ბიუროს გახსნა საკმაოდ იოლია და უმრავლესობა ინდმეწარმის სტატუსითაა რეგისტრირებული. გარდაცვლილის ანდერძში მითითებული პირობების, ჭირისუფლის შესაძლებლობებისა თუ ფანტაზიის მიხედვით ხარჯები განსხვავებულია. ასე მაგალითად, თბილისში ყველაზე იაფი (70 ლ.) წიფლის კუბო ღირს, თუმცა არსებობს 90, 350 და 3000 დოლარად შეფასებული კუბოებიც; სუდარა საშუალოდ 20 ლარი ჯდება (საბერძნეთიდან ჩამოტანილი - 100 ლ.); კატაფალკას 40 ლარადაც აქირავებენ; სურათის გადიდებას 15-25 ლარი სჭირდება (ზომას გააჩნია); ბალზამირება 30-დან 50 ლარამდე ჯდება; კასეტა, რომელსაც პანაშვიდებზე უკრავენ, 3-5 ლარი ღირს; გვირგვინის შეკვეთა 4 ლარადაც შეიძლება. ასე რომ, ყველაზე ხელმოკლე ჭირისუფალს დასაფლავება, ისიც იმ შემთხვევაში, თუ მიცვალებულის დასამარხი ადგილი აქვს და მხოლოდ სამარის გასათხრელ საფასურს (92 ლ.) იხდის, 250 ლარი მაინც უჯდება. ამას ემატება სასაფლაოს ხარჯები - სულ მცირე 250 ლარი (200 ლ. ბეტონის ჩასხმა და მოპირკეთება, 50 ლ. საფლავის ქვა). როგორც ხედავთ, ყველაზე მოკრძალებული სიკვდილი თბილისში 500 ლარი ღირს. აღარაფერს ვამბობთ ქელეხის ხარჯებზე, კურსების ქვებზე თუ ბრინჯაოს ბიუსტებზე - ასე დაკრძალვას დღეს მხოლოდ მდიდრები ახერხებენ.

## ეჰ, არ მჭირა მე ეგ რაღაც...

*თუ შეიძლება არსებობდეს სახელმწიფო და კერძო უმაღლესი სასწავლებლები ან საავადმყოფოები, სასაფლაოებმა რა დააშავა? ჰოდა, არსებობს კიდეც, ოღონდ, ჯერჯერობით, სახელმწიფოს წილი ამ სეგმენტში კერძოსას საგრძნობლად აღემატება.*

თბილისში 23 სახელმწიფო და 3 კერძო სასაფლაოა. ოცდასამივე სასაფლაო ქალაქის საკუთრებაა. ოფიციალურად ნებისმიერ მათგანზე მიწის ნაკვეთი უფასოა და მხოლოდ სამარის გაჭრა ჯდება 92 ლარი. სამწუხაროდ, ახლობლები ყველას გვიკვდება, ამიტომაც ვიცით, რომ ერთი ასეთი ნაკვეთის აღება გაცილებით ძვირი ჯდება. ავიღოთ ღრმაღელის სასაფლაო, თბილისის ზღვასთან - იქ ორადგილიანი საფლავი ოფიციალური გადასახადის ჩათვლით 300-400 ლ. ღირს, ანუ ჭირისუფალი დამატებით 200-300 ლარს იხდის. ვაკის, ვერის თუ საბურთალოს სასაფლაოებზე ადგილები თითქმის აღარაა, შესაბამისად, საფლავის არაოფიციალური გადასახადიც სამჯერ-ოთხჯერ მატულობს. ასევე ხშირია შემთხვევები, როდესაც ჭირისუფლებს მიტოვებულ საფლავებს სთავაზობენ და ეს "მომსახურებაც" სოლიდური თანხა ჯდება.

სახელმწიფო სასაფლაოებზე ნაკვეთების შერჩევა მხოლოდ "ჰერმესის" პრეროგატივაა. ეს შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო, რომლის დამფუძნებელი ქალაქის მერიაა, ათი წლის წინათ დაარსდა და მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთობ წარმატებულად უძღვებოდა ამ საქმეს. კერძო სასაფლაოების სახით მას კონკურენტი გამოუჩნდა, თუმცა ისევ არაოფიციალურ მონაცემებს თუ დავეყრდნობით და გავითვალისწინებთ, რომ მიწის ნაკვეთი 92 ლარზე ბევრად მეტი ჯდება, გაუსაძლის კონკურენციაზე ლაპარაკი ზედმეტად მოგვეჩვენება. "ჰერმესი" ასევე წარმატებულად უძღვება ყველა იმ სარიტუალო მომსახურებას, რასაც მომრავლებული დამკრძალავი ბიუროები სთავაზობენ გარდაცვლილთა ახლობლებს. თუ ჭირისუფალმა დაკრძალვის ნებართვა აუცილებლად კუკიაზე, "ჰერმესის" ოფისშივე განთავსებულ "მმაჩის" ბიუროში უნდა აიღოს, ალბათ ურჩევნია კიდეც, მიცვალებულის გაპატიოსნებიდან დაწყებული კუბოს შერჩევით დამთავრებული ყველა წვრილმანი თუ მსხვილმანი დეტალი ამავე ფირმის შესაბამის სამსახურს მიანდოს. ასე რომ, საბოლოოდ ყველა გზა კუკიაზე მიდის.

კერძო სასაფლაოები მისასვლელად უფრო მოსახერხებელია. თბილისში სამი კერძო სასაფლაოა და სამივე ერთ სეგმენტში მდებარეობს: ორი ველოტრეკის გვერდით და მესამე საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის გაგრძელებაზე.

ველოტრეკის გვერდით განთავსებული 620 კვ.მ. მიწის ნაკვეთი 2001 წელს როგორც მინიავტოსერვისი, ისე გაიყიდა 6000 ლარად, მაგრამ მოგვიანებით გაჩნდა შესაბამისი ლიცენზია და მინიავტოსერვისი სასაფლაოდ გადაკეთდა. სახელმწიფომ 1 კვ.მ. მიწა 9,6 ლარად გაყიდა, ერთადგილიან სასაფლაოს კი მისი მფლობელი 400-500 დოლარს აფასებს.

5738 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი, სადაც ასევე კერძო სასაფლაო მდებარეობს, შპს "აკამ" 2000 წელს მიჰყიდა კერძო პირს, უფრო სწორად, მისი კუთვნილი მიწის (9276 კვ.მ.) მხოლოდ ნაწილი გაასხვისა, დარჩენილზე კი ისევ "მერსედესის ცენტრი" მდებარეობს. ახალმა მფლობელმა 1კვ.მ. 2,6 ლარად შეისყიდა. გამოდის, რომ ამ ერთ წელიწადში ლამის გვერდიგვერდ 1 კვადრატული მეტრი მიწის ფასი 2,6 ლარიდან 9,6 ლარამდე აწეულა. იქნებ ახალ მფლობელს შეხვდა სულგრძელი ბიზნესმენი და ... მუქთად შეძენილ მიწაზე დღეს ერთი საფლავი 500 დოლარად ფასობს. როცა გამახსენდება, რომ შპს "აკას" კუთვნილი მიწის ფართი ველოტრეკის ტერიტორიის ნაწილია, რომელიც მას პირადი საკუთრების უფლებით გადაეცა, ველოტრეკი კი ერთ დროს სპორტის დეპარტამენტს ეკუთვნოდა, რატომღაც აწგარდაცვლილი ცნობილი სპორტსმენები მახსენდება და კიდევ ერთხელ ვრწმუნდები: ყველა გზა მართლა კუკიაზე მიდის.

2002 წელს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (63222 კვ.მ.) თავდაცვის სამინისტროს უკან მდებარე ფერდობზე იმთავითვე სასაფლაოსთვის განკუთვნილ მიწად გაიყიდა 423010 ლარად. ამ შემთხვევაში 1 კვ.მ. ახალ მეპატრონეს 6,6 ლარი დაუჯდა, მაგრამ ადგილის გათვალისწინებით (იგი გზის პირას არ მდებარეობს) აქ ორკაციანი საფლავისთვის განკუთვნილ მიწას 500 ლარადაც იშოვნი.

რაც შეეხება ჯიქიას ქუჩაზე მდებარე კერძო სასაფლაოს, იგი ადმინისტრაციულად მცხეთა-მთიანეთს ეკუთვნის, მაგრამ იქ უმთავრესად თბილისელები იკრძალებიან. 15 ჰექტარი მიწის ნაკვეთიდან სასაფლაოს, ჯერჯერობით, მხოლოდ ოთხი ჰექტარი უკავია, თუმცა დარჩენილი ფართის ათვისება მხოლოდ მის დღევანდელ მფლობელს შეუძლია. აქ ფასები შედარებით დაბალია (1 ადგილი - 100 ლარი), სამაგიეროდ, მიწაა ბევრი და სტატისტიკური მონაცემების გათვალისწინებით უნდა ვივარაუდოთ, რომ მალე ამ სასაფლაოზეც ახალ ტარიფებს დაადგენენ.

ერთმა ჭირისუფალმა შემომჩივლა, როდესაც კერძო სასაფლაოზე შეძენილ მიწის ნაკვეთში გადახდილი თანხის დამადასტურებელი ცნობა მოვითხოვე, ცივი უარით გამომისტუმრესო. ესეც სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის ურთიერთობის ჩვენებური ფორმაა: აფორმებ ცოტას, იგებ ბევრს, სახელმწიფოს კი - ვირის თავ-ფეხი.

# ბიზნესმენები წყლის ტარიფის ძველ ნიშნულზე დაბრუნებას მოითხოვენ



*"არ გადავიხდით წყლის გადასახადს, სანამ იგი ძველ ნიშნულს არ დაუბრუნდება. ნუ შექმნით დაძაბულობას ხელოვნურად," - აცხადებენ ბიზნესმენები.*

დიანა ჩაჩუა

**"ახალ საგადასახადო კოდექსში შესული შეღავათები სულ წყალს მიაქვს. არ გადავიხდით წყლის გადასახადს, სანამ იგი ძველ ნიშნულს არ დაუბრუნდება. ნუ შექმნით დაძაბულობას ხელოვნურად,"** - განაცხადა კომპანია "ყაზბეგის" დირექტორმა გოგი თოფაძემ გუშინ თბილისის საკრებულოში გამართულ შეხვედრაზე. **"მეგონა, რომ წყლის გადასახადი ბიუჯეტში მიდიოდა, მაგრამ თურმე წყალკანალში მიდის. დამისაბუთეთ, რაში იხარჯება ჩემს მიერ გადახდილი თანხები,"** -. მიმართა კომპანია "კოკა-კოლას" დირექტორმა თემურ ჭყონიამ საკრებულოს წევრებს და "წყალკანალს".

საქმე ისაა, რომ ბიზნესმენები წყლის დიფერენცირებული ტარიფის შემოღების შესახებ საკრებულოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას აპროტესტებენ, რომლის თანახმად, თბილისის კერძო კომპანიებისთვის ერთი კუბური მეტრი წყლის ღირებულება 1,60 ლარიდან 4,80 ლარამდე გაიზარდა. მათი აზრით, მხოლოდ დედაქალაქში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გადასახადის გაზრდა არაკონკურენტულ გარემოს ქმნის და წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებას მნიშვნელოვნად ზრდის.

როგორც საკრებულოს წევრებთან გამართულ შეხვედრაზე მსხვილი და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, მეწარმეები გაზრდილ ტარიფს ვერ გადაიხდიან და იძულებული გახდებიან, საწარმოები დედაქალაქის გარეთ გადაიტანონ. **"ამით, მარტო ჩემს შემთხვევაში, თბილისი 420 სამუშაო ადგილს, ხოლო ბიუჯეტი ორ ნახევარ მილიონ ლარს დაკარგავს. თქვენ გინდათ, რომ თბილისი გაკოტრდეს?!,"** - "დააშანტაჟა" თოფაძემ საკრებულოს წევრები.

ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსი ემზარ ჯგერენაია ეთანხმება ბიზნესმენებს და ამბობს, რომ ტარიფის მხოლოდ დედაქალაქის მეწარმეთათვის გაზრდა ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევაა.

თავად საკრებულო თანახმაა, გადახედოს მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. საკრებულოს ერთ-ერთმა წევრმა გია მურღულიამ კი პირდაპირ განაცხადა, რომ თბილისის საკრებულომ ტარიფთან დაკავშირებით მცდარი გადაწყვეტილება მიიღო. შეხვედრაზე მიღებული გადაწყვეტილებით, კერძო სექტორისათვის წყლის ტარიფის მომატება დროებით შეჩერდება და ამ საკითხს სპეციალური კომისია შეისწავლის.

თავის მხრივ, "თბილწყალკანალის" ხელმძღვანელის, იუზა ცარციძის განცხადებით, კერძო სექტორისათვის წყლის ტარიფის მომატება სამსახურის გაკოტრებისაგან დაცვის ერთადერთი საშუალებაა. **"საბიუჯეტო ორგანიზაციებისაგან წყლის საფასურის ამოღებას "თბილწყალკანალი", ფაქტობრივად, ვერ ახერხებს, დაბალია მოსახლეობის მხრიდან წყლის საფასურის ამოღების მაჩვენებლებიც. მაშინ კომპანიის გადასარჩენად მომავალი წლის ბიუჯეტიდან დაფინანსება უნდა გაიზარდოს,"** - განაცხადა ცარციძემ.

# ნიკა გილაური დარგში ახალგაზრდა კადრების მოზიდვას გეგმავს

რა უნდა ისწავლონ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის სტუდენტებმა და რა უნდა ასწავლონ მათ პროფესორ-მასწავლებლებმა - ეს საკითხი ენერგეტიკის ფაკულტეტის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს 15 ოქტომბერს თავად ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა გადაუჭრა, რომელმაც მათ სამინისტროში შემუშავებულ სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკის ახალი პროექტი წარუდგინა. მინისტრის განცხადებით, ეს პოლიტიკა იმაზეა ორიენტირებული, რომ დარგი თვითმყოფადი, კომერციულად მომგებიანი გახდეს.

მინისტრი მნიშვნელოვნად მიიჩნევს ენერგეტიკული პოლიტიკის პროექტის განხილვაში ენერგეტიკის ფაკულტეტის სტუდენტების - მომავალი ენერგეტიკოსების მონაწილეობას, რომლებმაც სამომავლოდ უნდა მართონ დარგი და ამ პოლიტიკით უშუალოდ იხელმძღვანელონ.

მისი თქმით, დარგში ამჟამად ძალიან ბევრი პროფესიონალი მუშაობს, მაგრამ მათი ასაკი 50 წელს სცილდება. **"არადა, ჩვენ ახალი ხედვა და ახალი სისხლი გვჭირდება. მოგიწოდებთ, რომ ენერგეტიკით დაინტერესდეთ,"** - განუცხადა გილაურმა მომავალ ენერგეტიკოსებს.

*24 საათი*

# გერმანია ქართული ენერგოსექტორით დაინტერესდა

18- 20 ოქტომბერს ბონში საქართველოს და გერმანიის მთავრობები ფინანსური და ტექნიკური თანამშრომლობის თაობაზე მოლაპარაკებებს გამართავენ. აღნიშნული თანამშრომლობის შესახებ ორ ქვეყანას შორის დიალოგი ყოველწლიურად მიმდინარეობს.

ბონში შეთანხმდება საქართველო-გერმანიის თანამშრომობის პროექტები 2005-2006 წლებისთვის. როგორც ევროინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა თამარ ბერუჩაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, წინასწარი ინფორმაციით ცნობილია, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა ჩვენს ქვეყანას 2004-2005 წლებისთვის დასახმარებლად გამოუყოფს 26 მლნ ევროს. 18 მილიონ ევროს - შეღავათიანი კრედიტის სახით, ხოლო რვა მილიონი ტექნიკურ დახმარებას მოიცავს.

როგორც ბერუჩაშვილმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა, გერმანულმა მხარემ თანხმობა განაცხადა, რეაბილიტაციის პროგრამები განახორციელოს სამხრეთ ოსეთში. სახელმწიფო მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანია არა მარტო ეხმარება საქართველოს, არამედ იგი უკვე ჩვენი ქვეყნით კომერციული თვალსაზრისითაც დაინტერესდა. კერძოდ, ბერუჩაშვილის ინფორმაციით, ერთ-ერთი გერმანული ბანკი – "KFW" - ქართული ენერგოსექტორით დაინტერესდა.

საქართველოს საელჩოს ინიციატივით, ნოემბრის თვისთვის, ბერლინში დაგეგმილია ეკონომიკური ფორუმი, რომელიც ორი ქვეყნის ბიზნეს-შესაძლებლობებს წარმოაჩენს და საქართველოსა და გერმანიას შორის ბიზნეს-თანამშრომლობის პრესპექტივებს განიხილავს. **24 საათი**

# მადნეულს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

"მადნეულს" დღეიდან ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. საწარმოს სამეთვალყურეო საბჭომ გენერალური დირექტორის თანამდებობაზე გუშინ რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენი კობა ნაყოფია დაამტკიცა, რომელსაც მცირე მოცულობის ბიზნესი საქართველოშიც აქვს. სახელისუფლებო წრეები მას ეკონომიკის მინისტრის კახა ბენდუქიძის კადრად მიიჩნევენ. შეგახსენებთ, რომ "მადნეულის" ყოფილმა გენერალურმა დირექტორმა ვასილ ცოტაძემ თანამდებობა 12 ოქტომბერს დატოვა. მას შემდეგ, ამ პოსტისთვის სამი კანდიდატი იბრძოდა - დიმიტრი კალანდაძე, კობა ნაყოფია და მედგარ გავაშვილი. სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, უსავარძლოდ არც მეორე პრეტენდენტი – საწარმოთა რესტრუქტურიზაციის და მენეჯმენტის დახმარების ცენტრის უკვე ყოფილი თანამშრომელი დიმიტრი კალანდაძე დარჩება. იგი, სავარაუდოდ, "კვარციტის" გენერალური დირექტორი გახდება.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის ინიციატივით, 15 ივნისიდან 15 დეკემბრამდე ხორბლისა და ფქვილის იმპორტზე 12-პროცენტიანი სეზონური საბაჟო გადასახადი წესდება. კომიტეტმა "საბაჟო ტარიფებისა და გადასახდელების შესახებ" კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი მოამზადა, რადგან მიიჩნია, რომ ეს ცვლილება პურზე ფასების სტაბილიზაციას, ფქვილის ადგილობრივ წარმოებას, საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას და მუშახელის დასაქმებას უზრუნველყოფს. პროექტი პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა განიხილა და მას მხარი დაუჭირა, თუმცა როგორც კომიტეტის თავმჯდომარემ რომან გოცირიძემ განაცხადა, კანონპროექტში დაწესებული ვადა სამ თვემდე უნდა შემცირდეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ოქროს და სხვა ძვირფასი ლითონების სავალდებულო დადაღვის წესის გაუქმებას ითვალისწინებს ფინანსთა სამინისტროს მიერ პარლამენტში წარდგენილი "ძვირფასი ლითონებისა და ქვების სახელმწიფო კონტროლის ანალიზის და დადაღვის შესახებ" კანონში ცვლილებების კანონპროექტი. პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წევრს შოთა გვენეტაძეს დაუშვებლად მიაჩნია სასინჯი კონტროლის დაკისრება კერძო ლაბორატორიებზე, რომლებიც ამ საქმიანობის კვალიფიციურად აღსრულების დასადასტურებლად ლიცენზიას არ მოიპოვებენ. კომიტეტის თავმჯდომარემ რომან გოცირიძემ ფინანსთა მინისტრის მოადგილეს ზურაბ ანთელიძეს პროექტში მომსახურების სერტიფიცირების თაობაზე განმარტებების შეტანა დაავალა, წინააღმდეგ შემთხვევაში პროექტი დადებით დასკვნას ვერ მიიღებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მთავრობის ინიციატივით, საქართველოში ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური გეგმის არსებობის აუცილებლობა უქმდება. სავალდებულო აღარ იქნება მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი ინდიკატური გეგმების შექმნა, ხოლო რაც შეეხება ფისკალურ პროგნოზს, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტის შექმნისთვის არის საჭირო, ამას ფინანსთა სამინისტრო გააკეთებს. პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა აღნიშნულ კანონპროექტს მხარი არ დაუჭირა. როგორც კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ლადო პაპავამ განაცხადა, აღნიშნული კანონპროექტის გაუქმებით, ფაქტობრივად, უქმდება ეკონომიკის სამინისტრო, რადგან მისი ძირითადი ფუნქცია აღარ იარსებებს. როგორც კომიტეტის სხდომაზე ექსპერტმა მიხეილ ჯიბუტმა განაცხადა, მსოფლიოში არ არსებობს არცერთი ქვეყანა, სადაც "ქაღალდზე არ იყოს დაწერილი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგია". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის რომან გოცირიძის განცხადებით, კომიტეტთან შეიქმნა კომისია, რომელიც კონტროლის პალატის საქმიანობას შეამოწმებს. კომისიის თავმჯდომარედ რომან გოცირიძემ კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ ბუცხრიკიძე წარადგინა. კომიტეტში შევიდა დეპუტატ ზურაბ გვარამიას ინიციატივა, რომელიც პალატის თავჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლების ახალ წესს შეეხება. ეს წინადადება ითვალისწინებს პალატის თავმჯდომარის გათავისუფლებას პარლამენტის წევრთა 1/4-ის მოთხოვნით. რომან გოცირიძის განცხადებით, კომიტეტი ამ ინიციატივას ვერ გაიზიარებს, რადგან ის ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 64-ე მუხლს, რომლის მიხედვითაც, პალატის თავმჯდომარის გადაყენება იმპიჩმენტის წესით ხდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში ნოუთ-ბუქების აწყობა იწყება. ჯგუფი "სამგორი 94" და კომპიუტერული კომპანია "მაქს-ტოპ-პირველი" საქართველოში აწყობილი პირველი ნოუთბუქის პრეზენტაციას ხვალ გამართავენ. როგორც "24 საათს" "სამგორი 94"-ის ოფისიდან აცნობეს, ახალი კომპიუტერი ცნობილი კომპიუტერების მწარმოებლის "ინტელის" ბაზაზეა აწყობილი, იგი არ საჭიროებს კაბელს და ნებისმიერი წერტილიდან თავისით შედის ინტერნეტში. **24 საათი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში ავტომობილების იმპორტიორი კომპანიები ახალი "საგადასახადო კოდექსის" პროექტში აღნიშნული საქმიანობისთვის დაფიქსირებული გადასახადების გაზრდის გამო პროტესტს გამოთქვამენ. როგორც ავტომობილების იმპორტიორთა ასოციაციაში განაცხადეს, ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებული კოდექსის პროექტის მიხედვით, ავტომობილების იმპორტიორებისთვის გადასახადები სავარაუდოდ 26 პროცენტით იზრდება, რაც ავტომატურად იმპორტიორი კომპანიების დახურვას გამოიწვევს. მსოფლიოს ისეთი ცნობილი კომპანიები, როგორებიც არიან "მერსედესი", "ფოლკსვაგენი", "ბმვ", "რენო", "ოპელი", "აუდი", "პეჟო", "ტოიოტა", "ვოლვო", "შკოდა", "ჰონდა" და სხვები, პროექტში შეტანილი გაზრდილი გადასახადების გამო, საქართველოში ოფიციალური წარმომადგენლობების დახურვით იმუქრებიან. **ინტერ-პრესი**


## ს/ს თელასის" განცხადება

**ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:**

**18 ოქტომბერს, 10.00-დან 15.00-სთ-მდე:**

**გამსახურდიას გამზირის(ნაწილობრივ), კოსტავას(ნაწილობრივ), ცინცაძის, დოლიძის, ბახტრიონის, ენგურის, პანკისის ქუჩების მაცხოვრებლებს.**

**18 ოქტომბერს, 11.00-დან 15.00-სთ-მდე:**

**შავთელის, ჩალაუბნის, ჩახრუხაძის, ნაკაშიძის, რკინის რიგის, ბამბის რიგის, შარდენის, ერეკლე II-ს, სიონის, ივერიის, ანტონ კათალიკოსის ქუჩების მაცხოვრებლებს.**

**18 ოქტომბერს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:**

**კიკვიძის, ფარავნის, მიჩურინის, თეთნულდის, როსტოვის, ქინქლაძის, ყირიმის, პალიასტომის, ჩიტაიას, ლარეხის, ართვინის, მამარდაშვილის, მნათობის, ჩეჩელაშვილის, უფლისციხის, ნორიოს, საქარის, ქვალონის, ცაიშის, ასხინის, სალხინოს, ლებარდეს, სენაკის, ხონის ქუჩების მაცხოვრებლებს.**

**18 ოქტომბერს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:**

კოკინაკის, მოლოკოვის, ჯავის, ასურეთის, ლიუბოვსკის, ზეკარის, კიშინიოვის, სვირის, დარკვეთის, გეგუთის, ბენდელიანის, წერონისის, მირზაანის, სანავარდოს, მაჩხაანის, ლისაშვილის, თოდრიას, ბუგეულის ქუჩების მაცხოვრებლებს.


# სადაზღვევო სექტორი - შეღავათი უცხოელებს

### საგანგებოდ ამერიკული სადაზღვევო კომპანიისთვის, საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანა იგეგმება

*მოქმედი კანონმდებლობა საქართველოს ტერიტორიაზე უცხოეთის ქვეყნების სადაზღვევო ორგანიზაციების საქმიანობას კრძალავს. ახლა კი მთავრობამ შეიმუშავა კანონპროექტი, რომელიც ევროპის განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრ ქვეყნებში რეგისტრირებული და ლიცენზირებული სადაზღვევო და დამზღვევი ორგანიზაციებისთვის საქართველოში ფილიალების დაფუძნების უფლების მინიჭებას ითვალისწინებს.*

გუშინ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა სადაზღვევო დილემის შესახებ იმსჯელა. კერძოდ, განიხილა "დაზღვევის შესახებ საქართველოს" კანონში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების პროექტი, რომელიც უცხოურ სადაზღვევო კომპანიებს მუშაობის შეღავათიან პირობებს სთავაზობს. ახალი კანონპროექტის მიხედვით, ევროპის ეკონომიკური განვითარების და თანამშრომლობის ქვეყნებში დაფუძნებულ სადაზღვევო კომპანიებს უფლება ექნებათ, როგორც არარეზიდენტებმა, საქართველოში საქმიანობა ფილიალის მეშვეობით აწარმოონ. ეს კი ნიშნავს, რომ ამ ფილიალებს არ მიენიჭებათ იურიდიული პირის სტატუსი და არ მოეთხოვებათ საწესდებო კაპიტალის შექმნა, რის ვალდებულებაც ადგილობრივ სადაზღვევო კომპანიებს აკისრიათ. ფაქტობრივად, ისინი არ იქნებიან ანგარიშვალდებულნი საქართველოში მოქმედი რეგულირების ინსტიტუტების წინაშე.

როგორც ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ზურაბ ანთელიძემ განაცხადა, უცხოური სადაზღვევო კომპანიების მიერ საქართველოში გახსნილი ფილიალები გადასახადებს ქართული კომპანიების მსგავსად გადაიხდიან. მთავრობაში მიიჩნევენ, რომ ეს საქართველოში სადაზღვევო ურთიერთობათა განვითარებას და ქვეყანაში საინვესტიციო კაპიტალის მოზიდვას შეუწყობს ხელს.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის რომან გოცირიძის ინფორმაციით, საქართველოში მუშაობის სურვილი უკვე გამოთქვა მსხვილმა ამერიკულმა სადაზღვევო კომპანიამ, რომელსაც არ სურს "ქართული რეგულირების ჩარჩოებში მოქცევა". არადა, სადაზღვევო კომპანიასა და მომხმარებელს შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში, საქმე იმ ქვეყნის სასამართლომ უნდა გაარჩიოს, რომელ ქვეყანაშიც არის რეგისტრირებული სადაზღვევო კომპანია.

გოცირიძემ აღნიშნა, რომ საქართველოში საწესდებო კაპიტალის არსებობისა და საკუთარი მოგება-შემოსავლების რეზერვების უცხოეთში შექმნის შემთხვევაში, რაიმე დარღვევის აღმოჩენის დროს, გართულდება ამ კომპანიების ქონების დაყადაღება და სამართლებრივი დავები ავტომატურად უცხოეთში გადაინაცვლებს. ამას გამორიცხავს ზურაბ ანთელიძე, რომელიც აღნიშნავს, რომ შეღავათიანი პირობები გათვალისწინებულია მხოლოდ ეკონომიკური განვითარების თანამშრომლობის ქვეყნებისთვის, სადაც სადაზღვევო კომპანიათა რეგულირების მექანიზმი დახვეწილია.

უცხოური სადაზღვევო კომპანიებისთვის საქართველოში საქმიანობის შეღავათიანი პირობების დაკანონების წინააღმდეგია საქართველოს სადაზღვევო ასოციაციის ხელმძღვანელი დევი ხიჩინაშვილი. მისი თქმით, ფინანსთა სამინისტროს მიერ პარლამენტში წარდგენილი საკანონმდებლო ცვლილებები უცხოურ კომპანიას ქართული ლიცენზიით საქმიანობას არ ავალდებულებს, რაც საქართველოდან კაპიტალის გადინებას შეუწყობს ხელს. მას გაუმართლებლად მიაჩნია 4-პროცენტიანი გადასახადის დაწესება მხოლოდ ადგილობრივი სადაზღვევო კომპანიებისთვის და ამ საგადასახადო ვალდებულებისგან უცხოელების გათავისუფლება. ადგილობრივი სადაზღვევო კომპანიებს თანხის გადარეზერვებისას 4 პროცენტის გადახდა ეკისრება. ხიჩინაშვილის ინფორმაციით, მთავრობა აღნიშნულ საკანონმდებლო ცვლილებებს მხოლოდ ერთი ამერიკული სადაზღვევო კომპანიის "AIG"-ისთვის ღებულობს, "რათა შემდეგ ამტკიცოს, რომ საქართველოში შექმნილი სტაბილური პოლიტიკური მდგომარეობა უცხოელებს იზიდავს".

ხიჩინაშვილის აზრს იზიარებს ეკონომიკის ექსპერტი მიხეილ ჯიბუტიც. მისი შეფასებით, ეს ცვლილებები საქართველოში საპენსიო სისტემებისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფორმირებას შეაფერხებს.

*24 საათი*

# საქართველოში გაზის მიღების ალტერნატიული გზა ინერგება

*უკვე მეოთხე წელია, რაც მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით საქართველოს ფერმერულ მეურნეობებში ბუნებრივი გაზის მიღების ალტერნატიული მეთოდის გავრცელება და დანერგვა მიმდინარეობს. ნაკელის საშუალებით მოსახლეობას ბუნებრივი აირით მომარაგება ბიო-გაზის დანადგარით ხორციელდება. აღნიშნული პროცესი სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების პროექტის ფარგლებში, გარემოს გლობალური დაცვის ფონდის გრანტის სახსრებით და სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ზედამხედველობით ხორციელდება. პროექტის ავტორების აზრით, ბიო-გაზის დანადგარების დანერგვას სამმაგი ეფექტი მოაქვს - მოსახლეობა სითბოს ტყეების გაჩეხვისა და გარემოს დაბინძურების გარეშე იღებს.*

დიანა ჩაჩუა

2001 წლიდან საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირების და სწავლების პროექტი ხორციელდება, რომლის მიზანიც სასოფლო-სამეურნეო ცოდნის ეფექტური და რენტაბელური სისტემის შექმნაა. **"სასოფლო-სამურნეო ეკონომიკაში მომხდარი ბევრი დადებითი ცვლილების პარალელურად, ეს სექტორი გახანგრძლივებული გარდამავალი პერიოდის გარკვეულ უარყოფით ზეგავლენასაც განიცდის, რაც სასოფლო-სამეურნეო საწარმოო საშუალებების ხელმიუწვდომლობასა და დაბალ ხარისხში, მიწების ფრაგმენტაციაში, სასოფლო-სამეურნეო კვლევითი და საინფორმაციო-საკონსულტაციო სისტემების მოშლასა და ტრადიციული საექსპორტო ბაზრის დაკარგვაში გამოიხატება,"** - აცხადებენ პროექტის ავტორები და იქვე ამატებენ, რომ, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის გზით, პროექტი ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდასა და გარემოს დაბინძურების შემცირებას.

სწორედ აღნიშნული პროექტის ფარგლებში მოქმედებს გარემოს დაბინძურების შემცირების პროგრამა, რომლის მიზანსაც ფერმერულ მეურნეობებში ნაკელის შეგროვებისა და გადამუშავების გაუმჯობესებული მეთოდების დანერგვა და ბიო-გაზის დანადგარების გავრცელება წარმოადგენს. პროგრამა გარემოს გლობალური დაცვის ფონდის ორნახევარ მილიონიანი გრანტის საშუალებით ხორციელდება, რაც ფერმერებისთვის ბიო-გაზის დანადგარების აშენებას ხმარდება. თუმცა გრანტი სამუშაოების ხარჯების მხოლოდ 80 პროცენტს აფინანსებს, დანარჩენი 20 პროცენტი ფერმერზე მოდის. როგორც პროექტის ერთ-ერთმა მონაწილემ განაცხადა, აღნიშნული თანხის ნახევარი უკვე ათვისებულია.

ბუნებრივი აირის აღნიშნული ხერხით მიღების პრაქტიკა საქართველოში პროექტის დაწყებამდეც არსებობდა, თუმცა, როგორც დარეჯან კაპანაძემ "24 საათთან" საუბარში აღნიშნა, წინამდებარე მეთოდები ყურმოკრული და კუსტარული იყო, რის შედეგადაც მიღებული დანადგარები მოსახლეობისთვის საშიშროებასაც კი წარმოადგენდა.

მიმდინარე კვირას დაბა ჩაქვში ჩატარდა კონფერენცია - "შავი ზღვის აუზის ეკოლოგიური პრობლემები და გარემოსათვის ნაკლებად მავნე სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიები". კონფერენციის ფარგლებში სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირების და სწავლების პროექტის შედეგების ერთგვარი პრეზენტაცია მოეწყო. კონფერენციაზე წარმოდგენილნი იყვნენ პროექტის ავტორები, გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წარმომადგენლები, დეპუტატები, მეცნიერები, კერძო სექტორი და თვით ის ფერმერები, რომელთაც ხსენებული პროექტის ფარგლებში მიიღეს დახმარება. კონფერენციის განმავლობაში ორგანიზატორებმა მონაწილეებს აჭარაში მათი მუშაობის შედეგი პრაქტიკულად აჩვენეს და რამოდენიმე გრანტის მიმღები ფერმერის ბიო-გაზის დანადგარი მოინახულეს.

პროგრამამ თავდაპირველად ხობის წყლის აუზი მოიცვა, შემდეგ კი აჭარაშიც გავრცელდა და დღეს გრანტის მიმღები ფერმერების რიცხვი 200 აღწევს. სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირების და სწავლების პროექტი 2005 წელს სრულდება, თუმცა, როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, პროექტი, შესაძლოა, ერთი წლით გაგრძელდეს. ბიო-გაზის დანადგარების მსურველების დიდი რაოდენობის გამო, პროექტის ხელმძღვანელები აჯიბრებენ მათ. **"იმას გავუწევთ დახმარებას, ვინც ყველაზე მეტ პროცენტს გადაიხდის. შედეგად კი გაიზრდება გრანტის მიმღებთა რაოდენობაც,"** - დაამატა კაპანაძემ. მისი ინფორმაციით, გარკვეულმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა უკვე გამოთქვეს სურვილი, დაფინანსება გაუწიონ საქართველოს სხვა რეგიონების ფერმერებსაც და დაინტერესებულ ორგანიზაციებს შორის "ქეარი" მოიხსენია.

საქართველოს სოფლის მეურნობაში აღნიშნული პრობლემების მოგვარება, დარეჯან კაპანაძის მოსაზრებით, ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის მდგრადობას, ქართული პროდუქციის საერთშორისო ბაზარზე დამკვიდრებას და წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ევროკავშირში ინტეგრაციისკენ. **"ჩვენ ხელს შევუწყობთ დარგში საინფორმაციო ბანკის შექმნას, რაც ევროკავშირის ერთ-ერთი მოთხოვნაა. ასევე აუცილებელია მოვახდინოთ კანონმდებლობის ანალიზი და შევქმნათ სოფლის მეურნეობის კოდექსი, რაც ევროკავშირის ყველა წევრ ქვეყანას გააჩნია,"** - ასე გამოიყურება დარეჯან კაპანაძის სამომავლო გეგმები.

# მცირე მეწარმეებისთვის ახალი საგადასახადო კოდექსი მიუღებელია

ბექა ევგენიძე

პარლამენტში განსახილველად შესული ახალი საგადასახადო კოდექსი მცირე მეწარმეებისთვის აბსოლუტურად მიუღებელია. როგორც 15 ოქტომბერს გამართულ პრესკონფერენციაზე მეწარმეთა ასოციაციის თავმჯდომარემ ანზორ საკანდელიძემ განაცხადა, **"ამ საგადასახადო კოდექსის მიღება არის მცირე ბიზნესის ღალატი და დაღუპვა. არ შეიძლება მცირე და მსხვილი მეწარმეები ერთნაირი გადასახადებით იბეგრებოდნენ. თუ მცირე ბიზნესისთვის ფიქსირებული გადასახადები არ შემოვა, მცირე მეწარმეობა აღარ იარსებებს. ამ სახის გადასახდის შემოღებას კი, ხელს ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი უშლის. ვინც ფიქსირებული გადასახადის შემოღებას ეწინააღმდეგება, ავტომატურად მხარს უჭერს საგადასახადო კორუფციას."**

მცირე მეწარმეებისთვის განსაკუთრებით მიუღებელია კოდექსის 238-ე მუხლი, რადგანაც ამ მუხლით მეწარმეებს დამატებითი ღირებულების გადასახადი, ფაქტობრივად, მთლიანი ღირებულების, ანუ ბრუნვის გადასახადად გადაექცათ.

პრესკონფერენციაზე ასევე განაცხადეს, რომ შეიქმნა მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის საინციატივო ჯგუფი, რომელშიც გაერთიანდნენ ბრიტანული საქველმოქმედო ორგანიზაცია "ოქსფამი" საქართველოში, მცირე მეწარმეთა ასოციაცია, მცირე და საშუალო სავაჭრო-სამრეწველო მეწარმეთა კავშირი, გამომცემლობა "დიოგენე" და სხვა ორგანიზაციები.

საქართველოს თავისუფალ მცირე მეწარმეთა ასოციაცია და მისი ხელშემწყობი საინციატივო ჯგუფი ხელისუფლებას სთავაზობს მოქმედ საგადასახადო კოდექსში ცვლილებებსა და დამატებებს, რომელიც მცირე მეწარმეებისთვის ალტერნატიული, ფიქსირებული საგადასახადო რეჟიმების შემოღებას გულისხმობს. საკანდელიძის თქმით, მან ეს შენიშვნები საქართველოს პრემიერ-მინისტრს ზურაბ ჟვანიას უკვე წარუდგინა, თუმცა ამას გამოხმაურება არ მოჰყოლია.

# უკრაინა გზაგასაყართან - დასავლეთი თუ აღმოსავლეთი?



*ორ კვირაში გაირკვევა, გაიზიარებს თუ არა ლეონიდ კუჩმა ედუარდ შევარდნაძის ხვედრს.*

*დემოკრატია უკრაინაში არასოდეს ყოფილა "მზეთუნახავი", მაგრამ ასე ცუდად, როგორც ახლა, საპრეზიდენტო არჩევნების წინ, იგი არასოდეს გამოიყურებოდა, - წერს ბრიტანული "თაიმსი", - ჯერ საპრეზიდენტო მარათონის ლიდერმა თავისი ოპონენტები მოწამვლის მცდელობაში დაადანაშაულა, მოგვიანებით, ოპოზიციურ კოალიციაში მის მთავარ პარტნიორზე საერთაშორისო ძებნა გამოცხადდა. მცირე ხნის შემდეგ კი მათი ოპონენტი საავადმყოფოში ხვდება, როგორც ირკვევა იმის გამო, რომ კვერცხი მოხვდა.*

ნიკა თარაშვილი

31 ოქტომბერს დანიშნულ არჩევნებამდე დაახლოებით ორ კვირაა დარჩენილი, წინასაარჩევნო კამპანია კი, უკვე გადაიქცა ბინძური მეთოდების გამოყენებისა და ცილისწამებათა ტალღად, რომელმაც უკრაინა ლამის წალეკოს.

წინასაარჩევნო კამპანიის "ველურ" მიმდინარეობას უცხოელი ექსპერტები, არც მეტი არც ნაკლები, დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ნამდვილი ბრძოლის არსებობით ხსნიან.

რა ხდება უკრაინაში? რითი აიხსნება წინასაარჩევნო ბრძოლის ასეთი დრამატულობა?

ყველა, როგორც დასავლეთში, ასევე რუსეთში, ერთხმად აღნიშნავს, რომ უკრაინა გზაგასაყარზე დგას, რომ 31 ოქტომბრის არჩევნები გარდამტეხი მომენტი იქნება ქვეყნის განვითარებაში და ა.შ. თუ უკრაინის საზღვრებთან შექმნილი სიტუაციიდან შევაფასებთ, ეს მართლაც ასეა, დღეს უკრაინას დასავლეთიდან დემოკრატიული, განვითარებული, აღმავლობის გზაზე მდგომი, გაფართოებული ევროკავშირი და ნატო ესაზღვრება (პოლონეთის სახით), აღმოსავლეთიდან კი რუსეთი, რომლის დემოკრატიულობაზე (ამ ცნების დასავლურ პოლიტიკურ მეცნიერებაში დამკვიდრებული გაგებით) დღეს აღარც დავობენ - რუსეთმა აშკარად ავტორიტარული მმართველობის გზა აირჩია, - ერთხმად აცხადებენ ევროპისა და ამერიკის გავლენიანი პოლიტოლოგები და მოქმედი პოლიტიკოსები. მსოფლიოში შექმნილი ნავთობკრიზისით გამოწვეული რუსეთის ეკონომიკური აღმავლობაც, სავარაუდოდ, არ იქნება გრძელვადიანი და ალბათ, ყველა პრობლემის გადაწყვეტას ვერ შეძლებს, მით უმეტეს იმ ფონზე, როცა კრემლი თავისუფალი ბიზნესის წახალისების ნაცვლად, მის სრულ გაკონტროლებას ლამობს. მოკლედ, უკრაინისთვის ეს მართლაცდა ისტორიული არჩევანია, არჩევანი დასავლურ, დემოკრატიულ მოდელსა და აღმოსავლურ, ავტორიტარულს შორის, - ასკვნის ექსპერტთა თუ უბრალოდ ,დამკვირვებელთა უმრავლესობა.

არჩევნებმა პრეზიდენტ კუჩმას ათწლიან დისკრედიტირებულ მმართველობას უნდა მოუღოს ბოლო, რომლისთვისაც ოლიგარქიული კაპიტალიზმი, გადაწყვეტილებების ერთპიროვნულად მიღება და მოსკოვსა და დასავლეთს შორის დიპლომატიური ბალანსირება იყო დამახასიათებელი. კუჩმას ადგილის დაკავებისთვის ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრი, კუჩმას მიერ მემკვიდრედ დასახელებული ვიქტორ იანუკოვიჩი და პროდასავლური პოლიტიკოსი, ყოფილი პრემიერ-მინისტრი ვიქტორ იუშენკო შეეცილება ერთმანეთს. ორივე პრეტენდენტის კურსი ღიადაა გაცხადებული, - თუ იანუკოვიჩი კუჩმას მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და რუსეთთან ინტეგრაციის გაღრმავების დაპირებით გამოდის, იუშენკო კორუფციის აღმოფხვრას, ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებასა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან დაახლოებას აპირებს.

უკრაინის არჩევნებზე ფსონებიც ღიად კეთდება. პოსტსაბჭოთა სივრცეში დასავლეთის გავლენის გაძლიერებით შეშფოთებული მოსკოვი თავისი სიმპათიების დამალვას არც ცდილობს. გასულ შაბათს მოსკოვში უკრაინის პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის დუეტი, ფაქტობრივად, პუტინისგან იანუკოვიჩის ხელდასხმის მისაღებად იმყოფებოდა. "რუსეთი პატივისცემით მოეკიდება უკრაინელი ხალხის ნებისმიერ არჩევანს, - ამბობს პუტინი უკრაინელებთან შეხვედრისას, თუმცა იქვე დასძენს, - რასაკვირველია, ჩვენთვის სულერთი არ არის ეს არჩევანი".

თავის დამოკიდებულებას უკრაინის არჩევნების მიმართ კრემლივით აშკარად არა, მაგრამ მაინც ყველასთვის გასაგები ფორმით გამოხატავს შეერთებული შტატებიც. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა ორი დღის წინ ოფიციალური განცხადება გაავრცელა, სადაც ნათქვამია, რომ საპრეზიდენტო არჩევნების გაყალბების შემთხვევაში თეთრი სახლი გადახედავს თავის ურთიერთობებს ოფიციალურ კიევთან.

ვაშინგტონი ადასტურებს თავის განზრახვას, მხარი დაუჭიროს უკრაინის მონაწილეობას ევროატლანტიკურ თანამეგობრობაში. ასევე მზადყოფნას, მჭიდროდ ითანამშრომლოს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების შედეგად გამარჯვებულ ნებისმიერ კანდიდატთან. თუმცა... - აქ კი ყველაზე მთავარი ფრაზა იწყება: "თუმცა, ამავდროულად, იმ შემთხვევაში, თუ არჩევნები არ დააკმაყოფილებს დემოკრატიულ სტანდარტებს, უკრაინისთვის არარეალური იქნება ასეთი მოლოდინების რეალიზაცია და ასევე, მოგვიხდება მათთან ურთიერთობების გადახედვა, ვინც არჩევნებში მაქინაციებითა და მანიპულაციებით იქნება დაკავებული", - ხაზგასმულია განცხადებაში. ალბათ, დიდი მკითხაობა არ სჭირდება იმის გამოცნობას, თუ ვის მისამართით გაკეთდა ეს განცხადება. თუმცა, ყოველი შემთხვევისთვის, რომ არავის მიეცეს ამ განცხადების ორგვარად განმარტების საფუძველი, სახელმწიფო დეპარტამენტი აზუსტებს: "ჩვენ გაწბილებულნი ვართ, რომ დღეისათვის წინასაარჩევნო კამპანია (უკრაინაში) საერთაშორისო სტანდარტებს ვერ პასუხობს. ოპოზიციური მიტინგების დარბევა, დამოუკიდებელი მედიის შეზღუდვა, "ადმინისტრაციული რესურსის" გამოყენება და სხვა სერიოზული დარღვევები უკრაინის ხელისუფლების ერთგულებას დემოკრატიული ფასეულებებისადმი ეჭვქვეშ აყენებს," - ნათქვამია დეპარტამენტის განცხადებაში.

მოკლედ, თეთრი სახლი უკანასკნელად აფრთხილებს კუჩმას რეჟიმს და მუქარასაც არ ერიდება, რათა არჩევნების სამართლიანად ჩატარება უზრუნველყოს, ანუ კუჩმამ მშვიდობიანად გადასცეს ხელისუფლება იუშენკოს. დოკუმენტი კი თითქმის ლოზუნგით მთავრდება - "უკრაინელები იმსახურებენ თავისუფალ არჩევნებს და არჩევანის პატივისცემას".

ექსპერტთა შეფასებით მკვეთრი, ამასთანავე, ნამდვილად დროული განცხადება უკრაინული კუჩმას რეჟიმთან ბრძოლაში ოპოზიციის დამატებით რესურსად უნდა იქცეს. ეს განცხადება, სხვათა შორის, ძალიან წააგავს ბუშის ადმინისტრაციის მიერ საქართველოში გასულ წელს არჩევნებამდე გაკეთებულ განცხადებებს. უნდა აღინიშნოს, რომ დღევანდელი უკრაინა ბევრი რამით წააგავს გასული წლის შემოდგომის საქართველოს. მსგავსებები იმდენად თვალშისაცემია, რომ უკრაინაში "ვარდების რევოლუციის" განმეორების შესაძლებლობაზე საუბარი უკვე აშკარად, და რაც მთავარია, უკრაინის ხელისუფლების პირველი პირებისგანაც ხშირად გაისმის. რამდენიმე დღის წინ უკრაინაში შესვლის უფლება არ მისცეს ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელს, ეროვნებით სერბს. ოფიციალური განცხადებებით, მას ოპოზიციისთვის "ხავერდოვანი რევოლუციის" მომზადებაში ინსტრუქტაჟი უნდა გაეწია. უკრაინის ძალოვანი სტრუქტურები წინასწარ იზღვევენ თავს და დღესვე საუბრობენ არჩევნებისშემდგომ მოსალოდნელ არეულობებზე. განცხადებები, ისევე, როგორც 2003 წლის ნოემბრისდროინდელ საქართველოში, აქაც მკვეთრი კეთდება - უკრაინელი სამართალდამცავები ნებისმიერი მეთოდებით აღკვეთენ ხელისუფლების არაკონსტიტუციური მეთოდებით ხელში ჩაგდების მცდელობას.

ჯერჯერობით უცნობია, როგორ დასრულდება 31 ოქტომბრის არჩევნები. დაახლოებით ორ კვირაში გაირკვევა, მოხდება თუ არა ხავერდოვანი რევოლუცია პოსტსაბჭოთა სივრცეში მეორედ, თუმცა, ის რაც ერთხელ უკვე გახდა შესაძლებელი ("ვარდების რევოლუცია" საქართველოში), მასმედიის შეუდარებლად ნაკლები მხარდაჭერის და ასევე სამოქალაქო საზოგადოების ნაკლები აქტივობის მიუხედავად, მაინც შეიძლება განხორციელდეს.

# რუსეთში წვრილმანი პარტიებისათვის ადგილი აღარ მოიძებნება

## რუსული პარტიების უმრავლესობას საპარლამენტო არჩევნებზე უარის თქმა მოუწევს



*კრემლს წვრილმანი პარტიების გაუქმება საკუთარი ძალაუფლების განსამტკიცებლად სჭირდება*

დღეისათვის რუსეთის იუსტიციის სამინისტროს მიერ დარეგისტრირებული 47 პოლიტიკური პარტიიდან უმეტესობა სახელმწიფო დუმის შემდგომ არჩევნებში მონაწილეობის მიღებას ვეღარ შეძლებს. ისინი, უბრალოდ, თავიანთი წევრების 50 ათასამდე გაზრდას ვერ შეძლებენ. სწორედ ამგვარი მოთხოვნით გამოდიან "ედინაია როსიას", "როდინას" და რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ლიდერები. ისინი მოითხოვენ, რომ პარტიათა შესახებ კანონში შესწორება იქნას შეტანილი, რომლის თანახმადაც პარტიის წევრთა და რეგიონული პარტორგანიზაციების წევრთა რაოდენობა ხუთჯერ უნდა გაიზარდოს. ექსპერტთა აზრით, ყოველივე ეს გზას გაუხსნის "ედინაია როსიას", რომელმაც 2008 წლის არჩევნებისათვის "ძალაუფლების მემკვიდრეობითობა" უნდა უზრუნველყოს.

ოთხი წლის წინ, როდესაც პარტიების შესახებ ახალი კანონი სახელმწიფო დუმაში შეიტანეს, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრ ვეშნიაკოვი სიხარულით აღნიშნავდა, რომ თუ იმ დროისათვის 186 პარტია იყო დარეგისტრირებული, კანონის ამოქმედების შემთხვევაში მათი რიცხვი გაცილებით ნაკლები იქნებოდა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინადადებით, წევრთა მინიმალური რაოდენობა 10 ათასით უნდა განსაზღვრულიყო. 2001 წელს ეს კანონი მიიღეს, მაგრამ პარტიათა რაოდენობა იმდენად მაინც არ შემცირებულა, როგორც ვარაუდობდნენ. 2004 წლის ივნისის ბოლოსათვის იუსტიციის სამინისტროში 47 პარტია იქნა დარეგისტრირებული. ამასთან, "როდინა"-სთან ბლოკში გაერთიანებულმა არცთუ ცნობილი პარტიის რეგიონულმა ორგანიზაციებმა სახალინის ოლქში არჩევნების მოგება მოახერხეს. პოლიტიკური ტექნოლოგიების ცენტრის დირექტორის მოადგილე ალექსეი მაკარკინი აღნიშნავს, რომ წვრილ-წვრილი პარტიები ამომრჩეველთა დეზორიენტაციას ეწევიან, რადგან მათ სახელწოდებაში ხშირად არის ცნობილი და მსხვილი პარტიების მსგავსი სახელები. "ამიტომ, სახელმწიფო სათათბიროში პარტიების შესახებ კანონში შესწორების შეტანა, რაც წევრთა რაოდენობის 50 ათასამდე გაზრდას ითვალისწინებს, სავსებით ლოგიკური და ბუნებრივი გახლავთ," - მიიჩნევს მაკარკინი.

სხვა წინადადებებს შორის ფედერაციის სუბიექტების ნახევარში რეგიონული ორგანიზაციების წევრთა რაოდენობის ასიდან ხუთას კაცამდე გაზრდა გახლავთ. დანარჩენ რეგიონულ ორგანიზაციებში წევრთა რაოდენობა 250 კაცზე ნაკლები არ უნდა იყოს. "პარტიული ზრდისათვის" ერთწლიანი ვადა არის განკუთვნილი და თუ ამ ხნის შემდეგ პარტია კანონის მოთხოვნებს ვერ დააკმაყოფილებს, ის ან ლიკვიდირებულ იქნება, ან საზოგადოებრივ ორგანიზაციად გადაკეთდება, რომელსაც პარტიებთან ბლოკში გაერთიანების უფლება არ ექნება. კანონპროექტს ხელს აწერენ "ედინაია როსიას" თავმჯდომარის მოადგილე ვალერი ბოგომოლოვი, სახელმწიფო დუმის საზოგადოებრივი გაერთიანებებისა და რელიგიური ორგანიზაციების კომიტეტის თავმჯდომარე სერგეი პოპოვი, ლიბერალ-დემოკრატების ლიდერი ვლადიმირ ჟირინოვსკი და ფრაქცია "როდინას" ლიდერი დმიტრი როგოზინი. კრემლთან მოლაპარაკებების მიუხედავად, კომუნისტებმა კანონპროექტს მხარი არ დაუჭირეს, რადგან მათი აზრით, "პარტიული სისტემის ამგვარად კასტრირება" დაუშვებელია. ამის გამო, პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, მეორე მოსმენის დროს სამთავრობო პარტიები წევრთა რაოდენობას 50-დან 100 ათასამდე გაზრდიან. ეს კი კომუნისტებისათვის საკმაოდ არასახარბიელო გარემოება იქნება, რადგან მათ რიგებში უთანხმოება ჯერ კიდევ სუფევს.

მაკარკინის აზრით, კანონის მიღების შემდეგ პოლიტიკურ ასპარეზზე "ედინაია როსია" და მისი სატელიტები "სახალხო პარტია" და "სიცოცხლის პარტია", ასევე "როდინა", ლიბერალ-დემოკრატიული პარტია და კომუნისტური პარტია (რომლის დაშლაც კრემლმა ვერ მოახერხა) დარჩებიან. ექსპერტის თქმით, შესაძლოა, ამოვარდნენ "იაბლოკო" და მემარჯვენე ძალთა კავშირი, რომლებიც გაერთიანებას ვერ მოახერხებენ. ასევე მოსალოდნელია, რომ კრემლმა მემარჯვენე ძალთა კავშირისა და "ედინაია როსიას" გარკვეული ნაწილით ლიბერალური პარტიის კონტრუირება გადაწყიტოს. მაკარკინი დარწმუნებულია, რომ როდესაც არა მარტო დუმაში მოხვედრა, არამედ საერთოდ პარტიის არსებობაც კითხვის ქვეშ დადგება, მემარჯვენეები უფრო მეტ დათმობებზე წავლენ.

მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური სისტემების ინსტიტუტის ექსპერტი დიმიტრი ბადოვსკი აცხადებს, რომ პარტიული ასპარეზის გაწმენდა დიდი ხნის წინ იყო დაგეგმილი. პოლიტოლოგი მიიჩნევს, რომ კრემლი "ედინაია როსიასთვის" გარკვეულ საფუძველს ამზადებს, რათა ეს უკანასკნელი ისეთ მექანიზმად იქცეს, რომელიც 2008 წლისათვის ძალაუფლების მემკვიდრეობით მიღებას უზრუნველყოფდა. "მას [პუტინს] სურს, რომ სახელმწიფო ელიტა პარტიულად აქციოს, ხოლო თავად "ძალაუფლების პარტიისათვის" ასპარეზი გაწმინდოს, რათა მისი პოპულარობის დაცემის შემთხვევაშიც კი "ედინოროსებისათვის" კონკურენტები არ არსებობდნენ", - აღნიშნავს ბადოვსკი.

*ლევან გელაშვილი*

# დომინანტობის დაუოკებელი ამბიცია და გაზრდილი ფსონები

ხათუნა გაბიევი

დასავლეთის მხრიდან წინააღმდეგობის მიუხედავად, ირანში ბუშერის ატომური ელექტროსადგურის პირველი ენერგობლოკის მშენებლობა რუსმა სპეციალისტებმა მაინც დაასრულეს. ირანის ვიცეპრეზიდენტის ღოლამ რეზა აღაზადეს განცხადებით, ელექტროსადგურის აღჭურვილობის 80 პროცენტი, რომლის ამოქმედებაც მომავალი წლის მეორე ნახევარშია დაგეგმილი, უკვე ირანშია ჩატანილი. "მოსკოვსა და თეირანზე ვაშინგტონისა და რამდენიმე ევროპული დედაქალაქისაგან ზეწოლა ხელს ვერ შეუშლის ბუშერის პროექტის რეალიზაციას",- განაცხადა ირანელმა მალალჩინოსანმა.

ბუშერთან დაკავშირებით რუსეთ-ირანის თანამშრომლობა 1995 წელს დაიწყო, როდესაც მოსკოვმა თეირანთან გააფორმა ხელშეკრულება, რომლის თანახმად, იგი საკუთარ თავზე იღებდა ვალდებულებას დაესრულებინა 800 მლნ აშშ დოლარის ღირებულების "ბუშერ-1"-ის ბლოკის მშენებლობა. რუსეთისა და ირანის გარიგებამ აშკარა უკმაყოფილება გამოიწვია დასავლურ სამყაროში. აშშ-ს იმდროინდელმა გენერალურმა მდივანმა უორენ კრისტოფერმა აკი განაცხადა, რომ "რუსეთი ძლიერ ინანებს იმ დღეს, როცა ტერორისტულ სახელმწიფოსთან თანამშრომლობა გადაწყვიტა". მას შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ პროექტთან დამოკიდებულება არც შეცვლილა, იგი მუდმივად წარმოადგენდა დასავლური სამყაროს გაღიზიანების წყაროს. თეთრი სახლი გამუდმებით ამტკიცებდა, რომ ბუშერში მიმდინარე პროცესები არანაირად არ შეიძლებოდა ყოფილიყო სამშვიდობო მიზნებით ნაკარნახევი. 2003 წელს კი ერაყული კამპანიის დაწყების შემდეგ, ზოგიერთი დასავლელი ანალიტიკოსი არც გამორიცხავდა "შემთხვევით" ბუშერის დაბომბვასაც, მით უფრო რომ მსგავსი ქმედების პრეცედენტი უკვე არსებობდა, კერძოდ, 1981 წელს ისრაელის მიერ ქალაქ ოზირაკთან მშენებარე ერაყის ატომური ელექტროსადგურის დაბომბვის შემთხვევა.

მღელვარებამ კიდევ იმატა მას შემდეგ, რაც ბუშერის ერთი ენერგობლოკის დასრულება უსაფრთხოების პირობების მომცველი ხელშეკრულების გაფორმების ვადებს არ დაემთხვა. ხელშეკრულების ხელის მოწერის გადავადება რუსულმა მხარემ რიგი "კომერციული" ხელისშემშლელი საკითხებით ახსნა. რუმინეთში ქალაქ პოიანა ბრასოვაში გამართულ ნატო-ს წევრი-ქვეყნებისა და რუსეთის არაოფიციალურ შეხვედრაზე 14 ოქტომბერს რუსი ჩინოვნიკი შეეცადა, გაექარწყლებინა დასავლეთის ეჭვები და განაცხადა, რომ ირანის ბირთვული ამბიციები პაციფისტურია და არა მილიტარისტული. "გარწმუნებთ ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო მკაცრ კონტროლს ახორციელებს პროექტზე, რომელიც რუსული ტექნოლოგიებისა და ნედლეულის სამხედრო მიზნებით გამოყენებას გამორიცხავს",- განაცხადა ლავროვმა. თუმცა, რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელის სიტყვები ვერაფერი შეღავათი აღმოჩნდა დასავლეთისთვის, რომელმაც სამართლიანად შეიტანა ეჭვი აღნიშნულ ახსნა-განმარტებაში იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ირანის ისლამური ფუნდამენტალიზმისაგან მომავალი საფრთხის მიუხედავად, რუსეთი მაინც მზადაა, ითანამშრომლოს ირანთან და ამავდროულად "გმირულად" აიტანოს კრიტიკაც საერთაშორისო აქტორების მხრიდან. ბუშერის პროექტის განხორციელებით რუსეთის "კომერციული დაინტერესება" კი ისეთივე სუსტი არგუმენტია, როგორც ირანისთვის ატომური ელექტროსადგურის სასიცოცხლო მნიშვნელობა ქვეყნის ენერგოსისტემის გაუმჯობესების მიზნით. ლავროვის განცხადებით, გადამუშავებული საწვავის რუსეთისთვის მიწოდების შესახებ ხელშეკრულებას ხელს მხარეები ნოემბერში მოაწერენ. სწორედ ნოემბრისთვის ხელშეკრულების გამიზნულად გადავადება აფიქრებს დასავლეთს, რადგან ამ დროისათვის შესაძლოა, აზრი დაკარგოს კიდეც ხელშეკრულების გაფორმებამ, ვინაიდან 25 ნოემბერს საერთაშორისო ატომური ენერგიის სააგენტოს სხდომა შედგება, რომელზეც გადაწყდება საჭირო იქნება თუ არა გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ ირანთან დაკავშირებით რეზოლუციის მიღება. ამ რეზოლუციის მიღება კი, სავარაუდოდ, ირანის წინააღმდეგ სანქციების დაწესებას გამოიწვევს. მოცემული გარემოებების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ რუსეთს, როგორც უშიშროების საბჭოს წევრს, სამწუხაროდ, აქვს უფლება ვეტო დაადოს საბჭოს ნებისმიერ გადაწყვეტილებას. ის ფაქტი, რომ მოვლენების ასეთი განვითარების შემთხვევაში ირანი ვერსად გაექცევა საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან კრიტიკას, ვერაფერს ცვლის, რადგან რუსეთისვე მეშვეობით იგი თავს აარიდებს საერთაშორისო სანქციებს. როგორც ჩანს, რეგიონში ერთპიროვნული დომინანტობის შენარჩუნებისთვის რუსეთი მზადაა, თავიც გადადოს.

## ორი სიტყვით

**ნეპალი.** ნეპალელი მაოისტები, რომლებიც ქვეყანაში მონარქიის დამხობის მოთხოვნით გამოდიან, 20-28 ოქტომბრის ვადებში თავს შეიკავებენ აგრესიული ქმედებებისაგან, რაც აღნიშნულ ვადებში ინდუსების ფესტივალ "დასენ"-თანაა დაკავშირებული,- განაცხადა მაოისტების ლიდერმა პრაჩანდამ. **როიტერი**

■ ■ ■

**მოლდოვა.** მოლდოვის პრეზიდენტმა ვლადიმირ ვორონინმა გუშინ თავდაცვის მინისტრი გენერალი ვიქტორ გაიჩუკი თანამდებობიდან გადააყენა. აღნიშნული პოსტი დროებით მოვალეობის შემსრულებლის რანგში მინისტრის მოადგილემ, პოლკოვნიკმა ტუდორ კოლესნიუკმა დაიკავა. გაიჩუკის გადადგომა მრავალრიცხოვანი დანაშაულებრივი ფაქტების გამოვლენამ განაპირობა, რაშიც არმიის საწყობიდან დიდი რაოდენობით იარაღის დაკარგვა და სამხედრო მოსამსახურეების მიერ წესდების დარღვევა იგულისხმება. გარდა ამისა, უშიშროების უმაღლესმა საბჭომ მიიჩნია, რომ არასათანადოდაა დაცული ქვეყნის საჰაერო სივრცის უსაფრთხოებაც, რის გამოც მთელი პასუხისმგებლობა თავდაცვის მინისტრს დააკისრა. **იტარ-ტასი**

## კატასტროფის მედიცინის ცენტრი

*კატასტროფისა და გადაუდებელი მედიცინის ცენტრი, რომელიც ღუდუშაურის სახელობის კლინიკაშია განთავსებული, 2001 წლიდან ფუნქციონირებს. მოქალაქეების უმეტესობამ, ამ სამსახურის დანიშნულების კი არა, მისი არსებობის შესახებაც კი არაფერი იცის. ცენტრის საქმიანობა რესპუბლიკაში ექსტრემალური სიტუაციების დროს სამედიცინო დახმარების აღმოჩენაა. იმ შემთხვევაში, თუკი რაიონულ საავადმყოფოში პაციენტს შესაბამის დახმარებას ვერ აღმოუჩენენ, ქალაქში მის გადმოყვანას კატასტროფისა და გადაუდებელი მედიცინის ცენტრი უფასოდ განახორციელებს.*

თამარ დვალი

მძიმე ფორმის დიაბეტი, ეკლამსია, თირკმლის მწვავე უკმარისობა, მძიმე ფორმის ნეფროპათია - ეს იმ დაავადებათა არასრული ჩამონათვალია, რომელთა მკურნალობაც რაიონულ საავამდმყოფოებში უჭირთ. კატასტროფისა და გადაუდებელი მედიცინის ცენტრი სწორედ ასეთი პაციენტების დედაქალაქში უფასოდ გადმოყვანას უზრუნველყოფს. ამის შესახებ პაციენტების უმრავლესობამ თითქმის არაფერი იცის, რის გამოც სასწრაფო დახმარების მანქანებისთვის გარკვეული თანხის გადახდა უწევთ.

**"ჩვენი მოვალეობაა მოსახლეობისათვის დროული სამედიცინო დახმარების აღმოჩენა. კატასტროფის მედიცინის ცენტრს აქვს კონსულტანტთა ქსელი, სადაც გაერთიანებულია რესპუბლიკის ყველა მაღალკვალიფიციური ექიმი. თუკი რაიონიდან ვერ ხერხდება პაციენტის ტრანსპორტირება, მაშინ სპეციალისტი ჩადის ადგილზე და ავადმყოფს შესაბამის დახმარებას უწევს. რაიონის საავადმყოფოს ხელმძღვანელი სადისპეტჩეროს უნდა დაუკავშირდეს და პაციენტის დიაგნოზი გააცნოს. ამის შემდეგ დისპეტჩერი შესაბამის კლინიკას არჩევს და გადმოჰყავს ავადმყოფი. ხშირად რაიონის ექიმები არ უკავშირდებიან ჩვენს ცენტრს და პაციენტს ფულის გადახდა უწევს",** - აღნიშნა კატასტროფის მედიცინის ცენტრის დირექტორმა კახაბერ ჩიხრაძემ.

კატასტროფისა და გადაუდებელი მედიცინის ცენტრს თავისი ფილიალები აქვს - ბათუმში, ზუგდიდში, თელავში, ახალციხესა და ქუთაისში. სოხუმის ფილიალი უახლოეს მომავალში ზუგდიდში გადაინაცვლებს. დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს სოფლებიდან პაციენტების ამ კლინიკებში გადაყვანა მათი სიახლოვის მიხედვით ხდება.

ხარჯებს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი ანაზღაურებს. შარშან აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად თვეში 75 ათასი ლარი იყო გამოყოფილი, წელს ეს თანხა 95 ათას ლარამდე გაიზარდა. კატასტროფისა და გადაუდებელი მედიცინის ცენტრში დღეში, დაახლოებით, 10, 15 გამოძახებაა. როგორც ცენტრის დირექტორმა გვითხრა, ყველაზე ხშირად ახალშობილების დასახმარებლად იძახებენ.

ფოსტა

## გაზეთ "24 საათის" რედაქტორს

ბატონო მამუკა,

მოგმართავთ თქვენი გაზეთის ოქტომბრის ნომრის იმ პუბლიკაციასთან დაკავშირებით, რომელიც საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში არსებულ კორუფციას ეხება.

მივესალმებით ამ თემაზე ნებისმიერი მამხილებელი მასალის გამოქვეყნებას, რომელიც იქნება ობიექტურ, უტყუარ ფაქტებზე დაფუძნებული და, შესაბამისად, არგუმენტირებული. სტატისტიკის დეპარტამენტის მასალების საფუძველზე მომზადებული ამ პუბლიკაციის ბევრ დებულებას ვიზიარებთ და მხარს ვუჭერთ, მაგრამ შეუძლებელია, დავეთანხმოთ თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტთან დაკავშირებულ ე.წ. ფაქტებს, რომლებიც შეურაცხყოფს იმ ფაკულტეტს, რომელსაც ბოლო წლების განმავლობაში არცთუ უსაფუძვლოდ აქვს პრეტენზია, ამ მხრივ, იყოს სამაგალითო.

იმისათვის, რომ სტატისტიკის დეპარტამენტმა ამტკიცოს, არის თუ არა კორუფცია ჩვენს ფაკულტეტზე (თურმე "თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ჩასარიცხად 8000-9000 აშშ დოლარია საჭირო"), არ კმარა რომელიმე ინკოგნიტო რესპონდენტის ნათქვამი. და თუ ვინმეს მართლაც უნდა, "მოიძიოს და იპოვოს" კორუფცია ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე, ამისთვის მოუხდება სერიოზული ძალისხმევა - პრობლემის კომპეტენტური შესწავლა, ფაკულტეტზე, სტუდენტობასა და პროფესორ-მასწავლებელთა შორის საფუძვლიანი გამოკითხვის ჩატარება. სურვილის შემთხვევაში, ჩვენ მზად ვართ ნებისმიერ სტრუქტურასთან თანამშრომლობისთვის, ხელს შევუწყობთ ისეთი გამოკვლევის ჩატარებას, რომელიც, ჩვენი ღრმა რწმენით, ერთხელ და სამუდამოდ წერტილს დაუსვამს აბსოლუტურად უსაფუძვლო ვარაუდებს.

ახლა, რაც შეეხება პუბლიკაციაში მოტანილ ფაქტს, რომელიც "განამტკიცებს" მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია დევნიდა განსხვავებულად (ანუ კრიტიკულად) მოაზროვნე მასწავლებლებს და სამსახურიდანაც კი ითხოვდა მათ.

პუბლიკაციის ავტორი წერს, რომ ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ის გადაცემის "60 წუთის" ავტორს აკაკი გოგიჩაიშვილს, იმის გამო, რომ ამხილა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში არსებული ვითარება, "თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ჩამოართვეს ლექციების წაკითხვის უფლება, მიუხედავად სტუდენტების დიდი მხარდაჭერისა".

ეს აბსოლუტური სიცრუეა.

ბატონი აკაკი გოგიჩაიშვილი თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე სპეცკურსის - "საგამოძიებლო ჟურნალისტიკის" - წასაკითხად მაშინდელი დეკანის ინიციატივით მოიწვიეს სამი წლის წინათ, სწორედ მას შემდეგ, რაც ეთერში გავიდა კრიტიკული გადაცემა უნივერსიტეტის და მისი რექტორის შესახებ. დეკანის ამ გადაწყვეტილებას, ბუნებრივია, ფაკულტეტზე და უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში არ მოჰყოლია ერთსულოვანი ტაშისცემა, მაგრამ ფაკულტეტის ხელმძღვანელობამ გადამწყვეტად მიიჩნია აკაკი გოგიჩაიშვილის პროფესიული გამოცდილება. გადაცემა "60 წუთის" მომზადების, ანუ საგამოძიებო ჟურნალისტიკის ამერიკული ტექნოლოგიის სტუდენტებისთვის მიწოდების აუცილებლობა და მასთან შესაბამისი კონტრაქტი მაინც გააფორმა... ფაკულტეტის ხელმძღვანელობის ამ პოზიციას მხარი დაუჭირა უნივერსიტეტის მაშინდელმა რექტორმა როინ მეტრეველმა.

სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ ამ ხნის მანძილზე აკაკი გოგიჩაიშვილი არამცთუ არავის დაუთხოვია ფაკულტეტიდან, ან მისთვის ლექციების წაკითხვა აუკრძალავს, არამედ, შესაძლებლობის ფარგლებში, ჰქონდა სრული მხარდაჭერა და ხელშეწყობაც. ობიექტურობა მოითხოვს იმის აღნიშვნასაც, რომ მასწავლებელ აკაკი გოგიჩაიშვილის მოღვაწეობა ჩვენს ფაკულტეტზე აშკარად სასარგებლო იყო სტუდენტებისთვის, რის გამოც, ჩვენ მის მიმართ მხოლოდ მადლიერების გრძნობით ვართ გამსჭვალულები.

რაც შეეხება ახალ სასწავლო წელს, მას შემდეგ, რაც ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ აკაკი გოგიჩაიშვილი ერთი წლით გაემგზავრა აშშ-ში (ამ მიზეზით პროგრამა "60 წუთიც" შეწყვეტილია, მაგრამ არავის მოსვლია აზრად "რუსთავი 2" გოგიჩაიშვილის დევნაში დაედანაშაულებინა), მის დროებით შემცვლელად მოვიწვიეთ მისი თანამოაზრე და ამ პროგრამის ერთ-ერთი აქტიური თანამშრომელი, ცნობილი ჟურნალისტი ვახტანგ კომახიძე. ვიმედოვნებთ, აკაკი გოგიჩაიშვილი მივლინებიდან დაბრუნების შემდეგ გააგრძელებს ფაკულტეტთან თანამშრომლობას და მას ფაკულტეტზე ექნება იგივე გულწრფელი მხარდაჭერა, რაც ადრე ჰქონდა.

აკაკი გოგიჩაიშვილთან დაკავშირებული ეს ინფორმაცია, რა თქმა უნდა, განმტკიცებულია სათანახო დოკუმენტაციით, რომლის ხილვაც თქვენ ნებისმიერ დროს შეგიძლიათ.

აი, ეს არის სიმართლე. ამიტომ არის გულსატკენი ის დეზინფორმაცია, რომელიც თავდაყირა აყენებს ფაკულტეტის ხელმძღვანელობის ადრინდელ პრინციპულ პოზიციას და დღევანდელ რეალობას.

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისგან, რომ თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტთან დაკავშირებით ვინმე შეგნებულად ცდილობს საზოგადოების შეცდომაში შეყვანას.

მაგრამ, დაგვეთანხმებით, რომ არ არის სასიამოვნო და არც პროფესიული ეთიკის ნორმებს შეესაბამება ჭორად გაგებული ამბის აპრიორად გამოცხადება, როცა სულ ერთი სატელეფონო აზრი იქნებოდა საკმარისი ამ "ფაქტის" გადასამოწმებლად.

მადლობელი დაგრჩებით, თუ ჩვენს წერილს გააცნობთ თქვენს მკითხველს.

*პატივისცემითა და თანამშრომლობის სურვილით,*
*მარინე ვეკუა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანი*

რედაქციისაგან: შეგახსენებთ, რომ ჩვენი გაზეთის 5 ოქტომბრის ნომერში დაბეჭდილი პუბლიკაცია - "კორუფცია-უმაღლესი განათლების განუყოფელი ნაწილი" მომზადებულია ამერიკის უნივერსიტეტის ტრანსნაციონალური დანაშაულისა და კორუფციის ცენტრის საქართველოს ოფისის მიერ.

# ერიდეთ ფალსიფიცირებულ პრეპარატებს

რა არის ფარმაკოტერორიზმი?

ოთარ ქირია

*შავი ხვრელი, რომლის გამოც, ყოველთვის იყო შესაძლებელი ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსკენ ბრალმდებელი თითის გაშვერა, მაინც და მაინც, ამოვსებულად არ გამოიყურება. ფალსიფიცირებული და უვარგისი პრეპარატები, უკანონო აფთიაქები და ქაოსი ფარმაცევტულ ბაზარზე ისევ თვალშისაცემია. ჩანს, ვარდების ხელისუფლებამ ამისთვის ჯერ ვერ მოიცალა. თუმცა, შესაძლოა, ეს მოუცლელობა რომელიმე კონკრეტული ადამიანისთვის ან ოჯახისთვის კატასტროფის ტოლფასად იქცეს. საქართველოში ფარმაკოტერორიზმზე ალაპარაკდნენ.*




ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

*სამინისტრომ ბოლოს რეიდი ფარმაცევტულ ბაზარზე 2002 წელს ჩაატარა და დაადგინა, რომ პრეპარატების 60 პროცენტი ნორმებს არ აკმაყოფილებს.*

არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ საქართველოს სერიოზულ საფრთხეს უქმნის რუსეთის ჯანდაცვის პოლიტიკა, რომელიც, შეიძლება ითქვას, ნელი მოქმედების ნაღმია. ქართველ ჯანდამცველებში ყოველთვის არსებობდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ რუსეთიდან ვადაგასული, ფალსიფიცირებული, გაყალბებული ან, უბრალოდ, უვარგისი პრეპარატების ნაკადი მეზობლებისკენ, მათ შორის, საქართველოსკენ შეგნებულად მოედინებოდა და რუსეთში ამას ხელს არავინ უშლიდა. ეს არც არის გასაკვირი. ფალსიფიცირებულ და ვადაგასულ წამალს თავად აღარ გაყიდიან. ასეთი პრეპარატების ამოღებას, განადგურებას ან დასაწყობებას ცალკე მილიონები სჭირდება. ამიტომაც, ყველაზე კარგი გამოსავალია სხვა ქვეყნებში გატანა, თანაც - კონტრაბანდული გზით, რომ ფალსიფიკაციისა და კონტრაბანდის ხელშეწყობა ოფიციალურ ბრალეულობად არ იქცეს. ასეთი უკონტროლო ტერიტორია საქართველოში ორია და ერთ-ერთიდან - ერგნეთიდან, შემოედინებოდა ზღვა პრეპარატებისა, რომლებიც შემდეგ თბილისის ბაზრობებზე და აფთიაქებში ხვდებოდა. რა თქმა უნდა, ნაკლები არც ბულგარეთიდან, ინდოეთიდან ან თურქეთიდან შემოდიოდა, მაგრამ რუსული პრეპარატები მაინც უფრო ფართოდ მოიხმარება საქართველოში, ვიდრე სხვა. მწვავე გარჩევის საგანი არაერთხელ ყოფილა "ნო-შპას" მაგივრად სიმინდის მარცვლების გაყიდვა, "ნოვოკაინისა" და "სუპრასტინის" ნაცვლად - წყლის, ბავშვთა ჰიგიენური ფხვნილის ნაცვლად - ფქვილის და ა.შ. ამ ყველაფერს, რა თქმა უნდა, გადამთიელს ვერ დავაბრალებთ.

რა ხდება დღეს? სამინისტრო, შეიძლება ითქვას, საკადრო ნირვანაშია. იქ ვერაფრით ვერ დალაგდნენ; არასდროს არ მორჩა სტრუქტურების გადაწყობება-გადმოწყობება. იქ ჯერ არ სცალიათ იმისთვის, რომ, მაგალითად, გამოიძიონ, საიდან მოხვდა აფთიაქებში ფალსიფიცირებული "სენადექსინი", "ლევომიცეტინი", "რანიტიდინი", "ნოვოკაინი" და სხვა მრავალი. არ გეგონოთ, ეს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგია. სამინისტრომ ბოლოს რეიდი ფარმაცევტულ ბაზარზე 2002 წელს ჩაატარა და დაადგინა, რომ პრეპარატების 60 პროცენტი ნორმებს არ აკმაყოფილებს. ზემოთ ხსენებული და სხვა პრეპარატების შავი სია კი ამჯერად არასამთავრობო ორგანიზაცია "მოძრაობა ფარმაკოტერორიზმის წინააღდეგ" მუშაობის შედეგია. ეს ამ ორგანიზაციის არსებობის პირველი თვეა და როგორც მისი დამაარსებელი ქეთევან ბარამიძე აცხადებს, არც - უკანასკნელი.

ამ შემთხვევაში "24 საათი" ყურადღებას **"სენადექსინზე"** შეაჩერებს. ის კუჭ-ნაწლავის მწვავე გართულებების სამკურნალოდ და პროფილაქტიკის მიზნით მოიხმარება, რაც საქართველოში ყველა ოჯახში აწუხებთ. პრეპარატი 2014 წლამდე დაპატენტებული აქვს "თბილქიმფარმს" - ქართულ საწარმოს, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი შემოტანა საიდანმე დაუშვებელია:

**"პრეპარატს აწერია, რომ უკრაინული "ლუბნიფარმის" მიერ არის წარმოებული. ასეც რომ იყოს, მისი შემოტანა მაინც დაუშვებელია. თუმცა, პრეპარატს ფუთაზევე ეტყობა, რომ ფალსიფიცირებულია და დამზადებულია კუსტარულად, თანაც ძალიან დაბალ დონეზე. აღარაფერს ვამბობთ თავად აბებზე, რომლებიც საოცრად თხელია, თანაც იშლება. საერთოდ, წამლის ფალსიფიკაცია გლობალური პრობლემაა. სისტემატურად ქვეყნდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ფალსიფიცირებული პრეპარატები ამა თუ იმ ქვეყნის 7-10 პროცენტს იკავებს. მაგრამ, საქართველოში განხორციელებული კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ბაზარზე მოხვედრილი პრეპარატების 60 პროცენტი მოხმარებისთვის საშიშია, რომ აღარაფერი ვთქვათ ბილიოგიურად აქტიურ კვებით დანამატებზე, ჰუმანიტარული გზით შემოტანილ მედიკამენტებსა და სამედიცინო დანიშნულების საგნებზე. ამ ინფორმაციამ შეიძლება გაფიქრებინოს, რომ სწორედ ეს არის ფარმაკოტერორიზმი",** - აცხადებს ბარამიძე.

"თბილქიმფარმის" ინტერესებში ამ "სენადექსინის" განადგურება შედის. თუმცა, ის ვალდებული არ არის, აწარმოოს ამოღება-განადგურება და არც ამის უფლება აქვს. **"ჩემმა თანამშრომლებმა ერთ-ერთი შემოვლის დროს აღმოაჩინეს. არ გამოვრიცხავ, რომ აქაური ფალსიფიკაციაც იყოს, იმიტომ, რომ ბევჯერ დაურბევიათ სარდაფებში თუ მინი ქარხნებში კუსტარული მწარმოებლები. თუმცა, მაინც ვფიქრობ, რომ ეს შემოტანილია. ალბათ, ბოლოს და ბოლოს უნდა მოიმოქმედოს რაღაც ჯანდაცვის სამინისტრომ",** - აცხადებს "თბილქიმფარმის" ხელმძღვანელი თამაზ სულუხია.

სამინისტროში ახლად შექმნილი წამლის მაკონტროლებელი სააგენტოს ხელმძღვანელი თინა ტურძელაძე ამ სფეროში ახალი თანამშრომელი არ არის. ის ვარდების რევოლუციამდე წამლის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე იყო. ჭიპაშვილმა, რატომღაც, საჭიროდ ჩათვალა მხოლოდ უფროსის გათავისუფლება. თუმცაღა, კულუარულად ჯანდამცველებს არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ დეპარტამენტში არსებულ შავბნელ საქმიანობას სწორედ მოადგილეები აგვარებდნენ. მინისტრს არანაირ დისკომფორტს არ უქმნის ის მომენტი, რომ უზარმაზარი სამსახურის უფროსად ძველი თანამშრომელი დაინიშნა და არც ის, რომ პრეპარატის ერთსა და იმავე უწყებაში კონტროლმა და ლიცენზირებამ, შესაძლოა, კორუფცია შექმნას. **"წამლის დეპარტამენტში ის სულ რაღაც წელიწადნახევარი მუშაობდა, მანამდე კი პარლამენტში ჩემთან ერთად მოღვაწეობდა კომიტეტში. მე ვიცნობ მას. მიმაჩნია, რომ რამდენიმე უწყების გაერთიანებით საქმე გაკეთდება. კორუფცია ადრე იყო, როცა ყველა ცალ-ცალკე იღებდა წილებს. ეს სხვათა შორის ამერიკული მოდელია. მის შემოტანას მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია დიდი ხანია, ითხოვს. ფარმაციასთან და პრეპარატებთან დაკავშირებული ყველა საკითხი სწორედ ამ სააგენტოს პასუხისმგებლობის ქვეშ იქნება. არატრადიციული მედიცინა, რა თქმა უნდა, ამ უწყებას არ დაექვემდებარება და მას ცალკე უწყება გააკონტროლებს",** - გვითხრა ჭიპაშვილმა. ტურძელაძე კი გეგმებს აწყობს და აცხადებს: **"როგორც იქნა, ჯანდაცვის სამინისტრომ მიიღო თანხა და დაიწყება სერიოზული ბრძოლა ფალსიფიკაციის წინააღდეგ".**

სამწუხაროდ, ასეთი ბევრჯერ მოგვისმენია. ამიტომ, დაველოდებით საქმეს, რომელსაც მინისტრ ჭიპაშვილის განმარტებით, **"იანვრიდან ვიხილავთ. ჯანდაცვის ბიუჯეტში ჩაიდო ნახევარი მილიონი ლარი, რომელიც სწორედ ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლაზეა გათვლილი".**

ერთი სიტყვით, სანამ სამინისტრო დალაგდება, ხალხისთვის უკეთესი იქნება, პრეპარატები ბაზრობებზე ან უკანონო აფთიაქებში არ შეიძინონ. ყიდვისას აუცილებლად მოითხოვონ დამატებითი ინფორმაცია პრეპარატის შესახებ და შენაძენი სერიოზული დაკვირვებით ან ექიმის რჩევით გააკეთონ.

# "ევროპული თბილისობა"

თამარ დვალი

*რევოლუციური ცვლილებები თბილისობის ტრადიციულ დღესასწაულსაც დაეტყო. რამდენიმე წლის წინათ ახლანდელი პრემიერ მინისტრის მიერ წარმოთქმული სიტყა - "მე ვარ ქართველი, მაშასადამე მე ვარ ევროპელი," წლევანდელ თბილისობას სავსებით შეესაბამება. მწვადების, სასმელისა და ღრეობის გარეშე ჩატარებული თბილისობა 22 ოქტომბერს ქალაქის მერსა და ოლიმპიურ ჩემპიონს შორის გამართული საბილიარდო მატჩით დაიწყება და 24 ოქტომბერს, რესპუბლიკის მოედანზე დიდი გალა კონცერტით დასრულდება. ამ დღეს თბილისში მეზობელი ქვეყნებიდან მრავალრიცხოვან სტუმარს ელიან.*



ვახო ბესელიას ფოტო

*"რაც გინახავთ, ველარ ნახავთ"*

ამიერიდან გლეხებს ნობათის ქალაქში ჩამოზიდვა აღარ მოუწევთ. ეს გადაწყვეტილება ქალაქის მერმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა "თბილისობის" საორგანიზაციო კომიტეტთან შეთანხმების საფუძველზე მიიღო.

ქუჩაში აკრძალული ვაჭრობა თითქმის ყველა სახეობის პროდუქტს შეეხო, გარდა ყურძნისა. **"როგორც კახური წარმოშობის ადამიანს, არ შემეძლო კახელების სატკივარი გულთან არ მიმეტანა და არ დავხმარებოდი. რადგანაც გლეხებმა წელს ყურძნის ჩაბარება ვერ მოახერხეს, გვინდა, ასეთი ფორმით გავუწიოთ დახმარება",** - აღნიშნა ქალაქის მერმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა. მისივე თქმით, ყურძენი, ქალაქის ცენტრის ნაცვლად, გარეუბნებში გაიყიდება.

ზურაბ ჭიაბერაშვილი "საპატიო მოქალაქეების" დაჯილდოების ცერემონიალსაც ახლებურად გეგმავს. მისი აზრით, ეს ღონისძიება მერიაში წითელი დროშების ფრიალით კი არ უნდა იმართებოდეს, არამედ სასტუმრო "კოპალაში", სადაც გემოვნებით გაწყობილი დარბაზები და შესაფერისი სიტუაციაა. "საპატიო მოქალაქეების" სია საკმაოდ დიდია და ღირსეული კანდიდატურების შერჩევაზე მერიაში დღეს იმსჯელებენ.

თუკი "თბილისობა 2004"-ის ღონისძიებათა ნუსხას გადახედავთ, დარწმუნდებით, რომ საინტერესო და მრავალფეროვანი სანახაობა გელით. გამოფენები, კონცერტები, თეატრალური სანახაობები და სპორტული შეჯიბრებები ქალაქის ცენტრალურ უბნებსა და საკონცერტო დაწესებულებებში გაიმართება. ყველაზე დატვირთული ქუჩა შარდენი იქნება, სადაც დღესასწაულის გახსნის დღეს საბილიარდო მატჩში ქალაქის მერი და ოლიმპიური ჩემპიონი ზურაბ ზვიადაური შეეჯიბრებიან ერთმანეთს.

წელს პირველად ამ სახალხო დღესასწაულში ბავშვების ინტერესებიც იქნება გათვალისწინებული. 23 ოქტომბერს ვაკის პარკში "ბასტი-ბუბუს" გრანდიოზული კონცერტი მოეწყობა, 24-ში კი ალექსანდროვის ბაღში მარი ბროსეს სახელობის ფრანგული სკოლის მოსწავლეები საკუთარ სპექტაკლს წარმოადგენენ. რაც შეეხება დღესასწაულის დასკვნით ნაწილს, იგი კვლავ უცვლელი რჩება. "სილქ როუდ ჯგუფის" მიერ დაფინანსებული გალა კონცერტი "თბილისური საღამო", ტრადიციულად, რესპუბლიკის მოედანზე გაიმართება.

დღესასწაულის ორგანიზატორები არიან: თბილისის კულტურისა და სპორტის საქალაქო სამსახური, ფონდი "არტ ბრიჯი" და მედია ბიზნეს ჯგუფი "სითინეზი".

მართალია, თბილისის საკრებულო "თბილისობის დღესასწაულისთვის" ბიუჯეტიდან დამატებით 110 ათასი ლარის გამოყოფას არ ეთანხმება, მაგრამ ქალაქის მერს ეს არ აფიქრებს და მიიჩნევს, რომ 18 ოქტომბერს ეს თანხა უკვე გადმორიცხული ექნებათ.

**"არ მესმის, რა პრინციპით დაუჭირეს მხარი საკრებულოს წევრებმა ბორის პაიჭაიძის სახელობის სტადიონზე სკამების დასამონტაჟებლად 250 ათასი ლარის გამოყოფას და რატომ არ სურთ თბილისობისთვის 110 ათასის გადმორიცხვა",** - უკვირს ჭია-

# ყოფილი სარდალი სამშობლოს ღალატში ვერ დაადანაშაულეს

*"ვაკე-საბურთალოს სასამართლომ დღევანდელი გადაწყვეტილებით კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ სასამართლო ხელისუფლება საქართველოში არ არსებობს, რომ იგი სერიოზული პოლიტიკური ზეწოლის ქვეშაა, ამის დასტურად ისიც გამოდგება, რომ ქებაძე პროცესუალური ნორმების სერიოზული დარღვევითაა დაკავებული და გამოძიებამ ვერ შეძლო ქებაძისთვის წაყენებული ბრალდების გამაგრება, საქმეში ამის მტკიცებულებები არ არსებობს," - ასე შეაფასა გუშინ ვაკე-საბურთალოს სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება მიხეილ ქებაძის ადვოკატმა. ამის დასტურად ადვოკატმა ოთარ ფანქველაშვილმა გაავრცელა დოკუმენტი, სადაც ერთ-ერთი მოწმე აცხადებს, რომ ქებაძის სახლში იარაღი სამართალდამცველებმა შეიტანეს.*



*ქებაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ იგი თავს დამნაშავედ არ ცნობს და სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებაც უსაფუძვლოა.*

საქმე ისაა, რომ ვაკე-საბურთალოს სასამართლომ დააკმაყოფილა უშიშროების სამინისტროს შუამდგომლობა და ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული ქართული სამშვიდობო ბატალიონის ყოფილ სარდალს, შემდეგ სარდლის მოადგილეს მიხეილ ქებაძეს აღმკვეთ ღონისძიებად სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. სასამართლო პროცესზე გაძლიერებული ბადრაგირებით მიყვანილმა ქებაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ იგი თავს დამნაშავედ არ ცნობს და სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებაც უსაფუძვლოა.

როგორც ცნობილია, ქებაძე სამართალდამცავებმა ორი დღის წინ ვარიანში, მისივე საცხოვრებელ სახლში დააკავეს და აღმოჩენილი იარაღის "სამალავის" შემდეგ, ბრალი დასდეს იარაღის უკანონო შენახვა-შეძენაში. ქებაძის დაკავების მეორე დღესვე, უშიშროების მინისტრის მოადგილემ ბათუ ქუთელიამ განაცხადა, რომ არ არის გამორიცხული, ქებაძისათვის წაყენებული ბრალი უფრო დამძიმდეს, ვინაიდან მის მიმართ გამოიკვეთა გაცილებით უფრო დამამძიმებელი გარემოებები, ვიდრე ბრალად ჰქონდა წაყენებული. თუმცა, ვარაუდი, რომ ყოფილი სარდალი სამშობლოს ღალატში შეიძლებოდა დადანაშაულებულიყო, არ გამართლდა, გამოძიებამ ვერ შეძლო მისი ბრალდების დამძიმება.

ვაკე-საბურთალოს სასამართლოს შენობასთან დაკავებულის ოჯახის წევრებმა და თანასოფლელებმა, ბრალდებულის გათავისუფლების მოთხოვნით, ქებაძის დაკავება გააპროტესტეს, რის გამოც, სასამართლოს შენობა ვაკე-საბურთალოს პოლიციის თანამშრომლებმა გაამაგრეს. მანამდე სოფელ ვარიანში მცხოვრებმა 200-მდე მოქალაქემ საპროტესტო აქცია გამართა სახელმწიფო კანცელარიასთან. ისინი პოლიტიკური ნიშნით დაჭერილი სარდლის მოადგილის, მიხეილ ქებაძის გათავისუფლებას მოითხოვდნენ. აქციის მონაწილეთა განცხადებით, ქებაძე რეგიონში, რომელიც კონფლიქტის ზონას ესაზღვრება, მშვიდობის გარანტი იყო და მას მოსახლეობა ენდობოდა. მათი განცხადებით, ყოველგვარ საფუძველს იქნება მოკლებული ქებაძის წინააღმდეგ სამშობლოს ღალატისა და იარაღით ვაჭრობის ბრალდების წაყენება.

აქციის მონაწილეთა მტკიცებით, იმ შემთხვევაში, თუ ქებაძეს უახლოეს დღეებში არ გაათავისუფლებენ, საპროტესტო აქციები კანცელარიასთან პერმანენტულ ხასიათს მიიღებს. სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების შემდეგ, ვარიანელები კანცელარიის შენობისკენ, საპროტესტო აქციის მოსაწყობად კვლავ გაემართნენ.

# ციხეებში ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ცენტრები შეიქმნება

**"ციხეში, ჯანმრთელობის დაცვის თვალსაზრისით, მდგომარეობა კრიზისულია. არ მოქმედებს ელემენტარული ფსიქოსოციალური პროგრამები. მთლიანობაში კი, ციხის სამედიცინო სისტემა საბჭოთა ტრადიციების გამგრძელებელია და თუ არ იქნება სახელმწიფოს ნება და საზოგადოების მხარდაჭერა, ეს სისტემა დემოკრატიულ პრინციპებზე ვერასდროს გადავა,"** - ასეთი შინაარსის განცხადებები გუშინ იუსტიციის სამინისტროში ისმოდა.

ფსიქიატრიული ჯანმრთელობის კვირეულთან დაკავშირებით მოწყობილ შეხვედრაზე, რომელსაც იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის, სახალხო დამცველის აპარატის, ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტის, წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ცენტრების შექმნის შესახებ საუბრობდნენ. თუმცა, შეკრებილთა აზრით, ცენტრების შექმნას, რომლებმაც პატიმრებს სამედიცინო კონსულტაციები უნდა გაუწიონ და მათ მკურნალობის კურსი დაუნიშნონ, არანაირი აზრი არ ექნება, თუკი ქართულ პენიტენციარულ სისტემაში ევროსტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურა საბოლოოდ არ ჩამოყალიბდება.

როგორც გუშინდელ შეხვედრაზე გაირკვა, ციხეებში არსებულ ჯანდაცვის პრობლემებს, ძირითადად, სათანადო სამედიცინო აპარატურისა და მედიკამენტების არქონა ქმნის. საქმე ისაა, რომ არ ხორციელდება ჯანდაცვის სამინისტროს პროგრამები, გარდა ამისა, სათანადოდ არ სრულდება ის ბრძანება, რომლის თანახმადაც, პატიმარი, ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრად გაუარესების საფუძველზე, პატიმრობიდან უნდა გათავისუფლდეს.

**"ევროპული ქვეყნების პენიტენციარულ სისტემაში ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, პატიმართა 32 პროცენტს ფსიქიკური დარღვევები აღენიშნება. ყველგან და, მათ შორის, საქართველოშიც არსებობენ ისეთი პატიმრები, რომლებიც მძიმე ფსიქიური დაავადებების გამო, სპეციალურ საავადმყოფოებში უნდა იყვნენ გადაყვანილები, მაგრამ აღნიშნული პროცედურა ჭიანურდება,"** - აცხადებს მსოფლიო ფსიქიატრთა ასოციაციის სექციის - "წამების აღკვეთა და შედეგები" - წევრი მარიამ ჯიშკარიანი. მისივე განმარტებით, არსებობენ ისეთი პატიმრები, რომლებსაც პარანოიდალური აშლილობები და თვითმკვლელობისკენ მიდრეკილება აღენიშნებათ, მაგრამ ისინი სპეციალურ საავადმყოფოებში მკურნალობას არ საჭიროებენ. გარდა ამისა, კვლევამ საბოლოოდ დაადასტურა, რომ პენიტენციურ სისტემაში არსებობს საშიშ ინფექციურ დაავადებათა და ნარკომანიის გავრცელების პრობლემები.

**"აუცილებელია პენიტენციარული სისტემის საფუძვლიანი მონიტორინგი, ფსიქიატრიული მდგომარეობის გარკვევის თვალსაზრისით. უნდა შემუშავდეს ახალი სამედიცინო ექსპერტიზის კანონი, რომელიც ექსპერტიზის შემჭიდროებულ ვადებში ჩატარებას და ავადმყოფი პატიმრების შესაბამის დაწესებულებაში გადაყვანას შეუწყობს ხელს,"** - აცხადებდნენ გუშინ ისუტიციის სამინისტროში შეკრებილები. ფსიქიატრები ირწმუნებიან, რომ აუცილებელია კომისიების შექმნა, რომლებიც დაკომპლექტებული იქნება პროფესიონალებით და მოხდება გადარჩევა, ვინ უნდა დარჩეს ციხეში და ვინ - სამკურნალო სპეციალიზებულ დაწესებულებაში.

*24 საათი*

# არასამთავრობოები კონტრაბანდისტობაში მაღალჩინოსნებს ადანაშაულებენ

*იმერეთში კონტრაბანდული და უაქციზო სიგარეტების წინააღმდეგ ბრძოლაში არასამთავრობო ორგანიზაციები ჩაებნენ. "თავისუფლების ინსტიტუტის" ადგილობრივი ომბუდსმენი გოჩა ჩხეტია და "საზოგადოებრივი ინტერესების დაცის ცენტრის" ხელმძღვანელი სულხან ქობულაძე, მოკვლეული მასალების მიხედვით, კონტრაბანდის მფარველობაში სწორედ იმ ორგანიზაციების ხელმძღვანელებს ადანაშაულებენ, ვისაც ამის წინააღმდეგ ბრძოლა ევალებათ. ერთ-ერთი პიროვნება, რომელსაც არასამთავრობოები კონტრაბანდისტების მფარველობაში ამხელენ, საფინანსო პოლიციის ადგილობრივი სამსახურის უფროსი სოსო გაბრიჩიძეა. თავის მხრივ, გაბრიჩიძე ბრალდებებს უარყოფს და ცილისწამებისათვის სასამართლოში ჩივილს აპირებს.*

ბექა სისაური
*ქუთაისი*

**"სოსო გაბრიჩიძის მიერ კონტრაბანდული სიგარეტის ბიზნესის მფარველობის შესახებ ჯერ კიდევ გასულ კვირას გავაკეთეთ განცხადება, რასაც ორ დღეში საფინანსო პოლიციის მიერ ბაზრობაზე განხორციელებული ილუზიონისტური ტრიუკი მოჰყვა. გაბრიჩიძე სპეცრაზმთან ერთად თავს დაესხა ბაზრობა "იმერეთს" და თითქოსდა კონტრაბანდისტები გამოავლინა. სინამდვილეში კი, ქუთაისში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი კონტრაბანდისტი ნოდარ კუპრავა სპეცოპერაციის შედეგად დააკავეს და ერთ საათში გამოუშვეს. იგი დღემდე აგრძელებს კონტრაბანდული სიგარეტებით ვაჭრობას,"** - განაცხადა გოჩა ჩხეტიამ. მისი განმარტებით, გაბრიჩიძემ შეტევა ბაზრობის ხელმძღვანელობაზე გადაიტანა და ადმინისტრაცია შედგენილი აქტების საფუძველზე 4 ათას 700 ლარით დააჯარიმა, რის გამოც, ბაზრის ხელმძღვანელობამ 20-მდე მოვაჭრე, რომლიც უაქციზო სიგარეტებით ვაჭრობდნენ, ბაზრიდან გამოუშვა. აღნიშნულმა მოვაჭრეებმა თხოვნით კვლავ ზემოაღნიშნულ არასამთავრობო ორგანიზაციებს მიმართეს. მათ განაცხადეს, რომ თუკი დირექცია უკან დააბრუნებდა, უაქციზო სიგარეტს აღარასოდეს გაყიდდნენ. ჩხეტიას ინფორმაციით, მათი თხოვნა დაკმაყოფილდა, თუმცა, იმავე დღიდან მოვაჭრეებმა უაქციზო სიგარეტით ვაჭრობა მაინც განაგრძეს.

არასამთავრობოებს აქვთ ინფორმაცია ქუთაისში რუსულაქციზიანი სიგარეტების მოხვედრის თაობაზეც. **"ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ნოდარ კუპრავას კუთვნილ კონტრაბანდულ სიგარეტს თვითონ სოსო გაბრიჩიძე აცილებდა, მაშინ, როდესაც იგი უშიშროების სამსახურის დასავლეთის განყოფილების თანამშრომელი იყო. ასევე ბაზრის ტერიტორიაზე სიგარეტის შეღწევას ხელს უწყობს საფინანსო პოლიციის თანამშრომელი თენგიზ სიმონია, იგი დღესაც ამხედრებს ბაზრობიდან გაყრილ მოვაჭრეებს, რომ საზოგადოებრივი ზეწოლა მოახდინონ ბაზრობის დირექტორზე. ამჟამად, იმერეთში კონტრაბანდული სიგარეტი გორიდან შემოდის. ჩვენ მივმართეთ უშიშროების სამსახურის ადგილობრივ ხელმძღვანელობას, შეისწავლონ აღნიშნული მასალები და ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციებიც გადავეცით,"** - განაცხადა "თავისუფლების ინსტიტუტის" ომბუდსმენმა. მისივე თქმით, საქართველოს საფინანსო პოლიციის უფროსი კეზერაშვილი სოსო გაბრიჩიძის ნათესავია, ამიტომაც მისგან რეაგირებას არ ელიან. **"ამჟამად რუსული წარმოების კონტრაბანდული სიგარეტი ქუთაისში ნებისმიერ ბაზრობაზე და მაღაზიაში იყიდება. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, კონტრაბანდა გორიდან მოდის, ურელტეხილამდე მას, ალბათ, შიდა ქართლის ფინანსური პოლიცია მოაცილებს, იმერეთის საზღვრიდან კი ადგილობრივი ფინანსური პოლიცია კურირებს,"** - აცხადებენ არასამთავრობო ორგანიზაციის წევრები.

**"მე არ ვაპირებ თავის დახრას, რადგანაც ეს ბრალდებები აბსურდულია და პირდაპირ ცილისწამებას წარმოადგენს. ამიტომაც არ გამოვრიცხავ, რომ სასამართლოს მივმართო,"** - აცხადებს სოსო გაბრიჩიძე. იგი იმასაც დასძენს, რომ ნოდარ კუპრავას, როგორც კონტრაბანდული სიგარეტების შემომტანის შესახებ ინფორმაცია მას შემდეგ გაიგო, რაც საფინანსო პოლიციაში გადმოვიდა. **"კუპრავა არა ერთი, არამედ ხუთი საათის განმავლობაში გვყავდა დაკავებული. კუპრავას მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. მისგან ამოღებული სიგარეტი არ აღემატებოდა 2000 ლარს, რაც არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას. რაოდენობა არ ეყო, თორემ მას აუცილებლად დავიჭერდით. თუკი მან კვლავ გააგრძელა აღნიშნული საქმიანობა, ჩათვალეთ, რომ მზადაა ციხეში წასასვლელად. მის გარდა კიდევ ორ პიროვნებაზე ვმუშაობთ. საერთოდ, ამ ბაზრობაზე დაახლოებით ათჯერ მაინც ვართ შესული და 36 ათასი კოლოფი სიგარეტი გვაქვს ამოღებული. ეს სიგარეტი შემოდის ჩანთებით, კომბოსტოებში, ვაშლებში დამალული, მისი აღკვეთა ძალიან რთულია,"** -აცხადებს გაბრიჩიძე. იგი მის უშუალო ხელმძღვანელ კეზერაშვილთან ნათესაობასაც უარყოფს, ხოლო არასამთავრობო ორგანიზაციების წევრებს მის წინააღმდეგ შეკვეთის შესრულებაში სდებს ბრალს, თუმცა შემკვეთის ვინაობას ვერ აკონკრეტებს. **"დარწმუნებული ვარ, რომ ისინი ვიღაცის შეკვეთას ასრულებენ. ეტყობა, ჩვენ ვიღაცის ინტერესები ბაზრობაზე სერიოზულად გადავკვეთეთ..."** - ამბობს გაბრიჩიძე და იმასაც არ უარყოფს, რომ ქუთაისში უაქციზო სიგარეტი ბაზრობებსა და მაღაზიებში თავისუფლად იყიდება.

**"ამას საქართველოში ვინმე უარყოფს? იგივე თბილისის, გორის, ზუგდიდის ბაზრობებზე უაქციზო სიგარეტი არ იყიდება? ამას კომპლექსური მიდგომა სჭირდება და მარტო ერთ კუთხეში ვერ აღმოფხვრი,"** - აცხადებს საფინანსო პოლიციის უფროსი.

უშიშროებამ კი აღნიშნული საკითხების შესწავლა სულ რამდენიმე დღეა, დაიწყო და, ჯერჯერობით, პრესასთან სათქმელი არაფერი აქვს.


## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ანკეტა

სახელი, გვარი ..........

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი ..........

საკონტაქტო ტელეფონი ..........

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფშენის" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77. იურიდიული ოფისი "გაპი".

# აფხაზური ვარდები და რუსეთის ახალი მზაკვრული ფანდები

ქეთევან ამირეჯიბი

აფხაზეთის ომის შემდგომი პერიოდის რუსეთის პოლიტიკა მიმართული იყო ქართული მიწების რუსეთის სახელმწიფოსთან მორიგი მიერთებისაკენ და ემყარებოდა ერთ მარტივ პრინციპს - კონფლიქტის კონსერვაციის პირობებში, ამ მიწაზე თავისი კონტროლის დაწესება, იქ დარჩენილი მოსახლეობის იურიდიული და მენტალური რუსიფიკაციით. ამ პრინციპის განხორციელებაში რუსეთს, რა თქმა უნდა, აფხაზებიც გვერდში ედგნენ, რადგან მცირერიცხოვან აფხაზებს ძალიან ეშინიათ ომის, რომელშიც ურუსეთოდ უსათუოდ დამარცხდებიან. ამიტომაც ეტმასნებიან რუსეთს; აფხაზეთის ამჟამინდელი მოსახლეობის 70 პროცენტი რუსეთის მოქალაქეა. ამით რუსეთს ჰგონია, რომ ომის შემთხვევაში ხელები ეხსნება "თავისი მოქალაქეების" დასაცავად.

ეს ყველაფერი, ფაქტობრივად, დროის მოგების ტლანქი მანევრი იყო, თუმცა რუსეთი სხვას ვერაფერს მოიმოქმედებდა. პროცესების ნებისმიერი (თუნდაც სამხედრო) განვითარება საქართველოს აძლევდა და აძლევს ხელს, რადგან სამართლებრივი თვალსაზრისით, აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია და ამას ყველა, თავად რუსეთიც კი, ოფიციალურად აღიარებს. აქედან გამომდინარე, ყველა სამშვიდობო პროცესი, რომლის გარანტიც მსოფლიო თანამეგობრობაა, აფხაზეთის საქართველოს იურისდიქციაში დაბრუნებისკენაა მიმართული.

უკანასკნელ თვეებში რუსეთმა, როგორც იქნა, გაიაზრა, რომ აფხაზეთში ვითარების შემდგომი კინსერვაცია აღარ მოიტანს მისთვის სასურველ შედეგს; ჯერ ერთი, თავისთავად ასეთი კონსერვაცია უკვე შეუძლებელი გახდა, რადგან საქართველო მაქსიმალურად ცდილობს სამშვიდობო პროცესების განვითარებას, და მეორე - საინფორმაციო ომში ამჟამად საქართველო ლიდერობს. საერთაშორისო საზოგადოება ცხადად ხედავს და არ მოსწონს რუსეთის ხელის ფათური აფხაზეთის ამბებში. ევროსაბჭოში ქართულ-რუსული საკითხის მოსმენის შემდეგ, რუსეთის უმსგავს საქციელს კიდევ ერთხელ აეხადა ფარდა. აშკარა გახდა, რომ ნებისმიერ დროს, ვისაც გნებავთ შეუძლია რუსეთს სეპარატიზმის მხარდაჭერაში და ორმაგ სტანდარტებში დასდოს ბრალი და "აფხაზეთი" წამოაძახოს. და ეს მაშინ, როცა რუსეთი ცდილობს ტერორიზმთან მებრძოლის ქურქი მოირგოს, თავისი მსოფლიო მნიშვნელოვნებით ახალ რანგში ავიდეს და თავის მთავარ მეტოქეს - შურის აღმძვრელ (და ამავე დროს საძულველ) ამერიკას გაუტოლდეს.

რა უნდა იღონოს რუსეთმა არსებული რთული ვითარებიდან მოგებული რომ გამოვიდეს? რუსეთის პოლიტიკოსთა ნაწილი (ამ ნაწილში წესით პრეზიდენტი პუტინიც უნდა შედიოდეს) აშკარად ხედავს, რომ აფხაზეთის რუსეთთან მიერთება შეუძლებელია. ამას მსოფლიო თანამეგობრობა, დეკლარირებული პრინციპებიდან გამომდინარე, ვერანაირად ვერ გაამართლებს; შესაძლოა, ეს ფაქტი რუსეთის საბოლოოდ მიხრჩობის ერთ-ერთ კარგ საბაბად გამოიყენონ.

მეორე მხრივ, თითქოს არსებობს ალტერნატივა - პრორუსული, რუსულ ეკონომიკაზე და სამხედრო უსაფრთხოებაზე მიბმული პატარა, ახალგაზრდა სახელმწიფო. მაგრამ რუსეთი, ამავე დროს, ხედავს, რომ ვერანაირი დამოუკიდებელი სახელმწიფო ამ ისტორიულ ეტაპზე აფხაზეთისაგან ვერ შედგება, და, აი, რატომ: იმისათვის, რომ ე.წ. ძველმა ეთნოსმა შექმნას, ან აღადგინოს სახელმწიფო და შეძლოს მისი შენარჩუნება, პირველ ყოვლისა, ასეთი ეთნოსი უნდა არსებობდეს. უნდა არსებობდეს ერთიანი ეთნოსის ნიშნებით აღჭურვილი საზოგადოება, რომელსაც ქმნის მისი მეტნაკლებად ერთიანი გენეტიკა, საკუთარი მითოსი, ისტორია, ენა, დამწერლობა, თვითმყოფადი კულტურა, საცხოვრებელი ტერიტორია, და რაც მთავარია, ისტორიული მეხსიერება.

რუსეთი ხედავს, რომ მათ მიერვე შეთხზული ე.წ. აბხაზია ჯერ მხოლოდ მცირედ თუ აკმაყოფილებს ჩამოთვლილს. ასეთი დასკვნისთვის მხოლოდღა ამჟამინდელ აფხაზურ გვარებზე უბრალო დაკვირვებაც კმარა. ბაღაფში, მაგალითად (და ყველა ის, ვისი გვარიც "ში"-ზე მთავრდება), ლაზია. "ია"-ზე დამთავრებული გვარები მეგრელებისა და აფხაზებისაა. "ბა"-ზე დამთავრებული გვარები კი ჩრდილოკავკასიური ადიღეური აფსუა ეთნოსის წარმომადგენლებს ეკუთვნით, რომლებიც, მეჩვიდმეტე საუკუნიდან მოყოლებული, ნელ-ნელა გადმოდიოდნენ კავკასიონს აქეთ. წყაროებიდან ჩანს, რომ სიტყვა "აფხაზი" გულისხმობდა ქართული ტომის წარმომადგენელს. რუსებმა კი, ვინც აფხაზეთში დახვდათ, ყველას "აბხაზცები" დაარქვეს. აქ შესაძლებელია უფრო ღრმა ისტორიულ-ლინგვისტური წიაღსვლა, მაგრამ ეს სხვა საუბრის თემაა.

ერთი შეხედვით, როგორც თავად რუსები იტყვიან - дело тухлое. მაგრამ უნდათ ეს აფხაზეთი და რა ქნან?



სერგეი ბაღაფშის მომხრეთა მიტინგი სოხუმში.

როგორც ჩანს, პუტინმა ბრძანება გასცა, ახალი რესურსები ჩართონ საქმეში ამ ლაბირინთიდან თავის დასაღწევად. შექმნეს ახალი ჯგუფი, მოიწვიეს ცოტა უფრო განათლებული ხალხი, დასხდნენ და შეიმუშავეს ახალი გეგმა. საფიქრებელია, რომ ამ გეგმის შემუშავებას ასეთი ან ამის მსგავსი ლოგიკური ჯაჭვი ჰქონდა და "გერეუსა" თუ სხვა ინსტანციის ჩინოვნიკების დიალოგი ასე ჟღერდა:

- რა საფუძველზე უნდა შეიქმნას "აბხაზია"?

- საქვეყნოდ ცნობილია, რომ ომი და ბრძოლა აყალიბებდა ერებს, ქმნიდა მათ ისტორიულ მეხსიერებას, ეთნოსებიდან გადააქცევდა ერებად და შემდგომ - სახელმწიფოებად. დღეს აბხაზცებს შინაგანი და გარე ბრძოლებით თვითგამორკვევა, ისტორიული მონაპოვარი აკლიათ.

რომ გავიხსენოთ 70-იანი წლებიც კი, აფხაზები მაშინ არ თვლიდნენ, რომ ეს მიწა მხოლოდ მათია და ქართველები ვიღაც უცხონი არიან. უფრო მეტი, თავად ჰქონდათ უცხოობის განცდა. დღეს კი სურათი სულ სხვაა. ახლა რომ ჰკითხოთ, მიწა ომით თვითონ მოიგეს და ორი აზრი არ არის - მიწა მაგათია.

- ეს ასე, მაგრამ რა ვუყოთ ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორს, როგორიცაა შიდა ბრძოლა თავად საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის?

- ამისათვის სოციალური აქტივობაა საჭირო და როგორც უნდა დამთავრდეს ეს შიდა ბრძოლა, შედეგი აუცილებლად ჩაიწერება ისტორიული მეხსიერების ფურცლებზე და აღქმულ იქნება როგორც ისტორიული მონაპოვარი. აუცილებელია საზოგადოებრივი აქტივობის პროვოცირება.

- არსებობს სოროსის ქართული ვარდების რევოლუციის ბრწყინვალე სცენარი. შედეგი მაქსიმალურია - ახალი ეროვნული გამარჯვება, მონაპოვარი, ახალი ენერგია და ენთუზიაზმი. მეორე მხრივ, ძლიერი ძალაუფლება დემოკრატიის ანტურაჟით. ნეტავ თუ შეიძლება აბხაზიაში მსგავსი რამის გათამაშება?

- რატომაც არა. მსოფლიომ იცის, რომ ხაჯიმბა ჩვენი კაცია. მოდით კიდევ უფრო დავარწმუნოთ ამაში ყველა და მოვუსვათ გვერდით პირადად პუტინს. შემდეგ მოვაწყოთ არჩევნები, რომელიც ყველას ეცოდინება, რომ ჩვენი ჩაწყობილია და, ჰოი, საოცრებავ! წავაგოთ ეს არჩევნები.

- დაიჯერებენ?

- მთავარია თავად აბხაზცებმა დაიჯერონ, რომ კიდევ გაიმარჯვეს და ამით იგრძნონ, რომ ეთნოსიდან ერში გარდამავალ გზაზე დადგნენ. ეს მხნეობასაც დაუბრუნებთ, თორემ ძალიან შეაშინათ სააკაშვილმა.

- ამას მთელი მსოფლიო დაინახავს და ეს ჩვენს რეაბილიტაციას ხელს შეუწყობს. კარგია, მაგრამ ამერიკელები მაინც მიხვდებიან ყველაფერს.

- ქართველებიც მიხვდებიან.

- რომ მიხვდებიან, უკვე გვიანი იქნება.

- კანდიდატი? ვინ არის მაგათში ყველაზე ზომიერი, ისეთი, ვისაც არძინბასთან და ხაჯიმბასთან ცუდი ურთიერთობა აქვს? ოჩამჩირლებიდან გვინდა ვინმე.

- ბაგაფში დათანხმდება?

- სიხარულით ცას ეწევა. ერის გადამრჩენის სახელი გარანტირებული აქვს.

- ვარდების რევოლუცია, ხა, ხა, ხა... ასე მოუხდება სოროსს.

აი, დაახლოებით ასეთი შეიძლება ყოფილიყო ახალი რუსული პოლიტიკის ჩანასახი. ჩვენ კი გვგონია, რომ ბაღაფში გადაარჩენს საქართველოს. ბაღაფში, რომელიც ისევეა დაბრმავებული რუსეთის მიერ, როგორც სხვა ყველა აბხაზცად წოდებული პოლიტიკოსი, ისინი, ვინც "თავიანთი" გამარჯვების სარელიზაციოდ ერთადერთ გზად რუსეთთან კავშირს მიიჩნევენ და სინამდვილეში კი უგუნურად ჰკარგავენ თავიანთ ისედაც დაკნინებულ თვითმყოფადობას.

არის მიზერული შანსი იმისა, რომ ეს არა რუსული, არამედ ქართული სპექტაკლია - სახელად "აფხაზური ვარდები", ბაღაფში კი ლაზი მებაღის როლს თამაშობს. მაგრამ ეს მხოლოდ სიზმარში შეიძლება მოხდეს. და თუკი ეს ცხადში ხდება - ამისი რეჟისორი გენიოსია. მომავალში მას ძეგლები უნდა დავუდგათ და პოემები მივუძღვნათ.

შესაძლოა, ეს ყველაფერი უმეცარი კაცის ფანტაზია იყოს, მაგრამ თავად განსაჯეთ, შეიძლება ისეთ ტოტალურად მართულ სივრცეში, როგორიც დღევანდელი აფხაზეთია, რუსეთმა ასეთი არნახული დაუდევრობა ჩაიდინოს?

ახლა, ვინ არიან რუსები? ისტორიული რუსები სინამდვილეში არიან უკრაინელები. სწორედ მათ ტერიტორიებზე მდებარეობდა ცნობილი Великая Русь. შემდეგ, მონღოლური "ოქროს ურდო" ორასოთხმოცი წელი მართავდა მაშინდელი რუსეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს, რაც დღევანდელი ურალს აქეთა რუსეთია. საბოლოოდ "ოქროს ურდო" დაიშალა, მაგრამ თავად მონღოლები არსად წასულან - ისინი ადგილობრივ, ნამდვილ რუსებს შეერივნენ. ცნობილია მონღოლების ომისმოყვარეობა და ვერაგი ბუნება. ეს გენი რუსებმა სწორედ მათგან შეიძინეს. აი, რატომ არიან უკრაინელები და რუსები ასეთი განსხვავებულები ერთმანეთისაგან, და ეს მაშინ, როდესაც სულ რაღაც ათასი წლის წინ ისინი ერთ ენაზე მეტყველებდნენ და ერთი ეთნოსი იყვნენ.

წარმოდგენილი აზრები ვარაუდების რანგში რჩება, მაგრამ ზოგიერთი ლოგიკური დასკვნა მაინც შეიძლება გაკეთდეს.

ვარიანტი პირველი: თუ ბაღაფში "ჩვენი კაცია", რუსეთი სასწრაფოდ ეცდება მის რამენაირად გაუვნებელყოფას და სტატუს-კვოს აღდგენას. ამასობაში ჩვენ გვეძლევა მოქმედების დრო, მაგრამ პროცესი ხანგრძლივი და რთული იქნება, ქართულ მოსახლეობას კი, "გამარჯვებული" აფხაზების ფონზე, მეორეხარისხოვანი მოქალაქეების დამღა გარანტირებული აქვს.

ვარიანტი მეორე: თუ ბაღაფში რუსი "მებაღეა", აფხაზეთში სავარაუდოა, განვითარდეს ეროვნული თვითგამორკვევისა და საბოლოოდ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პროცესი. სწორედ ეს უნდა რუსეთს, ამდენად ეს ვარიანტი ყველაზე რეალურია. ამ შემთხვევაში ჩვენ სამხედრო ოპერაციის გარდა აღარაფერი დაგვრჩენია. ამას კი რა ფინალი ექნება, კაცმა არ იცის - ან გაიქცევა სულ ყველა, ან ისევ ჩვენ გამოვიქცევით ყველანი და საბოლოოდ დავკარგავთ აფხაზეთს.

ვარიანტი მესამე: ბაღაფში რუსეთის დოყლაპიობის შედეგია. რუსული საინფორმაციო საშუალებები ბაღაფშს რატომღაც ქილიკით მოიხსენიებენ, პოლიტიკოსები კი ვითომდა ნანობენ მომხდარს. ეს ან იმის გამოა, რომ იციან, ჩვენი კაცია (იხ. ვარიანტი პირველი), ან იმის გამოა, რომ თავიანთ გეგმას ფეხდაფეხ მიჰყვებიან და მშვიდად ახორციელებენ. (იხ. ვარიანტი მეორე). ამდენად, მესამე ვარიანტი ლოგიკურად არ შეიძლება არსებობდეს.

# დედაქალაქის მთავარი პრობლემები და მათი გადაწყვეტა

*პირველი და მეორე მოწვევის საკრებულოში მოღვაწეობამ ჩამოგვიყალიბა გარკვეული შეხედულებები და მოსაზრებები, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, როგორ შეიძლება ვებრძოლოთ საქალაქო მეურნეობის დარგებში არსებულ კორუფციას, როგორ სრულვყოთ და დავხვეწოთ მართვა. გვინდა, ზოგიერთი მტკივნეული საკითხი საზოგადოების სამსჯავროზე გამოვიტანოთ. ჩვენს წინადადებებს უალტერნატივოდ არ მივიჩნევთ და მივესალმებით, სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების, სპეციალისტების გამოხმაურებას.*

## მშენებლობა

დავიწყოთ ყველაზე გახმაურებული პრობლემით - მშენებლობით. საბჭოთა პერიოდში საცხოვრებელი მასივების მშენებლობა და მოსახლეობის გაყვანა ქალაქის პერიფერიებში, გარკვეულწილად, ობიექტური მიზეზებით იყო განპირობებული. შედეგად მივიღეთ ქალაქის ცენტრალური ნაწილი მოსახლეობის დაბალი სიმჭიდროვითა და განაშენიანებით (შენობა-ნაგებობათა უმრავლესობა ამორტიზებულია), პერიფერიები კი - პირიქით. აღნიშნულის გამო, დიდ მანძილზე გაიჭიმა ქალაქის კომუნიკაციები და მათი-მოვლა პატრონობა ათეულობით მილიონი ლარი ჯდება.

პერიფერიაში ცხოვრება, შედარებით, ძვირი და არაპრესტიჟულია. ამიტომ, ბუნებრივია მოსახლეობის საშუალო ფენის სწრაფვა ქალაქის ცენტრისაკენ. ცხოვრების დონის ამაღლებასთან ერთად, ეს ტენდენცია კიდევ უფრო გაძლიერდება. პრობლემა ისაა, რომ ქალაქის მთავრობა ამ პროცესს მოუმზადებელი შეხვდა - უმთავრესი ქალაქის განვითარების გენგეგმის შექმნა იყო, ეს კი გარდამავალ პერიოდში ურთულეს ამოცანას წარმოადგენს. ამასთან, თავის დროზე სათანადო ყურადღება არ დაეთმო დედაქალაქის ცალკეული საცხოვრებელი უბნების რეკონსტრუქციის პროექტების დამუშავებას, რაც კომპლექსური განაშენიანების საშუალებას მოგვცემდა. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ცალკეული უბნების რეკონსტრუქციის პროექტების დამუშავებაზე კონკურსების გამოცხადება. სართულიანობის განსაზღვრა უნდა მოხდეს, სხვა ფაქტორებთან ერთად, მაღალი განაშენიანების შედეგად გამოთავისუფლებულ ტერიტორიაზე აუცილებელი ინფრასტრუქტურის განვითარების შესაძლებლობისა და მშენებლობის რენტაბელობის გათვალისწინებით. მაშინ არ მოგვიწევს მშენებლობების აკრძალვა, ან შეზღუდვა ადმინისტრაციული მეთოდებით, რომელიც კიდევ უფრო კორუმპირებულს გახდის ამ დარგს.

ზემოაღნიშნულისა და მშენებლობაზე არსებული სხვა პრობლემატური საკითხების მოგვარების ერთ-ერთ გზად მიგვაჩნია შერეული საკუთრების სააქციო საზოგადოების ჩამოყალიბება, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი იქნება ქ. თბილისის მთავრობა. სახელმწიფო და კერძო ინვესტიციების ინტერესების გაერთიანება საშუალებას მოგვცემს, შეიზღუდოს სახელმწიფო ბიუროკრატიული აპარატის უკანონო ქმედებები; მეორე მხრივ, ხელს შეუწყობს შესრულებული სამშენებლო სამუშაოების ლეგალიზაციას (შესაბამისად, შემოსავლების ზრდას ბიუჯეტში), კორუფციული ელემენტების აღმოფხვრას და ბინათმშენებლობის საქმეში სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას.

ცალკე უნდა აღინიშნოს ქალაქის ბიუჯეტით დაფინანსებული მშენებლობები. დღეისათვის დამკვეთის ფუნქციას ახორციელებს თითქმის ყველა საქალაქო სამსახური. დამკვეთისა და საპროექტო ორგანიზაციის კორუფციული ინტერესები ხარჯთაღრიცხვებში იდება. სწორედ ეს განაპირობებს კანონის მოთხოვნათა შემდგომ დარღვევებს - კონკურსების ფორმალურ ჩატარებას, სამუშაოების შესრულებას საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის გარეშე და სხვა.

კორუფციის დონე ამ სფეროში მაღალია და მიგვაჩნია, რომ მის აღმოსაფხვრელად აუცილებელია პროექტირებასა და მშენებლობაზე დამკვეთის ფუნქციების გამიჯვნა და კონკურსების გამოცხადება პროექტების დამუშავებაზე. დაპროექტებაზე დამკვეთის ფუნქციის განსახორციელებლად უნდა შეიქმნას 4-5- კაციანი ჯგუფი, ხოლო მშენებლობაზე დამკვეთის ფუნქცია მხოლოდ კაპმშენებლობის სამსახურს უნდა ჰქონდეს. ამით საქალაქო სამსახურები თავისუფლდებიან მათთვის არასპეციფიკური დამკვეთის ფუნქციისაგან, მიზნობრივად და რაციონალურად იქნება გამოყენებული საბიუჯეტო სახსრები, საპროექტო ორგანიზაციებს შორის შეიქმნება ჯანსაღი, კონკურენტული დამოკიდებულების გარემო.

## სამგზავრო ტრანსპორტი

უკანასკნელ წლებში ამ სფეროში მიმდინარე პროცესები და შექმნილი მდგომარეობა მოსახლეობისთვის, ძირითადად, ცნობილია. უაღრესად დაბალი რეგულირების პირობებში, მიწისზედა ტრანსპორტის სამარშრუტო ქსელის განვითარებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურის არარსებობამ, არასწორმა სატარიფო პოლიტიკამ, კორუფციულმა ინტერესებმა განაპირობა მასობრივი გადაზიდვების მუნიციპალური ტრანსპორტიდან (მეტროპოლიტენი, ავტობუსი, ტრამვაი, ტროლეიბუსი) მგზავრთა ნაკადის გადანაწილება მიკროავტობუსებზე (საერთო გადაზიდვებში მათი წილი 5-დან 50%-მდე გაიზარდა) და საერთო სარგებლობის ტრანსპორტზე არაორგანიზებული გადაზიდვების წესის დამკვიდრება. აღნიშნულის გამო, ერთი მხრივ, მკვეთრად გაუარესდა მუნიციპალური ტრანსპორტის ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობა. ის, ძირითადად, ბიუჯეტის ხარჯზე არსებობს (ყოველწლიურად 20 მლნ. ლარამდე გამოიყოფა სუბსიდიებისა და დოტაციების სახით). ხოლო მეორე მხრივ, გამოიწვია საგზაო ქსელის გადატვირთვა, განსაკუთრებით, ქალაქის ცენტრში და ეკოლოგიური მდგომარეობის უკიდურესი გართულება. თბილისი ევროპაში ეკოლოგიურად ერთ-ერთ ყველაზე დაბინძურებულ ქალაქად გამოცხადდა, როდესაც ჰაერის დაბინძურების 80-90 პროცენტამდე ავტომობილების გამონაბოლქვ აირებზე მოდის.

სამგზავრო ტრანსპორტის მართვის სისტემა მთლიანად კორუმპირებულია; აღრიცხვიანობის სისტემის მოშლის გამო, მუნიციპალური ტრანსპორტისთვის გამოყოფილი სუბსიდიები 4-5-ჯერ არის გაზრდილი, არ არის შემუშავებული და საკრებულოზე დამტკიცებული გადამზიდავებზე მათი განაწილების წესი, ხოლო კერძო ტრანსპორტზე ფარული ეკონომიკა 70 პროცენტსს აღემატება; აღნიშნულისა და ადგილობრივ მოსაკრებლებში დანაკარგების გათვალისწინებით, ბიუჯეტი ყოველწლიურად 10 მილიონამდე ლარს კარგავს. ამას ემატება ყოველწლიურად 3 მილიონ ლარამდე დანაკარგები "მოსახლეობის მსუბუქი ტაქსებით მომსახურების", "ფასიანი ავტოსადგომების მოწყობისა და ექსპლუატაციის" წესების შეუმუშავებლობის გამო.

ევროპის ქალაქების გამოცდილების (სხვადასხვა სახის საქალაქო-სამგზავრო ტრანსპორტს შორის თავისუფალი კონკურენციის დაუშვებლობა), საბაზრო ეკონომიკისა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ, პირველ რიგში, აუცილებელია:

ა) მართვის სისტემის რეფორმა; სამეწარმეო და საჯარო ფუნქციების მკვეთრი გამიჯვნა, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ბაზაზე საჯარო სამსახურის ჩამოყალიბება ერთიანი სატრანსპორტო ბაზრის (მეტროპოლიტენი და მიწისზედა ტრანსპორტი) მარეგულირებელი ფუნქციით, მგზავრთა ნაკადის ოპტიმალური განაწილებისათვის სატარიფო და საგადასახადო პოლიტიკის შემუშავება, ინფრასტრუქტურის განვითარების ორგანიზება, მართვის სისტემის შუალედური რგოლების გაუქმება და სამეწარმეო ფუნქციების დამოუკიდებელი გადამზიდავებისათვის გადაცემა. ერთი სიტყვით, ქალაქში ყველა სახის სამგზავრო ტრანსპორტისათვის ერთიანი სატრანსორტო ბაზრის მარეგულირებელი და სატრანსპორტი სიტუაციაზე პასუხისმგებელი სტრუქტურის ჩამოყალიბება;

ბ) ცალკეული კატეგორიის მოქალაქეთა უფასოდ მგზავრობისათვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი საკომპენსაციო თანხების მოქალაქეებისთვის დარიგება. თუ ეს მიუღებელია, მაშინ გადამზიდავებზე საკომპენსაციო თანხების განაწილების სათანადო წესის შემუშავება და ბიუჯეტში ამ თანხების უშუალოდ მათზე გაწერა;

გ) შესაბამისი გამოკვლევების საფუძველზე მიწისზედა ტრანსპორტის მოძრაობის ახალი სქემის შემუშავება. ამ სამუშაოთა ჩატარებისა და შესაბამისი სატარიფო პოლიტიკის შემუშავების გარეშე, ახლად შეძენილი ავტობუსებით თავისუფალი კონკურენციის პირობებში შეუძლებელია მგზავრთა ნაკადის ოპტიმალური გადანაწილება;

დ) მიწისზედა ტრანსპორტის ახალი სქემის შემუშავებამდე, მიკროავტობუსების არსებულ ან კორექტირებულ სამარშრუტო სქემაზე, გადამზიდავთა შესარჩევად, კონკურსის ჩატარებისას კორუფციის არდაშვებისა და ფარული ეკონომიკის აღმოფხვრის მიზნით, მიგვაჩნია, რომ მარშუტების მომსახურების უფლებამისილება უნდა გაიყიდოს აუქციონზე ერთი წლის ვადით. ამასთან, კონკურსზე დაშვებულ იქნას მხოლოდ ის ფირმები, რომლებსაც სატრანსპორტო საშუალებები ერიცხებათ ბალანსზე, რათა ხელი შევუწყოთ რეალურ გადამზიდავთა ინსტიტუტის ფორმირებას;

ე) "მოსახლეობის ტაქსებით მომსახურების ორგანიზების წესით" უნდა შეიზღუდოს ჩინოვნიკების ჩარევა გადამზიდავთა სამეწარმეო საქმიანობაში. კერძოდ, მთავრობის მოვალეობად მიგვაჩნია: სატაქსო გადაზიდვებში ნებადართული ავტომანქანების მარკებისა და ხნოვანების, ეკიპირების, ტარიფების, ადგილობრივი მოსაკრებლების ოდენობის, ტაქსების გაჩერების ადგილებისა და კვოტის დადგენა, ხელის შეწყობა ავტომანქანების ტაქსომეტრებით აღჭურვაში. ტაქსის გაჩერებათა მოწყობა-ექსპლუატაცია ხორციელდება კერძო სექტორის მიერ კონკურსებში უფლებამოსილების მოპოვების გზით;

ვ) "ავტოსადგომების მოწყობისა და ექსპლუატაციის წესით" უნდა გაიმიჯნოს ავტოსადგომების ორგანიზებისა და მოსაკრებლების ამოღების ფუნქციები. ორგანიზების ფუნქცია რჩება ქალაქის მთავრობას, ხოლო მოსაკრებლის ამოღებისა - კერძო სტრუქტურას. თავისუფლდება ავტოპარკირების ფასი (ღირებულება). მთავრობა ამტკიცებს ავტოსადგომების დისლოკაციას, აცხადებს ტენდერს მათ მოწყობასა და ექსპლუატაციაზე, წინასწარ შედგენილი პირობებით. ავტოსადგომების მოწყობა, აღჭურვა, მოხაზვა ხორციელდება მთავრობის მიერ დამტკიცებული პროექტებით, კონკურსში გამარჯვებული პირის მიერ.

მსუბუქი ავტომობილების პარკირების პრობლემის გადაწყვეტა შეუძლებელია, თუ არ გამოიყო ტერიტორიები ქალაქის ცენტრში მრავალსართულიანი მიწისზედა და მიწისქვეშა ფასიანი ავტოსადგომების ასაშენებლად;

ზ) ვფიქრობთ, რომ საგარეუბნო და საქალაქთაშორისო საავტომობილო გადაზიდვების სფეროში არამართებულადაა გამიჯნული ფუნქციები უმაღლეს და ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის. არ შეიძლება ადგილობრივი მმართველობა მონაწილეობას არ იღებდეს საგარეუბნო და საქალაქთაშორისო საავტობუსო სამარშრუტო ქსელის ფორმირებაში, არ გააჩნდეს ზემოქმედების ბერკეტები. აღნიშნულის შედეგია ის, რომ ქალაქის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 30-ზე მეტი ავტოსადგური და ქალაქის ისედაც გადატვირთულ ცენტრში მოძრაობენ საგარეუბნო და საქალაქთაშორისო ავტობუსები;

თ) მიგვაჩნია, რომ "საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის" კანონის მოთხოვნები ყველა სახის სამგზავრო ტრანსპორტის მძღოლებისათვის რეისისწინა სავალდებულო სამედიცინო შემოწმების თაობაზე არ უნდა ვრცელდებოდეს მსუბუქ ტაქსებზე, რადგანაც მათ არ გააჩნიათ ხაზზე გასვლის გრაფიკი (ისინი დღეში რამდენჯერმე გადიან ხაზზე). ამით სარგებლობენ კერძო ფირმები და აწარმოებენ მაკონტროლებელი ორგანოებისათვის წარსადგენი წინასწარ დამოწმებული საგზაო ფურცლების რეალიზაციას (თითოეული მძღოლი იხდის თვეში 10 ლარს). საქმიანობა მთლიანად ფარულ ეკონომიკაშია მოქცეული;

ი) რესპუბლიკის საავტომობილო პარკი მორალურად და ფიზიკურად ამორტიზებულია. მისაღებია საკანონმდებლო აქტი, რომელიც შეზღუდავს, შეამცირებს აღნიშნული მანქანების შემოდინებას საქართველოს ტერიტორიაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტა შეუძლებელი გახდება;

კ) აუცილებელია სასწრაფოდ შემუშავდეს "სასაწყობო ბაზებისა და ბაზრობების ქალაქის ტერიტორიაზე განთავსების წესი", რადგანაც სტიქიურად ორგანიზებული ბაზრობები და საბითუმო ვაჭრობის ობიექტები კიდევ უფრო ამძაფრებენ ქალაქში არსებულ სატრანსპორტო სიტუაციას - 1 კვ. კმ-ზე გაცილებით ნაკლებ ფართობზე განთავსებულია რკინიგზის სადგური, "დეზერტირების" ბაზარი, ბავშვთა სამყარო, 3-4 ბაზრობა და "დინამოს" სტადიონი, რაც ქალაქგეგმარების არანაირ ჩარჩოებში არ ჯდება. საკითხის მოწესრიგებამდე, არსებული მდგომარეობის შესამსუბუქებლად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, აიკრძალოს მძიმე ტონიანი სატვირთო ავტომანქანების შესვლა ამ ტერიტორიაზე, რაც ხელს შეუწყობს საბითუმო ვაჭრობის მოცულობის შემცირებას;

კორუფციის აღმოფხვრას მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს:

ა) საქალაქო სამსახურებისათვის ერთიანი კომპიუტერული ქსელის შექმნა, რომელიც საშუალებას მისცემდა მთავრობას, საკრებულოს კომისიებს, ფრაქციებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს ოპერატიულად ეკონტროლებინათ ფინანსების მოძრაობა და საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივად გამოყენება.

ბ) ტენდერების და კონკურსების ჩატარების ტექნოლოგიის შეცვლა და აუცილებლობის შემთხვევაში კანონმდებლობაში გარკვეული ცვლილებების შეტანა, რადგანაც ისინი ფორმალურ ხასიათს ატარებს, უფრო მეტიც, გამოიყენება კორუფციული გარიგებების მიჩქმალვისათვის.

გ) რომელიმე ტელეარხზე ქალაქის პრობლემების განსახილველად ორსაათიანი ტელეგადაცემების ორგანიზება კვირაში ორჯერ, საკრებულოს წევრების, კომისიათა ხელმძღვანელების, მთავრობის პასუხისმგებელ მუშაკთა და მოსახლეობის მონაწილეობით.

დ) მოხმარებული ბუნებრივი გაზის ტარიფის დადგენის საკითხის თბილისის საკრებულოს კომპენტენციაში გადაცემა, რადგანაც არსებობს პირდაპირი ხელშეკრულება მომწოდებელთან.

ჩვენი წინადადებები არ მოითხოვს კაპიტალდაბანდებებს. პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში, მათ რეალიზაციას დიდი დრო არ სჭირდება. მიგვაჩნია, რომ ეს ღონისძიებები ხელს შეუწყობს ქვეყნის აღმშენებლობის პროცესს.

*ქ. თბილისის საკრებულოს ფრაქცია "სამართლიანობის" სახელით, თავმჯდომარე ჯ. შენგელია*

*არასამთავრობო ორგანიზაციის "პარტნიორობა თვითმმართველობის სრულყოფისათვის" სახელით, თავმჯდომარე ზ. კაჭარავა*

სამშობლოში დროებით დაბრუნებული ქართველი კინოოსტატი



B3

პროფესიული ფეხბურთის ლიგის ახალი ინიციატივა




B4

თქვენც ხომ არ დათვერით?



B6

აქტუალური ისტორია

# ანტაგონიზმი - დემოკრატიის ბარიერი

დიმიტრი შველიძე

დემოკრატიის მაშენებელ ქვეყანაში ერთ-ერთი პირველსაკეთებელი საქმე - დემოკრატიის ხელშემშლელი მიზეზების დადგენა და აღმოფხვრაა, თუმცა, მანამდე ისიც უნდა დადგინდეს, საერთოდ შესაძლებელია თუ არა გარკვეულ ქვეყანაში რეალური დემოკრატიის ფუნქციონირება. დღეს დასავლეთის რამდენიმე სახელმწიფო მონდომებით ცდილობს დემოკრატიული სისტემის ექსპორტირებას ავღანეთში, მაგრამ თავად ავღანური საზოგადოება სრულიად არ საჭიროებს დემოკრატიას. იქ გამეფებული პოლიტიკური, ეთნიკური, რელიგიური, გვაროვნულ-კლანური ანტაგონიზმი, შეუძლებელს ხდის საკუთარი ძალებით დემოკრატიის დამყარებას.

ანტაგონიზმი სიტყვასიტყვით - შებრძოლება-დაპირისპირებას ნიშნავს. პოლიტიკურ ასპექტში, ეს იმგვარი დაპირისპირებაა მოწინააღმდეგეთა შორის, როცა ერთ-ერთი მხარე აუცილებლად უნდა განადგურდეს, წინააღმდეგობის უნარი დაკარგოს; როცა მოწინააღმდეგეთა შორის გამორიცხულია შეთანხმება, ალიანსი, ბლოკი. ანტაგონიზმი ტოტალიტარული საზოგადოებებისთვისაა დამახასიათებელი, ამგვარ საზოგადოებებში პოლიტიკური ძალები სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძვიან ერთმანეთს. მაშინ, როცა რეალური დემოკრატიის პირობებში პოლიტიკური ძალები ერთმანეთის კონკურენტები არიან, მშვიდობიანად თანაარსებობენ, ურთიერთმოსმენისა და აზრთა გაზიარების უნარი აქვთ. ერთი სიტყვით, ანტაგონიზმი და კონკურენცია სრულიად განსხვავებული პოლიტიკური ბრძოლის ფორმებია და პირველი მათგანი ხშირად მთავარ ბარიერად იქცევა ხოლმე რეალური დემოკრატიის მშენებლობის პროცესში.

სამწუხაროდ, საქართველოს პოლიტიკურ რეალობაში, უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში, ანტაგონიზმი სჭარბობდა კონკურენტული ბრძოლის ფორმებს.

XIX საუკუნის შუა ხანებიდან საქართველოში, ევროპიდან რუსეთზე გამოვლით ახალი პოლიტიკური მოძღვრებები, იდეოლოგიები და კულტურა იწყებს შემოსვლას. პროცესი პროგრესულია. ქართველი საზოგადოება მოწყურებული დაეწაფა ევროპულ აზროვნებას. მაგრამ ზემოაღნიშნულ და სხვა სიკეთეებს ერთი უკეთურება ახლდა - ყველა ევროპულ მოძღვრებას, ავტორის ნააზრევს და შესაბამისად ნაგულისხმევ პოლიტიკურ კულტურას - ქართველი საზოგადოება რუსეთზე გამოვლით, რუსული ინტერპრეტაციით და რუსული ვარიაციით იღებდა. უკვე მაშინ, ევროპელები სასურველი სოციალური სისტემის დამყარებას პარლამენტარიზმის გზით ცდილობდნენ, რაც შესაბამის დემოკრატიულ კულტურას, ქცევებს და ბრძოლის მეთოდებს გულისხმობდა.

პოლიტიკური ბრძოლის ამ ფუნდამენტურმა ევროპულმა ღირებულებამ რუსეთში რევოლუციური ტრანსფორმაცია განიცადა. აქ პარლამენტარიზმის მეთოდი, ჯერ კიდევ XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან რევოლუციისა და ტერორის ლოზუნგებმა შეცვალეს. სამოცდაათიანელი ხალხოსნების ტრადიციები გააგრძელეს რუსმა ბოლშევიკმა სოციალ-დემოკრატებმა და ესერებმა. მათი რევოლუციური იდეოლოგიის ქვაკუთხედი გახლდათ დაუნდობელი კლასობრივი ბრძოლა ყველანაირი ჯურის ექსპლუატატორების წინააღმდეგ.

რუსეთში მწვავე კლასობრივი ანტაგონიზმის დიდი ტრადიცია არსებობდა. რაზინის, ბოლოტნიკოვის, ბულავინის თუ პუგაჩოვის ცნობილი გრანდიოზული "ბუნტები" გაუგონარი სისასტიკით გამოირჩეოდა. რუსი რევოლუციონერებიც დაახლოებით ამგვარ სახალხო მოძრაობას გეგმავდნენ, რომელსაც ერთიანად უნდა წაელეკა მონარქია, გაენადგურებინა ექსპლუატატორთა კლასი და რუსეთში თანასწორობა დაემყარებინა. ბუნებრივია, რომ ამგვარი იდეოლოგიის მქადაგებელი პოლიტიკური პარტიები მაკიაველური საშუალებებით ებრძოდნენ მოწინააღმდეგეებს: ცილს სწამებდნენ, შეურაცხყოფდნენ, ატყუებდნენ, ძარცვავდნენ, ხოცავდნენ, ატერორებდნენ, ერთი სიტყვით, ყველა დაშვებულ თუ დაუშვებელ მეთოდს იყენებდნენ.

საქართველო განსხვავებული სოციალური აგებულების მქონე ქვეყანა გახლდათ. ჯერ ერთი, იგი არ იცნობდა მწვავე კლასობრივ ბრძოლებს ან თუნდაც ბიზანტიისათვის დამახასიათებელ რელიგიურ კონფრონტაციებს. აქ უფრო მეტი იყო კლასობრივი შემწყნარებლობა და არც ისეთი გაუვალი სოციალური უფსკრული არსებობდა მოსახლეობის ფენებს შორის. ბოლოს და ბოლოს, ჩვენი მეფეები გლეხთა ქოხებში ათევდნენ ღამეს, მათზე ლექსები და ლეგენდები ითხზვებოდა. შესაძლოა, ეს შედარებითი კლასობრივი ზავი, ხანგრძლივი საგარეო საფრთხით იყო განპირობებული, ქართულ სინამდვილეში პირველად ხალხოსნებმა სცადეს კლასობრივი ბრძოლის იდეის შემოტანა. 1881 წელს ხალხოსნების ჟურნალი "იმედი" მწვავედ დაუპირისპირდა ქართველ სამოციანელებს და უსაყვედურა მათ, რომ მშრომელი ხალხის მძიმე მდგომარეობა არ ანაღვლებდათ, ხალხოსნები განსაკუთრებით გაამწარა აკაკი წერეთლის შენიშვნამ, ჟურნალ "იმედში" თავი "მღვდლის შვილებმა" და "დიაკვნებმა" ე. ი. პლებეებმა მოიყარესო. "იმედი" არ ეპუებოდა ქართული მწერლობის თავკაცებს და იმედიანად იმუქრებოდა - სწორედ ხალხის ინტერესების დამცველი "დიაკვნები" აუგებენ წესს აკაკის და მისი ამხანაგების მწერლობასო. კლასობრივი ანტაგონიზმის პრინციპი XX საუკუნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მყარად დაამკვიდრეს სოციალ-დემოკრატებმა. ანტაგონიზმის ქადაგება ორ მიზანს ისახავდა - იმპერიაში შემავალი ქვეყნების მოსახლეობის, კერძოდ, საქართველოს ეროვნული მოძრაობის გათიშვას და რუსეთის სახელმწიფოს ერთიანობას. გათიშვა უნდა განხორციელებულიყო მშრომელთა სოციალური სამართლიანობისათვის მებრძოლი ძალების დაპირისპირებით ეროვნულ მოძრაობასთან. ეროვნული სახელმწიფოს აღდგენისათვის ბრძოლა, მარქსისტული ორთოდოქსიის მიხედვით ბურჟუაზიისა და მემამულეების იდეოლოგიას წარმოადგენდა.

ამგვარი მზაკვრული სცენარის სახე მიიღო რუსეთის ერთიანობის სოციალ-დემოკრატიულმა კონცეფციამ, რომელიც ყველაზე მახინჯი ფორმებით საქართველოში განხორციელდა. ბოლშევიკმა და მენშევიკმა სოციალ-დემოკრატებმა მჩაგვრელი კლასების ინტერესების დამცველებად გამოაცხადეს ქართველი თერგდალეულები და მათი თავკაცი ილია ჭავჭავაძე; სოციალისტ-ფედერალისტებისა და ეროვნულ-დემოკრატების პარტიები; სხვა ეროვნული ძალები.

ქართულ პოლიტიკურ რეალობაში სოციალ-დემოკრატებმა დაამკვიდრეს შეურიგებლობის, დაუნდობლობის სინდრომი; ცილისწამება, ოპონენტის შეურაცხყოფა, ტერორიზება, დისკრედიტაცია, ყველაფერი, რაც ხელს უწყობდა ეროვნულ გათიშულობას. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მესამე ყრილობაზე ქართველი ბოლშევიკი პროკოფი ჯაფარიძე თანაპარტიელებს მოუწოდებდა, "ნაციონალისტურ" პარტიებს - ფედერალისტებს და ეროვნულ-დემოკრატებს "უნდა ვებრძოლოთ, ხოლო შეთანხმებაზე, ჯერჯერობით მაინც, ლაპარაკიც კი არ შეიძლება."

კიდევ უფრო სუპერანტაგონისტურად იყო განწყობილი იოსებ ჯუღაშვილი: "ბურჟუაზიული პუბლიცისტების ტკბილმა ზღაპრებმა ვერ დააძინა ქართველი პროლეტარიატი! ქართველი მარქსისტების დაურიდებელმა იერიშმა და, უფრო კი, მედგარმა კლასობრივმა შეჯახებამ, რომელმაც ერთ სოციალისტურ რაზმად აქცია რუსი, სომეხი, ქართველი და სხვა პროლეტარები - თავზარი დასცა ჩვენს ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს." ეს იარლიყი სოციალ-დემოკრატებმა მიაკერეს არჩილ ჯორჯაძეს, კიტა აბაშიძეს, სამსონ ფირცხალავას, გიორგი ლასხიშვილს, ვარლამ ჩერქეზიშვილს, გიორგი დეკანოზიშვილს და სხვა ეროვნულ მოღვაწეებს, რომელნიც ქართული სახელმწიფოს აღდგენისთვის იბრძოდნენ.

შემდგომში, კლასობრივი, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ანტაგონიზმი - ქართული პოლიტიკური ცხოვრების ძირითად მამოძრავებლად იქცა და იგი, ხაზგასმით უნდა ითქვას, - ყოველთვის რუსეთის იმპერიის განუყოფლობის ინტერესს ემსახურებოდა. 1918-1921 წლების დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში, კლასთა ბრძოლის ანტაგონისტურმა ფორმულამ ქართველი ბოლშევიკები, საბჭოთა რუსეთის აშკარა აგენტებად აქცია. სწორედ ამ ფორმულის საფუძველზე, ქართველი მშრომელების დახმარების ლოზუნგით დაიპყრო საბჭოთა რუსეთმა საქართველო. რუსი და ქართველი მშრომელების საერთო კლასობრივი მტერი კი ქართველი ბურჟუაზია და მემამულეები გახლდათ.

20-30-იან წლებში, ისევ კლასობრივი ანტაგონიზმის ლოზუნგით და ქართველი ბოლშევიკების ხელით, საბჭოთა ხელისუფლებამ ფიზიკურად გაანადგურა ეროვნული მოძრაობა. 40-80-იან წლებში იგი ამავე ფორმულით ებრძოდა დამოუკიდებლობის აღდგენისათვის მოღვაწე ადამიანებს, წრეებს, ორგანიზაციებს და მოძრაობას.

საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ, ანტაგონიზმის სინდრომი მძიმე მემკვიდრეობად გადმოეცა 80-90-იანი წლების ქართულ რეალობას. ახალჩამოყალიბებული პარტიები სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ისევ ძალაში დარჩა - შეურიგებლობა, ერთმანეთის აზრის მიუღებლობა, კონფლიქტურობა.

დამოუკიდებლობის აღდგენას ვითარება არ შეუცვლია. ვერც ხელისუფლებამ, ვერც ოპოზიციამ თავი ვერ დააღწია ანტაგონიზმის დამღუპველ სენს. ეროვნული ხელისუფლება "კრემლის აგენტებად" და "მოღალატეებად" ნათლავდა არა მარტო პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს, რომელთა შორის ასეთებიც საკმაოდ იყვნენ, არამედ, ქართული მწერლობის, ხელოვნების, კულტურის, მეცნიერების, ინტელიგენციის წარმომადგენლებს. თავის მხრივ, "ეროვნულმა ოპოზიციამ" შეურიგებელი ომი გამოუცხადა "ფაშისტურ" ხელისუფლებას. შედეგად, თბილის-ქალაქელი "დემოკრატები" "პროვინციელ ფაშისტებს" დაერივნენ. ეს ისე ხდებოდა, როგორც გლადიატორთა არენაზე, ოღონდ რომის კოლიზეუმის როლს თბილისის სასახლის მოედანი ასრულებდა, ხოლო მაყურებელი გახლდათ - რუსეთის პოლიტელიტა, მასმედია და დემოკრატიიმპერატორი ელცინი(უსი) - რომაული მიბმულობით, რა თქმა უნდა.

ჩვენებური ანტაგონისტების ბრძოლას კიდევ ერთი თავისებურება ახასიათებდა - არენაზე გამარჯვებული არ დარჩენილა, დამარცხებული კი - მოტყუებული, შერცხვენილი, დაჭრილი, დაქცეული, გაძარცვული საქართველო და ქართველი ხალხი აღმოჩნდა.

სჭირდება თუ არა 23 ნოემბრის შემდგომ საქართველოს რეალობას პოლიტიკური ბრძოლების ავადსახსენებელი ანტაგონისტური ტრადიციის გაგრძელება? თუ ტოტალიტარულ წარსულში დაბრუნება გვსურს, მაშინ ჩვენი ოპოზიციის ლიდერებმა ძველებურად უნდა ირბინონ აგრესიულად განწყობილ მეზობელ ქვეყანაში, საეჭვო პოლიტიკურ წრეებთან ითანამშრომლონ და საქართველოს ხელისუფლებისადმი მტრულ ტელეგადაცემებში მონაწილეობა მიიღონ. ხელისუფლებასაც შეუძლია ანტაგონისტური პრაქტიკის რეანიმაცია, თუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მხოლოდ კორუფციის ბუდეს დაინახავს, ხოლო იქ ჯერ კიდევ მომუშავე პროფესორ-მასწავლებლებში "კლასობრივ მტრებს", როგორც ამას ზოგიერთი მოხელე აკეთებს.

ორივე მხრიდან მსგავსი ქმედება ტოტალიტარიზმის რეციდივია. და თუ რეალური დემოკრატიის აშენებას ვაპირებთ, მაშინ საზოგადოებრივმა ჯგუფებმა, პოლიტიკურმა პარტიებმა თუ ხელისუფლებამ ერთმანეთი შეურიგებელ მოწინააღმდეგეებად კი არა, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში მონაწილე კონკურენტებად უნდა აღიქვან.





# აფიშა

## კონცერტები

**დიდი საკონცერტო დარბაზი**
"იუმორინა 2004"
დას: 19:00 სთ

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
პატრიკ ზიუსკინდის მიხედვით
"კაფე როსინი"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
რალფ კნიგი
ET CETERA
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ

**სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი**
აკა მორჩილაძე
"ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები"
რეჟისორი: დავით ანდღულაძე
ფასი: 2-3 ლარი
დას: 18:00 სთ

**თავისუფალი თეატრი**
"დონ ჟუანი"
რეჟისორი: ა. დაყელი
ფასი: 5 ლარი
დას: 19:00 სთ

**სამეფო უბნის თეატრი**
სეზონის გახსნა
"მიმიკრია"
კახა ბაკურაძის დრამატული ცირკი
დას: 19:00 სთ

**გრიბოედოვის თეატრი**
ნიკოლაი ერდმანი
"თვითმკვლელი"
რეჟისორი: დ. მღებრიშვილი
დას: 18:00 სთ

**გლობუსი**
ნინო ნაკაშიძე
"ვინ არის დამნაშავე?"
რეჟისორი: სოს ნემსაძე
დას: 19:00 სთ

**ქართული ფოლკლორის თეატრი**
"ნაბადი"
რეჟისორი: გიორგი სიხარულიძე
დას: 20:00 სთ

## გამოფენები

**ძველი გალერეა**
მაია ბურულაძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

**ბაია გალერეა**
"კოლექციიდან კოლექციამდე"

**თბილისის გოეთეს ინსტიტუტი**
L`ART POUR L`ART
პიერ მენდელისა და მენდელი&ობერერის ბიუროს პლაკატების გამოფენა

**სურათების ეროვნული გალერეა**
ანსელმო ძერმის (იტალია) ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

**თანამედროვე ხელოვნების გალერეა**
მარია ნატალია ვაზ-პირეს ბიეკის (პორტუგალია) ნამუშევართა გამოფენა

## კინოთეატრები

**ამირანი**
"თანამონაწილე"
დას: 14:00; 16:30; 19:30; 22:00 სთ

**რუსთაველი**
"ევროტური"
დას: 12:00; 17:00; 22:00 სთ

## ცირკი

რუსეთის საცირკო პროგრამა. ნაჩვენები იქნება ხუთი კონტინენტის 89 სახეობის ცხოველი.
ფასი: 3-7 ლარი
ლოჟა: 15 ლარი
დას: 12:00; 15:00 სთ.

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* ***culture@24hours.ge***

# ზაალ სამადაშვილის ყმაწვილკაცობის ამბები

ნანა ბასილაშვილი

არაერთხელ ამიკრეფია კომპიუტერზე ზაალ სამადაშვილის პატარ-პატარა ნოველები, რომლებიც პერიოდულად, სვეტების სახით ჩვენს გაზეთში ქვეყნდებოდა. სიმართლე გითხრათ, ამ საქმეს დიდი სიამოვნებით ვასრულებდი. არ ვიცი, ზაალ სამადაშვილი პირველად ვის აკითხებს თავის ახალ ქმნილებებს, მაგრამ სწორედ ამ შემთხვევების წყალობით, პირველი თუ არა, ერთ-ერთი პირველთაგანი მკითხველი უნებლიეთ მეც ვხდებოდი. ჩვენი გაზეთისა და მწერლის ერთგული მკითხველიც აქედან გამომდინარე, ახალ წიგნში, რომლის პრეზენტაციაც გუშინ "წიგნის სახლში" გაიმართა, რამდენიმე თავის ნაცნობ ნოველასაც აღმოაჩენს.

ზაალ სამადაშვილის "პლეხანოვური ამბები" 23 ნოველისაგან შედგება. მწერალმა თავისი მეოთხე წიგნი ბავშვობის მეგობრებს მიუძღვნა, რომლებიც დღეს ცოცხლები აღარ არიან, - "ვუძღვნი ჩემს მეგობრებს – ვანო ჩიკვაიძეს, ლევან ქუთათელაძეს, ნოე ჩხაიძეს, ლევან სვანიშვილს, მიშა ჭავჭანიძეს – ისინი ამ წიგნში თავმოყრილ ამბავთაგან უმეტესის მონაწილენი არიან და დანარჩენთა მონაწილენიც იქნებოდნენ, რომ დასცლოდათ". წიგნის სახელწოდებას რომ თავი დავანებოთ, ამ მიძღვნიდანაც, რასაც წიგნის პირველივე გვერდზე ვკითხულობთ, მისი შინაარსის განმარტებას, ალბათ, ნაკლებად საჭიროებს.

და მაინც, მწერალი წიგნში ყმაწვილკაცობის ამბებსა და თავგადასავლებს ჰყვება; "პლეხანოვური ამბები" მის სამყაროს, მშობლიურ გარემოს, ქალაქურ ყოფასა და კონკრეტულად იმ უბანს ეხება, სადაც იგი დაიბადა და გაიზარდა. თუკი აქ დიდ სათავგადასავლო ამბებს ვერ ამოიკითხავთ, იმედი ნამდვილად არ გაგიცრუვდებათ, რადგანაც ჩვეულებრივი ადამიანების ყოველდღიური ყოფა არანაკლებად საინტერესო და შთამბეჭდავია.



*ვაჟა გიგაშვილი, ზაალ სამადაშვილი, ნუგზარ შატაიძე.*

გუშინდელი პრეზენტაცია ავტორს ჰგავდა, გულწრფელი, თბილი და მოკრძალებული. "წიგნის სახლში" ლიტერატურულ შეხვედრაზე სამადაშვილის მეგობრებმა, კოლეგებმა, სტუდენტებმა და მათი თაობის უცნობმა თაყვანისმცემლებმა მოიყარეს თავი. მწერალზე და მის შემოქმედებაზე ერთი-ორი ტკბილი სიტყვა მისმა კოლეგებმა, ნუგზარ შატაიძემ, გიგი სულაკაურმა და ვაჟა გიგაშვილმა შეაწიეს.

ზაალ სამადაშვილის ნოველები თუ პატარა მოთხრობები, რომელსაც შეიძლება მცირე პროზაც ვუწოდოთ, რამდენჯერმე წაგაკითხებთ თავს და პირადი გამოცდილებიდანაც დავამატებდი, რომ ყოველ ჯერზე, თავისებურ ემოციას გამოიწვევს. გუშინდელ პრეზენტაციაზე ავტორმა უკვე გამოცემული წიგნიდან რამდენიმე ნოველა ამოიკითხა, დამსწრე საზოგადოების შეფასება და ემოცია კი მწერლისთვის მათი ტაშით გახდა გასაგები. "თქვენს თვალებში სიყვარულს ნამდვილად ვკითხულობ. თუკი ბედნიერი ვარ, ბერდნიერი ვარ თქვენთან ერთად", - აღნიშნა ზაალ სამადაშვილმა.

ზაალ სამადაშვილის "პლეხანოვური ამბების" წაკითხვისას, რომელიც "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ" გამოსცა და მართა თაბუკაშვილმა გააფორმა, უფროსი თაობის წარმომადგენლები ძველ თბილისურ უბანს გაიხსენებენ, მათზე უმცროსები კი მამებისა თუ ბიძების თაობის ამა თუ იმ ამბებს ამოიკითხავენ.

# ნოსტალგია და ნარკოტიკები ჰოლანდიიდან

თეონა ჯაფარიძე

ფოტო გამოფენა, რომელიც გუშინ თბილისის ისტორიის მუზეუმში (ქარვასლაში) გაიხსნა, მანამდე სექტემბერში, როტერდამში - წმინდა პავლეს ტაძარში გამოუფენიათ. წმინდა პავლეს ტაძარში ყოველდღიურად უამრავი ემიგრანტი ირევა, მათ შორის უმეტესობა ქართველია, ყოველ შემთხვევაში ტაძრის მესვეურები, რომელთა მისიასაც ემიგრანტთა დახმარება წარმოადგენს, ქართველების აქ ყოფნას განსაკუთრებულად აღნიშნავენ: "ყურადღებას უმეტესად ქართველები იპყრობენ, იმიტომ რომ ბევრია მათ შორის ნარკომანი და უკან სამშობლოში დაბრუნების სურვილი ყველაზე მეტად და ხშირად ქართველებს უჩნდებათ." – მიხსნის ბატონი მარკ პულსტი, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი საქართველოში.

წარმოშობით ესპანელმა, საფრანგეთში მოღვაწე ფოტოგრაფმა ჟან ლუი სპიზმ ქართველებისა და მათი ყოფის ამსახველი დოკუმენტური ფოტოები თბილისსა და ნიდერლანდებში გადაიღო. თბილისურ ფოტოებზე ის სოციალური სურათია ასახული, რაც ადამიანს აიძულებს გახდეს ემიგრანტი, თბილისურ ყოფით "პეიზაჟებს" ექსპოზიციაზე თან ჰოლანდიური სამოთხე – როტერდამის ხედების, ამსტერდამის არხების, ველოსიპედებისა და სათბურების ფოტოები მოჰყვება. ეს ის სამოთხეა, საითაც უამრავი ქართველი მიილტვის არალეგარულად. საბოლოოდ მოგზაურობა რისკიან სახეს იღებს. გამოფენასაც ასე ჰქვია: "**რისკიანი მოგზაურობა**".



*მარკ პულსტი და ნიდერლანდების სამეფოს ელჩი საქართველოში ჰარი მოვლენარი.*

"როტერდამში გამოფენის გახსნისას ექსპოზიციაზე 96 ფოტო იყო წარმოდგენილი. თბილისში კი მხოლოდ 72 გამოვფინეთ. მიზეზი ის გახლავთ, რომ წმინდა პავლეს ტაძარში გამოფენაზე მისულმა ქართველ ემიგრანტთა უმეტესობამ არ ისურვა სამშობლოში მათი იქაური ყოფის ამსახველი ფოტოები გამოფენილიყო." – მიამბობს ბატონი მარკ პულსტი.

გუშინ კი გამოფენის თბილისური ვერსია საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის წარმომადგენელმა – გია ტაბატაძემ, ნიდერლანდების სამეფოს ელჩმა საქართველოში ბატონმა ჰარი მოვლენარიმ და ბატონმა მარკ პულსტმა გახსნეს.

**P.S**. ჰოლანდიაში არალეგალურად წასვლის მსურველებს კი ვურჩევ, აუცილებლად ნახონ გამოფენა "ქარვასლაში". დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მოგზაურობა"რისკიანი" იქნება.

# ჟურნალის იუბილე

თამარ სუხიშვილი

*70-იან წლებში მოსკოვიდან თბილისში ჟურნალ "ცისარტყელას" რედაქციაში სათანადო კომიტეტის მუშაკები შეშფოთებულები ჩამოსულან, თქვენს ჟურნალში ბულგაკოვის "ოსტატი და მარგარიტა" იბეჭდებაო. მაშინ ბულგაკოვის ნაწარმოებები აკრძალული ლიტერატურა იყო. თუმცა, მოსკოვის დელეგაციამ ველარაფერი გააწყო, რომანის ბეჭდვა უკვე დაწყებული ჰქონდათ. მოსკოვს ისიც არ უნდოდა, რომ ბეჭდვა გაეჩერებინა, ფაქტის გახმაურებას ერიდებოდა. საბოლოოდ ასე შეთანხმებულან – ამ ერთხელ არა უშავს, მაგრამ სხვა დროს ყველაფერი შეგვითანხმეთ, რის დაბეჭდვასაც დააპირებთო, ოღონდ ზეპირად შევათანხმოთ, წერილობით არაფერი გამოგვიგზავნოთო. მერე ჟურნალ "ცისარტყელას" რედაქტორისთვის (კონსტანტინე ლორთქიფანიძე) ისიც შეუთვლიათ, ბულგაკოვის რომანები ცალკე წიგნად არ გამოუშვათო ("ცისარტყელას" მაშინ თავისი ბიბლიოთეკა ჰქონდა და საუკეთესო თარგმანებს წიგნადაც ბეჭდავდა). "ცისარტყელას" რედაქციამ არც აცია, არც აცხელა და მოსკოვში დეპეშა აფრინა: "ოსტატი და მარგარიტა" წიგნად უკვე აწყობილია და რა ვქნათ, გამოვცეთ თუ არაო. რაღას იზამდნენ, დეპეშა უკვე სამხილი იყო. გამოეცითო – მოსულა პასუხი. ასე გაჩნდა წიგნის მაღაზიების თაროებზე მიხაილ ბულგაკოვის "ოსტატი და მარგარიტა" (გივი კიკილაშვილის თარგმანი).*





ეს ისტორია ჟურნალ "საუნჯის" რედაქტორმა, ქალბატონმა ნანა დარჩია-ბოლქვაძემ გაიხსენა. ქალბატონი ნანა ჟურნალის დაარსების დღიდან მის პასუხისმგებელ მდივნად მუშაობდა და, ბუნებრივია, მოსაგონარიც ბევრი აქვს.

წელს "საუნჯე" 30 წლის იუბილეს აღნიშნავს. ჟურნალი 1974 წელს დაარსდა. თუმცა, მისი გამოცემის ისტორია ცოტა უფრო ადრე იწყება, კერძოდ, 1968 წლიდან, როცა გამომცემლობებმა – "ნაკადულმა" და "საბჭოთა საქართველომ" გადაწყვიტეს ორი მთარგმნელობითი ალმანახი გამოეცათ. ასე გაჩნდა ზემოხსენებული "ცისარტყელა" და "ხომლი". "ცისარტყელა" (რედაქტორი კონსტანტინე ლორთქიფანიძე) საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურის ნიმუშებს თარგმნიდა, "ხომლში" (რედაქტორი ვახტანგ ჭელიძე) კი საზღვარგარეთის ლიტერატურა იბეჭდებოდა. 1974 წელს ეს ორი ალმანახი გაერთიანდა და "საუნჯე" ეწოდა. მას ჯერ კონსტანტინე ლორთქიფანიძე ედგა სათავეში (ბატონი კონსტანტინეს დროს თავი ქუდში გვქონდაო – ამბობენ თანამშრომლები, სხვა დროსაც არ ვუჩიოდითო, - ცნობილი მწერლების მოსკოვსაც ერიდებოდაო). მერე "საუნჯეს" შოთა ნიშნიანიძე და მუხრან მაჭავარიანი რედაქტორობდნენ. შოთა ნიშნიანიძე რომ მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ გადაჰყავდათ, უთქვამს, ბოლოს მაინც "საუნჯეში" დავბრუნდებიო, და მართლაც დაბრუნებულა. გარდაცვალებამდე ჟურნალის რედაქტორი იყო.

"საუნჯეში" მუშაობა ჩვენთვის უდიდესი პასუხისმგებლობა და, ამასთან, სიამოვნებაც იყო. აქ იბეჭდებოდა ბაჩანა ბრეგვაძის, ჯემალ აჯიაშვილის, გურამ გოგიაშვილის, დალი ფანჯიკიძის, თამაზ ჩხენკელის, ზურაბ კიკნაძის, ვახტანგ ჭელიძის, გოგი ნიშნიანიძისა და სხვა ცნობილი მთარგმნელების თარგმანები. შეხმატკბილებულად ვმუშაობდით. სხვათა შორის, ყველა ჟურნალი იმას ჩივის ხოლმე, სარედაქციო კოლეგიის მოწვევა ჭირსო. ჩვენთან პირიქით იყო. ცოტათი თუ შეგვაგვიანდებოდა, აქეთ გვირეკავდნენ. ჟურნალის სარედაქციო კოლეგიაში თანამშრომლობდნენ: ნოდარ კაკაბაძე, ნიკო ყიასაშვილი, მზია ბაქრაძე, ბაჩანა ბრეგვაძე, ნელი ამაშუკელი... ერთად ვარჩევდით, რა უნდა გვეთარგმნა. ჩვენ დავბეჭდეთ ჰერმან ჰესეს "თამაში მარგალიტებით რიოში", რომანში გერმანელი მწერალი იმ სავარაუდო ნაწარმოებთა ნუსხასაც გვთავაზობს, რომელთა თარგმნაც აუცილებლად მიაჩნია გერმანული ლიტერატურის გამდიდრებისათვის. ჰესეს რჩევებითაც ვხელმძღვანელობდით, ბუნებრივია, სათარგმნი მასალის შერჩევისას გადამწყვეტი ჩვენი ლიტერატორების აზრი იყო." – გვიამბობს ქალბატონი ნანა დარჩია-ბოლქვაძე.

მიუხედავად რუსული ცენზურისა, "საუნჯემ" მაინც მოახერხა და გააპარა თავის ფურცლებზე ცენზურის მიერ აკრძალული ლიტერატურა. გარდა ე.წ. არალეგალური ნაწარმოებებისა, ქართველ მთარგმნელებს ეკრძალებოდათ იმ ლიტერატურის თარგმნა, რაც ჯერ რუსულად არ იყო ნათარგმნი. მიუხედავად ამისა, 1980 წელს "საუნჯემ" დაიწყო ჯოისის "ულისეს" ბეჭდვა (ნიკო ყიასაშვილის ცნობილი თარგმანი); საბჭოთა კავშირში პირველად თენგიზ პატარაიამ თარგმნა რობერტ მუზილი, ხოლო მარკესის "მარტოობის ასი წელი", რომელიც რუსულ თარგმანში შემოკლებებით იბეჭდებოდა, ქართულად დედანიდან სრულად ითარგმნა "საუნჯის" ფურცლებზე.

თავის დროზე "საუნჯე" ძალიან პოპულარული და მომგებიანი ჟურნალიც კი იყო. დახლქვეშაც იყიდებოდა. გამოდიოდა 10, 20, 50 ათასიანი ტირაჟით.

მძიმე პერიოდი "საუნჯესაც" დაუდგა. გაჭირვება 1989 წლიდან დაიწყო და აღარ გათავდა... "იძულებულნი გავხდით ჟურნალის 300-იოდე ცალიღა გამოგვეცა; იმასაც თითქმის უფასოდ ვარიგებდით. ამ დროს, პირველ რიგში, "საუნჯის" მკითხველი დაზარალდა. მკითხველი უკაპიკოდ დარჩა. ვიღას ჰქონდა ჟურნალის შეძენის საშუალება...

მერე "საუნჯე" მთარგმნელობითი კოლეგიის შემადგენლობაში აღმოჩნდა, ერთხანს გამომცემლობა "სამშობლომაც" შეიკედლა, მწერალთა კავშირის ბეჭდვითი ორგანოც იყო. რთული პერიოდი გამოიარა, მაგრამ რაღაცნაირად მაინც მოახერხა და თავი გადაირჩინა. "წელში გავწყდით, მაგრამ ჟურნალს მაინც გამოვცემდით. ქუჩაში გამოვედით. "საუნჯის" კუთვნილი რამდენიმე ოთახი გავაქირავეთ და ისე გამოვცემდით ჟურნალს. არ გვინდოდა, გავჩერებულიყავით." "საუნჯეს" მხოლოდ ერთწლიანი ჩავარდნა ჰქონდა. ეს იყო 1995 წელს, როცა ჟურნალის არცერთი ნომერი არ გამოსულა. წინ კიდევ ბევრი იმედგაცრუება გველოდა: გამოცხადდა, რომ ყველა ჟურნალს შეუწყდებოდა დაფინანსება; ვილაცამ კატეგორიულად განაცხადა, თუ ჟურნალს საკუთარი თავის შენახვა არ შეუძლია, ის არ უნდა გამოდიოდესო; ჟურნალის თანამშრომლები ამაოდ ცდილობდნენ მაშინდელი განათლების მინისტრისათვის ხმის მიწვდენას და თხოვნას, რომ სკოლის ბიბლიოთეკებს გამოეწერათ "საუნჯე" (მოსწავლეებისთვისაც კარგი იქნებოდა, ჩვენთვისაც და სახელმწიფოსთვისაცო), მაგრამ მინისტრის მოადგილისგან ასეთი პასუხი მიიღეს – სკოლებში რაიმეს გაყიდვის უფლება არ გვაქვსო...

ამჟამად ჟურნალი "საუნჯე" კულტურის სამინისტროს ეკუთვნის. ახლახანს ჟურნალმა ქართული პერიოდული ლიტერატურის გამოცემის მხარდაჭერის პროგრამის გრანტი მიიღო. ახალი ნომერი სტამბაში უკვე ჩაშვებულია და მას დეკემბერში ვიხილავთ. ჟურნალის თანამშრომლებს იმედი აქვთ, რომ "საუნჯე" კვლავაც გააგრძელებს 30 წლის წინ წამოწყებულ საშვილიშვილო საქმეს და ახალი თარგმანებით კვლავაც აგრძნობინებს (სხვა ანალოგიურ გამოცემებთან ერთად) ქართველ მკითხველს მსოფლიო ლიტერატურის მიმოქცევას.

# რთველი კახეთში

დღეს დედოფლისწყაროს რაიონის სოფელი მირზაანი რთველის ფესტივალს უმასპინძლებს.

რთველის ფესტივალი "რთველი-2004" ორ ეტაპად გაიმართება. მირზაანში ფესტივალის პირველი ეტაპი გაიხსნება ნიკო ფიროსმანაშვილის ნახატების გამოფენით. 12 საათზე დაგეგმილია სოფელ მირზაანში სპეციალურად ფესტივალისთვის აგებული მარნის გახსნა, სადაც შედგება ყურძნის დაწურვის ცერემონიალი.

15 საათზე ფოლკლორულ კონცერტზე წარმოდგენილი იქნება საქართველოს ყველა კუთხის ხალხური სიმღერები, რომელსაც ამავე კუთხეებიდან ჩამოსული გუნდები შეასრულებენ. ფესტივალზე სტუმრებს შესაძლებლობა ექნებათ გასინჯონ ქართული ღვინოები, ასევე ქართული სამზარეულოს ტრადიციული კერძები და კახური ჩურჩხელები.

ფესტივალი "რთველი-2004"-ს მეორე ეტაპი 28-31 ოქტომბერს ყვარელში, სიღნაღსა და წინანდალში გაიმართება. კულტურის სამინისტრომ რთველის ფესტივალის დასაფინანსებლად 120 ათასი ლარი გამოყო. ფესტივალის სპონსორია ასევე ღვინის მწარმოებელი კომპანია GWS. *მედია-ნიუსი*

# ენტონი კიდისის მოგონებები

ენტონი კიდისი შეეცადა შორეული წარსულიდან მოეხმო ყველა ისტორია, რაც მისი ჯგუფის – Red Hot Chili Peppers-ის თაყვანისმცემლებს განსაკუთრებით დააინტერესებდათ. ეს ისტორიები მუსიკოსმა ერთ ავტობიოგრაფიულ წიგნად გააერთიანა.

წიგნში თავმოყრილია კიდისის ნარკომანული თავგადასავლები. მაგალითად, ასეთი: როგორ აყნოსინა პირველად მამამ ფხვნილი, ან ყმაწვილკაცობაში როგორ ეწეოდა მარიხუანას კეიტ მუნთან (ლეგენდარული ჯგუფის – The Who-ს დრამერი), ელის კუპერთან ან "ლედ ზეპელინის" წევრებთან ერთად. "მაშინ ვერ ვაცნობიერებდით ნარკოტიკების რეალურ საფრთხეს, ის უფრო დიდების ატრაქციონის რანგში გადიოდა", - იხსენებს ენტონი კიდისი.

წიგნი სახელწოდებით - Scar Tissue, გაყიდვაში 29 ოქტომბრიდან გამოვა.

# სამშობლოში დროებით დაბრუნებული ქართველი კინოოსტატი

## მიხეილ კობახიძის მოკლემეტრაჟიანი ფილმების რეტროსპექტივა

ნინია კაკაბაძე

საქართველოში უკანასკნელი წლების მანძილზე, რეჟისორები ყველაზე ხშირად მოკლემეტრაჟიან ფილმებს იღებენ. ამის მიზეზი, პირველ რიგში, ბუნებრივია, ის მატერიალური ბაზაა, რომელიც მათ მხოლოდ მოკლე ფილმის გადაღების საშუალებას აძლევს. ერთი შეხედვით, იქნება ეს პროფესიონალი მაყურებელი თუ, უბრალოდ, კინოს მოყვარული, ფიქრობს - მოკლე ფილმის გადაღება გაცილებით მარტივიაო. ეს ის საკითხია, რომელშიც ვერ დავეთანხმები ვერც პროფესიონალ და ვერც მოყვარულ მაყურებელს. ერთი არის - თუკი ვიღებთ ცუდ ფილმს, მისი განხორციელება შესაძლებელია ერთნაირად მარტივიც იყოს და რთულიც, როგორც მოკლედ, ასევე გრძლად. მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ჩვენ კარგ, ანუ მაღალმხატვრულ კინემატოგრაფზე ვსაუბრობთ და ამიტომ გაუგებარი გამონაკლისები გამოვრიცხოთ.

10 და 11 ოქტომბერს კინოთეატრ "ამირანში" მიხეილ კობახიძის ფილმები იყო წარმოდგენილი, რომელთა საერთო რიცხლი ექვსია და მათგან მხოლოდ ერთი, - მისი უკანასკნელი ნამუშევარი იყო ფართო აუდიტორიისათვის უცნობი. მაგრამ მიუხედავად ამისა, ინტერესი მაინც დიდი იყო და ფილმების დაწყებამდე კობახიძემ დამსწრე საზოგადოებას სთხოვა, თუკი ვინმე გადაიღლებოდა, დაეტოვებინა დარბაზი – დარბაზი მაინც არავინ დატოვა და საათნახევრის განმავლობაში ყველა ინტერესით ადევნებდა თვალს მიხეილ კობახიძის ძველ, და ერთ ახალ ნამუშევარს. ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა იმაში, რომ მაყურებელს მოენატრა საინტერესო ქართულ კინონიმუშების მზერა.

ამიტომ მეც, რომელსაც ბევრჯერ მქონდა ნანახი მიხეილ კობახიძის ფილმები და სტუდენტობის დროს ყოველ მათგანზე რეცენზია დაწერილი, დღეს, ამდენი ხნის შემდეგ, დიდი სიამოვნებით ვიხსენებ ჩემს ნაწერსაც და ფილმებსაც. არ ვიყენებ ძველ ნაწერებს, თავიდან ვთხზავ, რადგან ფილმების ყურებისას კიდევ ერთხელ მიღებული სიამოვნება, მინდა მასზე წერის სიამოვნებითაც გავიმეორო.

მიხეილ კობახიძეს ჩარლი ჩაპლინს ეძახიან, ბუნებრივია არა პირდაპირი გაგებით, არამედ, ე.წ. ქართველი ჩაპლინის სახელით მოიხსენიებენ. შესაძლებელია, ითქვას, რომ კობახიძე გარკვეულწილად ჩაპლინის ტრადიციების გამგრძელებელიც არის, რაც დიდი რეჟისორის ბრმა მიბაძვას სრულიად არ ნიშნავს.

ითვლება, რომ კობახიძის ფილმები ყველა დროისა და ყველა ქვეყნისთვის მისაღები აღმოჩნდა, რადგან თავისებური მხატვრული მანერით და აგრეთვე აზრობრივი არსით, ყველა ეპოქას ესადაგება. არ შემიძლია ამ მოსაზრებას არ დავეთანხმო. მისი ფილმები, მიუხედავად თემატური განსხვავებულობისა, საოცრად ადამიანური და ჰუმანურია. თითქოს ის ადამიანებს სიყვარულისკენ მოუწოდებს არა დიდაქტიკით, არამედ დახვეწილი ექსცენტრული იუმორით და აგრეთვე - სევდით.



მიხეილ კობახიძე.

"ქორწილი" საეკრანო თხზულებაა სიყვარულზე, ადამიანის ყოფისეული სინამდვილისა და ილუზიის შეუსაბამობაზე. რეჟისორი ეკრანს ხატავს მსახიობების მოძრაობით, ანუ კინემატოგრაფიული დინამიკით და სხეულის ექსცენტრული მიხვრა- მოხვრით, თვალების გამომეტყველებით; ყოველ ეპიზოდს უსადაგებს მისი განწყობილებით შერჩეულ მელოდიას, სიჩუმეს, ხმაურს. კობახიძე კინონაწარმოების გმირებს უხმოდ ალაპარაკებს. ვფიქრობ, რეჟისორის ყველაზე დიდი უნარია, მაყურებელს უსიტყვოდ გააგებინოს პერსონაჟების სიხარული, სევდა, ოცნება და კიდევ სხვა, მრავალი, ემოციური ნიუანსი.

მიუხედავად იმისა, რომ მისი ფილმები პირდაპირი გაგებით მუნჯურია, კობახიძის ნამუშევრებზე ვერ ვიტყვით, რომ ისინი მუნჯი კინოს გამეორებაა, რომელსაც თან ერთვოდა წარწერები. მაგალითად, ფილმში "ქორწილი" აკუსტიკურ-ვიზუალურ მრავალეფეროვნებაში ნათლად იკვეთება სევდიანი და, ამავე დროს, ექსცენტრულ-კომიკური არსი. ფილმის ტემპორიტმულ ხასიათს, მოქმედი გმირის გამომეტყველება, პლასტიკისა და მუსიკის სინთეზი ქმნის. და მიუხედავად იმისა, რომ პრინციპში, თანამედროვე გაგებით, ფილმი წარუმატებელ სიყვარულზეა და ფინალიც არ არის ბედნიერი, საერთო ჯამში რეჟისორი ახერხებს იმას, რომ კინონაწარმოებზე საერთო შთაბეჭდილება მაინც უფრო რომანტიკულ-კომიკურ ჩარჩოში ჩასვას. სწორედ ეს არის ავტორის მთავარი ღირსება, რომელმაც ზემდეტი, ხშირ შემთხვევაში, კინოსთვის დამახასიათებელი სენტიმენტების გარეშე, ერთი "სენტიმენტალური" ამბავი მოგვაწოდა.

1966 წელს გადაღებულ ფილმში "ქოლგა" კობახიძე მხატვრულ ხერხად იყენებს ექსცენტრიკას და ფანტასტიკას. რეჟისორი ეკრანს აქაც მსახიობების კომპოზიციური პლასტიკით ხატავს, თითქმის მოშიშვლებული გარემოს ფონზე და ხანდახან ცეკვით შესრულებულ სხვადასხვა ყოფითი საქმეებშიც კი, განსაკუთრებით იკვეთება გმირების ხასიათი და მათი, ამ შემთხვევაში არა მხოლოდ რომანტიკულ-კომიკური, არამედ პრაგმატული ამბავიც. ეს კონტრასტულ-ექსცენტრული მანერა, საბოლოო ჯამში ღიმილის მომგვრელია. ფილმში სულ სამი სულიერი გმირია და ერთიც უსულო. უსულო - ქოლგა, რომელიც ფილმში მხატვრული სიმბოლოა და რამდენიმე ქვეტექსტი მოეძებნება: ნივთიერი შენაძენი ღატაკი წყვილისათვის, მატერიალისტური თავშესაფარი ბუნების "სტიქიებისგან", უცნაური ნივთი, რომლის მეშვეობით ფრენაც კი შესაძლებელია. ერთი სიტყვით, ეს უნივერსალური მატერიაა, რომელიც საკვანძო ობიექტი ხდება კინონაწარმოებში.

ფილმში "მუსიკოსები" სულ ორი გმირია. მუსიკოსები, რომელნიც ხან ერთმანეთს ეხუტებიან, ხან კი ეჩხუბებიან. ამ პატარა ისტორიის გაგებაც ორგვარად შეიძლება, პირდაპირ და ირიბად, მუსიკოსები – ხელოვანები, რომელნიც ერთმანეთს ეპაექრებიან და ადამიანი - როგორც კაცობრიობა, რომელიც მუდმივად შერიგება-დაშორებაშია. ადამიანთა ერთობის და მტრობის შემდეგ, ფილმი მთავრდება ძველი მტრების ხელახალი დამეგობრებით, მუსიკოსები განსხვავებულ ინსტრუმენტებზე უკრავენ, და მიუხედავად ამისა, ერთ ჰარმონიულ მელოდიას ქმნიან. ჰარმონია დიდ ხანს არ გრძელდება და რეჟისორი არც აქ ხატავს ე.წ. happy end-ს, ბოლოს ეს მუსიკა, რომელიც დიდხანს გრძელდება, გაშავებული და უკაცრიელი ეკრანის ფონზე ისმის.

უკანასკნელ ფილმში "გზაზე", რომელიც მან საფრანგეთში გადაიღო, მიხეილ კობახიძე, უნდა აღვნიშნო, რომ უკვე მისი დამახასიათებლი კინოხერხებით, ერთი ადამიანის ამბავს გვიყვება, რომელიც ზღვიდან ბევრი ჩანთებითა და ჩემოდნებით ამოდის და დიდი ხნის მანძილზე მათ სადღაც მიათრევს. ცოტა ხანში ამოვარდნილი ქარი მას ყველაფერსართმევს, ტანსაცმელსაც კი, რომელიც ზედ აცვია. შესაძლებელია, კობახიძე აქ ოდნავ არატრადიციულია მხოლოდ იმ ხმრივ, რომ ფინალი პირდაპირი მინიშნებით იდეალისტურია. დიდი ქონების მფლობელი და ახლა გაპარტახებული გმირი, შვებას და ბედნიერებას სწორედ შიშვლად დარჩენილ მდგომარეობაში აღწევს. რაც შეეხება ფილმის კინოენას, აქ ავტორი ისევ ვიზუალურ-აკუსტიკური ხერხებით, პლასტიკისა და განსხვავებული გარემოს ფონზე გადმოგვცემს ფილმის, როგორც ზე, ასევე ქვეტექსტს, რაც მაყურებლისათვის ისევ სასიამოვნო, საინტერესო და სერიოზულ სურათს ქმნის.

გარდა იმისა, რომ მისმა ძველმა თუ ახალმა ფილმებმა კიდევ ერთხელ დიდი სიამოვნება მომანიჭეს, პირველი სურვილი რაც გამიჩნდა, ეს იყო, მიხეილ კობახიძის საქართველოში დაბრუნება და არა პატრიოტული მიზნებით, არამედ უფრო პრაგმატულით. მიხეილ კობახიძე კინოს ოსტატია და დღევანდელ დღეს დამწყებ რეჟისორებს სწორედ ამგვარი ოსტატები სჭირდებათ იმისათვის, რომ მათი ცოდნა და მიღებული ინფორმაცია უფრო საფუძვლიანი და პროფესიონალური იყოს. ამიტომ, თავად მიხეილ კობახიძეს და ყველას, ვისაც აქვს შესაძლებლობა მიიღოს მონაწილეობა ამ მნიშვნელოვან მოვლენაში, რასაც თუნდაც დროებით დაბრუნება ჰქვია, ვთხოვ აქტიურობა გამოიჩინოს იმაში, რასაც თეატრალურ ინსტიტუტში ლექციების, ან გნებავთ, მასტერკლასების ჩატარება ჰქვია. დამერწმუნეთ, ეს ერთ-ერთი გარანტი იქნება იმისა, რომ დიდი ხნის მკვდარი ქართული კინო, ოდნავ მაინც წამოდგეს ფეხზე.

# სანთლის შუქზე წაკითხული პოეზია

## მათემატიკის მასწავლებელი, რომელსაც "პოეზია არგუნა ბედმა, საკუთარი თავის ამოსაცნობად"

ვერა ნეფარიძე

*"დაველოდოთ ცოტა ხანს, შევავსოთ ილუზია, რომ ვიღაცას პოეზია აინტერესებს", - გუშინ საღამოს ექვს საათზე კოტე ყუბანეიშვილმა ამ სიტყვებით დაუდასტურა "პარნასის პარასკეობების" მასპინძელს, ბესო ხვედელიძეს, რომელიც დაგეგმილი კოტეს პოეზიის საღამოს დაგვიანების მომხრე იყო.*

პოეზიის სიყვარული ვაკის "პარნასში" კი არა, სად არ წაიყვანს ადამიანს. მაგრამ, კოტეს პოეზია კიდევ სხვა საკითხია. ცალკე თემაა, რომელიც, ვინაიდან არაერთხელ გამხდარა განსჯისა თუ დებატების საგანი, ეტყობა, იმსახურებს კიდეც. სწორედ, ამ პოეზიის მოსასმენად შეიკრიბა კაფე "პარნასის" მორიგ "პარასკეობაზე" მსმენელთა აუდიტორია, რომელიც არც ისეთი მრავალრიცხოვანი იყო, რეალურად რომ უნდა ყოფილიყო. თუმცა, როგორც გაირკვა, ამაზე პოეტსაც "უზრუნია" – მას თითქმის არავისთვის უთქვამს, რომ გატეხა ნავსი და ცოცხალ აუდიტორიასთან პოეზიის ენით გადაწყვიტა ურთიერთობა. აქედან გამომდინარე,



ვახო ხაინდრავას ფოტო

კოტე ყუბანეიშვილი.

გუშინდელი მსმენელიც "პარნასის" სტუმრების ძირითადი ბირთვი გახლდათ.

ბესო ხვედელიძე აუდიტორიას, კარგ ადამიანთან შეხვედრის გარდა, ბევრ კარგ ლექსსაც შეჰპირდა. ვიდრე კაფეში შეკრებილები ამ ყველაფერში თავად დარწმუნდებოდნენ, საღამოს წამყვანმა პოეტთან ხანგრძლივი ურთიერთობის ისტორიიდან მისთვის ყველაზე დაუვიწყარი ამბავი მოგვითხრო. აღმოჩნდა, რომ კოტე ყუბანეიშვილი ერთ დროს ბესო ხვედელიძის მათემატიკის მასწავლებელი ყოფილა. მასწავლებელი, რომელმაც ბესოს კლასი "შატალოზე" წაიყვანა საგუნდაოდ და სწორედ ეს გახდა მისი პედაგოგიური მოღვაწეობის შეწყვეტის მიზეზიც. ბესოს კი ამ ამბის გახსენება იმისთვის დასჭირდა, რომ კოტე ყუბანეიშვილის ყველაზე სახასიათო შტრიხი – მისი პოეტური ბუნება ეჩვენებინა. საღამოს შემდეგმა გამომსვლელმა (როგორც გაირკვა, ის ბესოს მეგობარი ყოფილა) გაგვანდო, როგორ იმოქმედა მისი კორპუსის სანიტარიულ წესრიგზე ყუბანეიშვილის "დანაგვიანების საწინააღმდეგო" პწკარედების ციკლიდან ერთ-ერთმა. მოკლედ, არც ისე ლირიკული გადახვევებიდან პოეტი საქმეზე გადავიდა და აუდიტორიასთან ურთიერთობა ლექსებით დაიწყო. გადასვლას წინ უძღოდა მცირედი გაndობა – როგორ აუჩუყა პოეტს გული ხანგრძლივი პაუზის შემდეგ აუდიტორიასთან შეხვედრამ, რაც მაშინვე ასაკსა და კლიმაქსს დააბრალა.

ხელში ლექსებმომარჯვებულმა ყუბანეიშვილმა კიდევ ერთი რამ გაუნდო აუდიტორიას – წიგნებს ბოლოდან ვკითხულობო. მოკლედ, პოეტის ყოფილ მასწავლებლობასთან ერთად, მისი ჩინური თვისებების შესახებაც შეიტყო კაფე "პარნასის" გუშინდელმა მსმენელმა. გზადაგზა პოეტი სხვა ტიპის "აღიარებებსაც" იძლეოდა. მაგალითად, ასეთის, რომ ზოგჯერ ბანალური სტრიქონებიც აქვს და ა.შ. ეს ყველაფერი მყუდრო გარემოსა და სანთლის შუქზე ხდებოდა – თბილისში ხომ ზამთარი ახლოვდება.

ათეულები

**ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული ამერიკული კინო თეატრების მონაცემებით**

| ფილმი | რეჟისორი | მსახიობი | უიკენდის შემოსავალი $ | საერთო შემოსავალი $ |
|---|---|---|---|---|
| "ზვიგენის ამბავი" | ბიბო ბერჟერონი | უილ სმიტი, რენე ზელვეგერი, რობერტ დე ნირო, ანჯელინა ჯოლი | 31,330,299 | 87,350,275 |
| "პარასკევი ღამის შუქები" | პიტერ ბერგი | ბილი ბობ ტორნტონი, ტიმ მაკგროუ | 20,269,025 | 20,269,025 |
| "49-ე კიბე" | ჯეი რასელი | ხოაკინ ფენიქსი, ჯონ ტრავოლტა | 13,105,177 | 41,025,820 |
| "ტაქსი" | ტიმ სტორი | ქუინ ლატიფა, ჯიმი ფელონი, ჯენიფერ ესპოზიტო | 12,029,832 | 12,650,911 |
| "დავიწყებული" | ჯოზეფ რუბენი | ჯულიან მური, დომინიკ უესტი | 7,405,742 | 48,721,387 |
| "ხმის აწევა" | შონ მაკნამარა | ჰილარი დაფი, ჯონ კორბეტი | 4,022,693 | 4,022,693 |
| "ცის კაპიტანი და ხვალინდელი მსოფლიო" | კერი კონრანი | ჯუდ ლოუ, გვინეტ პელტროუ, ანჯელინა ჯოლი | 2,341,872 | 33,932,601 |
| Shaun of the Dead | ედგარ რაიტი | საიმონ პეგი, ნიკ ფროსტი | 1,708,113 | 9,457,504 |
| მოტოციკლეტის დღიურები | უოლტერ სალესი | გაელ გარსია ბერნალი, როდრიგო დე ლა სერნა | 1,510,020 | 3,293,132 |
| "მოსახლეობის ბოროტება: აპოკალიფსი" | ალექსანდერ უიტი | მილა იოვოვიჩი, სიენა გილორი | 1,253,117 | 49,010,903 |



**საუკეთესო სიმღერების ათეული ზრდასრულთათვის ჟურნალ "ბილბორდის" მიხედვით**





| შემსრულებელი | სიმღერის სათაური | წინა კვირის მაჩვენებელი | ჩარტებში გატარებული პერიოდი |
|---|---|---|---|
| "ლოს ლოუნლი ბოიზ" | Heaven | 1 | 17 კვირა |
| მარტინა მაკბრაიდი | This One's For The Girls | 3 | 38 კვირა |
| Five For Fighting | 100 Years | 2 | 42 კვირა |
| "მარუნ 5" | This Love | 4 | 26 კვირა |
| დიდო | White Flag | 5 | 58 კვირა |
| მაიკლ მაკდონალდი | Ain't No Mountain High Enough | 7 | 50 კვირა |
| შერილ ქროუ | The First Cut Is The Deepest | 6 | 53 კვირა |
| კიმბერლი ლოქი | 8th World Wonder | 9 | 27 კვირა |
| სილი | Love's Divine | 8 | 36 კვირა |
| კიტ ურბანი | You'll Think of Me | 11 | 20 კვირა |



ფეხბურთი

# პროფესიული ფეხბურთის ლიგის ახალი ინიციატივა

## ამიერიდან ყველას ეცოდინება, რომელია უმაღლესი და რომელი - პირველი

ფეხბურთში ეროვნულ პირველობას სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა სახელი აქვს. უმაღლესი ანუ უძლიერესთა ლიგა გერმანიაში "პირველ ბუნდესლიგად" იწოდება. შესაბამისად, "მეორე ბუნდესლიგა" ჰქვია მომდევნო, მეორე ლიგას. ინგლისში ჯერ "პრემიერ ლიგაა", შემდეგ "პირველი ლიგა" მოდის. ასევეა რუსეთშიც. ესპანეთის უმაღლეს ლიგას "პრიმერა დივიზიონი" ეწოდება, მომდევნოს - "სეგუნდა დივიზიონი". სახელწოდებები, მართლაც, მრავალფეროვანია, თუმცა, გაუგებარი, წესით და რიგით, არაფერი უნდა იყოს: უმაღლესი უმაღლესია, პირველი კი - პირველი...

მაგრამ გულშემატკივარი მაინც ხშირად შედის შეცდომაში. ეს კი იმის ბრალია, რომ უძლიერესი გუნდების ლიგას ზოგან "უმაღლესს" უწოდებენ, ზოგან - "პირველს". შესაბამისად, მომდევნო ლიგა ხან "პირველ ლიგად" მოიხსენიება და ხანაც "მეორე ლიგად", გააჩნია, რა სახელი აქვს პირველს - "პირველი" თუ "უმაღლესი"...

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ზედა ლიგას "უმაღლესი" ჰქვია, შემდეგ მოდის "პირველი ლიგა", თუმცა, ეს სახელწოდებები თავად საქართველოშიც ხშირად ერევათ და უმაღლეს ლიგას პირველად, ხოლო პირველს მეორე ლიგად მოიხსენიებენ. ერთი შეხედვით, ეს არცთუ ისე დიდი პრობლემა უნდა იყოს, თუმცა, უხერხულობები მაინც ხშირია.




ამხელა შესავალი იმისთვის დაგვჭირდა, რომ გაცნობოთ: ამიერიდან მსგავს გაუგებრობებს საქართველოში აღარ იქნება ადგილი. საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის საკოორდინაციო საბჭო, რომელსაც ლიგის წევრი ხუთი კლუბი წარმოადგენს *(თბილისის "დინამო", "ვიტ ჯორჯია", "ლოკომოტივი", "თბილისი" და გორის "დილა")*, მომავალ სამშაბათს სხდომას გამართავს. სწორედ ამ სხდომაზე პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტი დიმიტრი რამიშვილი ახალი პროექტის წარდგენას გეგმავს, რომლის მიხედვითაც საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს და პირველ ლიგებს ახალი სახელები უნდა ეწოდოს. რამიშვილის წინადადება უმაღლესი ლიგის "ა" ლიგად, ხოლო პირველი ლიგის "ბ" ლიგად გადაქცევას ითვალისწინებს. იმისთვის, რომ პროფესიული ფეხბურთის ლიგის ეს პროექტი ძალაში შევიდეს, მას საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე მხარი უნდა დაუჭირონ, თუმცა, ძნელია წარმოსადგენია, რომელიმე კლუბის წარმომადგენელი ამ პროექტის წინააღმდეგ წავიდეს. ახალი სახელწოდებების ოფიციალურად დამტკიცება, ალბათ, უფრო ფორმალობის ამბავია.

პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრესმდივნის პაატა ბურჯალიანის განცხადებით, მოსალოდნელი ცვლილება პირველ რიგში გაუგებრობების თავიდან აცილების მიზნით არის გაპირობებული. თუმცა, დიდი ყურადღება მიექცა იმასაც, რომ სახელები არ გამეორებულიყო. სწორედ ამიტომ დღის წესრიგიდან თავიდანვე მოიხსნა ევროპაში საკმაოდ გავრცელებული სახელწოდება "პრემიერ ლიგა", როგორც ამას რუსეთისა და ინგლისის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგებს უწოდებენ.

ახლა უკვე ყველას კარგად ეცოდინება, თუ რომელია "ა" ლიგა და რომელია "ბ", ისევე როგორც ეს იციან იტალიაში, სადაც პირველ და მეორე ლიგებს, შესაბამისად, სერია "ა"-ს და სერია "ბ"-ს უწოდებენ.

ის, ვინც საქართველოს ჩემპიონატის მატჩებს ადევნებს თვალს, შეამჩნევდა, რომ მიმდინარე სეზონში ქართული კლუბების სათამაშო ფორმებს პროფესიული ლიგის ემბლემები ამშვენებს. იმ შემთხვევაში, თუ დიმიტრი რამიშვილის პროექტი ამოქმედდება, გუნდების მაისურებზე დატანილ ემბლემას იმ ლიგის აღმნიშვნელი ასოც დაემატება, რომელსაც განეკუთვნება გუნდი.

# რატომ არ ეშინია რემონს "ბარსელონასი"?

## დროებითი მწვრთნელი აღარ არის დროებითი

*ხოსე ანტონიო კამაჩოს მოულოდნელი გადადგომის შემდეგ მადრიდის "რეალის" მთავარი მწვრთნელის პოსტი მისმა თანაშემწემ მარიანო გარსია რემონმა დაიკავა. თუმცა, რემონს კლუბთან კონტრაქტი არ გაუფორმებია, ის მხოლოდ დროებითი მწვრთნელის ფუნქციებს ასრულებდა. ყველას ეგონა, რომ სამეფო კლუბის სათავეში ეს ადამიანი ცოტა ხანს დარჩებოდა, მანამ, სანამ მადრიდელები "სრულფასოვან" მწვრთნელს მოძებნიდნენ.*
*ვარაუდი არ გამართლდა. "რეალმა" არც ჰიტცფელდი მიიწვია, არც რობსონი და არც ერიქსონი. სამეფო კლუბმა რემონთან პროფესიული კონტრაქტი გააფორმა, რომლის თანახმად, ის 2005 წლის 30 ივნისამდე, ანუ მიმდინარე სეზონის ბოლომდე უხელმძღვანელებს გუნდს.*
*ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ რემონი აღარ არის "დროებითი", ის უკვე ოფიციალურად არის მთავარი მწვრთნელი.*

**- ვუდგეითის ტრავმის გამო "რეალმა" ზამთრის სატრანსფერო სეზონშიც უნდა იაქტიუროს?**

- ვუდგეითის ტრავმის გამო ამის გაკეთება საჭირო არ არის. ამ პოზიციაზე ვაკანსიები აღარ გვაქვს. დაცვის ხაზში პრობლემები არ არის.

**- ესაუბრეთ ამ ფეხბურთელს? თავს როგორ გრძნობს?**

- ის დათრგუნულია. ძალიან სამწუხაროა, რომ ასე მოხდა. მან დაგვიმტკიცა, რომ კარგი მცველია. ვუდგეითის ტრავმა ყველასთვის დიდი დარტყმა იყო. არც ერთ ფეხბურთელს არ სიამოვნებს სავარჯიშოდ გასვლა მაშინ, როდესაც მათი თანაგუნდელი საავადმყოფოშია. როდესაც ჯონათანს ტრავმის რეციდივი მოუვიდა, ის ძალიან გაბრაზებული იყო, თუმცა, ახლა აღარ ღირს ამაზე ლაპარაკი.

**- მასკერანოს კარგად იცნობთ?**

- მე მინახავს მისი ორი-სამი მატჩი, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ კარგად ვიცნობ. მასზე ისეთივე წარმოდგენა მაქვს, როგორც რიგით მაყურებელს.

**- ემხრობით მის შეძენას?**

- ის კარგი მოთამაშეა, ხოლო თუ ტალანტი გაქვს, ნებისმიერ გუნდს წაადგები. თუმცა, ვერ გეტყვით, გვჭირდება თუ არა ჩვენ მასკერანო. კლუბი თავად გადაწყვეტს, იყიდოს თუ არა მაკსერანო დეკემბერში.

**- ფიქრობთ თუ არა, რომ საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე გუნდში დეფიციტია? შეუძლია ზიდანს ამ პოზიციაზე თამაში?**

- ვფიქრობ, გუნდში ჩვენ ძალიან კარგი ფეხბურთელები გვყავს და მე ვერ ვისაუბრებ ვერავითარ დეფიციტზე. ახლა ბევრს კამათობენ იმის თაობაზე, შეუძლია თუ არა ზიდანს ამ პოზიციაზე თამაში. ზიდანი დიდებული ფეხბურთელია, ამიტომ მას ნებისმიერ პოზიციაზე შეუძლია თამაში. თავისთავად ცხადია, რომ მას იქ კარგად შეუძლია თამაში, თანაც, ძალიან კარგად. აქ არავითარი პრობლემა არ არსებობს.

**- რა ემართება გუნდს? სტუმრად ჩატარებულ უკანასკნელ სამ მატჩში ის სამჯერვე დამარცხდა.**

- მთავარი პრობლემა გოლების გატანაშია. ექვს თამაშში ჩვენ მხოლოდ ოთხი გოლი გავიტანეთ და ეს არის ყველაფრის მიზეზი. გასვლით მატჩებში "რეალი" ხშირად იმარჯვებდა და დარწმუნებული ვარ, მას შემდეგ, რაც საგოლე ყნოსვას დავიბრუნებთ, გამარჯვებებიც დაბრუნდება. პრობლემა ის გახლავთ, რომ ახლა გუნდი გოლის გატანის სურვილით არის შეპყრობილი, ხოლო ასეთ სიტუაციებში პირიქით, მშვიდად უნდა იყო.

**- მომავალ მატჩს "ბეტისთან" ითამაშებთ. ბევრი ფეხბურთელი თავისი ქვეყნის ნაკრებიდან დაგიბრუნდებათ. რაიმე გადაადგილებებს ხომ არ გეგმავთ?**

- ახლა კონკრეტულს ვერაფერს გეტყვით. შესაძლოა, გადაადგილებები, მართლაც, მოხდეს, მაგრამ მანამდე უნდა შევხედო, რა მდგომარეობაში ჩამოვლენ ფეხბურთელები.



*რემონმა "რეალთან" ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.*

**- მომავალი სამი მატჩი "ბეტისის", "დინამოს" და "ვალენსიას" წინააღმდეგ გაქვთ. ასეთი მძიმე კალენდარი გაღელვებთ?**

- არა, რადგან ვფიქრობ, რომ ჩვენ ვიპოვით ჩვენი თამაშის რიტმს. მოთამაშეების ფიზიკური მდგომარეობა კარგია. გუნდმა მიაგნო თავის სტილს, რაც ბურთის ფლობაში და თამაშის კარნახში გამოიხატება. "დეპორტივოსთან" მატჩში ჩვენ 50-ზე მეტჯერ მოვახერხეთ მეტოქის საჯარიმოში შეღწევა. როგორც წესი, ინიციატივას ჩვენ ვფლობთ. ახლა მხოლოდ საგოლე ყნოსვაა საჭირო, ამისთვის კი მშვიდად უნდა ვიყოთ. არ არის საჭირო, გოლის გატანის სურვილით იყო შეპყრობილი, როგორიც, მაგალითად, რონალდოა.

**- როგორც გავიგე, "რეალმა" უფრო შემტევი ფეხბურთი უნდა ითამაშოს. რატომ არ აკეთებს ის ამას?**

- არა, არა. ჩვენ სწორედ ასეც ვთამაშობთ. მადრიდის "რეალმა" მუდამ მეტოქის მოედნის ნახევარზე უნდა ითამაშოს, ამისთვის კი ბურთის ფლობაა საჭირო. "სანტიაგო ბერნაბეუზე" ჩვენ უკვე მივაღწიეთ ამას და იგივეს გაკეთება, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ძნელი იქნება, გასვლით მატჩებშიც უნდა შევძლოთ.

**- თქვენ ახლა ჩავარდნა გაქვთ, ხოლო "ბარსელონა" აღმავლობას განიცდის. ამის გამო კიდევ უფრო გტკივათ გული?**

- არა. ახლა ხომ მხოლოდ დასაწყისია. ის, რაც ახლა შავად გვეჩვენება, ერთი თვის შემდეგ სხვა ფერის იქნება. უნდა მივულოცოთ "ბარსას" და სხვა გუნდებს ის, რომ მათ კარგად დაიწყეს ეს სეზონი. მაგრამ ჩემპიონატი სავსეა სიძნელეებით.

**- "ბარსელონა" არ გაშინებთ?**

- არა, "ბარსასი" არ მეშინია. მათ შესანიშნავი გუნდი ჰყავთ, თუმცა, სეზონი ხანგრძლივია. შარშანდელი სეზონი "რეალმაც" კარგად დაიწყო, მაგრამ შემდეგ ყველაფერი დაინგრა. ჩვენ მხოლოდ საკუთარ პრობლემებზე უნდა ვიყოთ კონცენტრირებული. დარწმუნებული ვარ, აუცილებლად წავალთ წინ.

## TV-სპორტი

### შაბათი. 16 ოქტომბერი

**НТВ+ФУТБОЛ**

06:00 NBA TV. ფინალის ხმები. წელი 2004. პირველი მატჩი
06:30 NBA TV. სეზონი 2002-2003. "HOUSTON ROCKETS" - "LOS ANGELES LAKERS"
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 მინიფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. "სპარტაკი" - "ლოკომოტივი - სოთ-ეერ"
13:25 ბრაზილიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
13:55 მინიფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. "სპარტაკი" - "ლოკომოტივი - სოთ-ეერ". პირდაპირი ტრანსლაცია
15:20 "წვრილმანები"
15:40 თავისუფალი დარტყმა
15:55 "გამჟღლვანება"
16:25 "ფიფას ასწლეული". მეოთხე ნაწილი
16:55 "ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი"
17:25 გერმანიის ჩემპიონატი. "შტუტგარტი" – "ბორუსია". პირდაპირი ტრანსლაცია
19:25 თავისუფალი დარტყმა
19:40 სახვალიო ტელეპროგრამა
19:45 "FUTBOL MUNDIAL"
20:10 ინგლისის ჩემპიონატი. "მანჩესტერ სიტი" – "ჩელსი". პირდაპირი ტრანსლაცია
22:05 საფრანგეთის ჩემპიონატი. "ნანტი" - პსჟ. პირდაპირი ტრანსლაცია
23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. "ესპანიოლი" - "ბარსელონა". პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (00:15) – თავისუფალი დარტყმა
11:55 01:55-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV – დღიური
03:30 NBA TV. წინასასეზონო მატჩი. "NEW JERSEY NETS" - "BOSTON CELTICS". პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ+СПОРТ**

09:00 "ფორმულის ჰარმონია"
10:00, 13:00, 15:45, 20:00 პრესცენტრი
10:25 კალათბურთი. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1995. დასავლეთ კონფერენციის ფინალი. "SAN ANTONIO SPURS" - "HOUSTON ROCKETS". მე-2 მატჩი
12:25 "ბორის მაიოროვის არქივიდან"
13:15 "ჰოკეი-პლუს"
13:30 "სპორტული გლობუსი". "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
14:00 "ნოკაუტი". ტელეჟურნალი
14:30 როდეოს ფესტივალი კალგარიში. მე-3 ნაწილი
15:15 ამერიკული ფეხბურთი. კვირის მოვლენა
16:00 ჩოგბურთი. ATP ტურნირი საფრანგეთში. ნახევარფინალები. პირდაპირი ტრანსლაცია
20:20 სახვალიო ტელეპროგრამა
20:30 "დიდი რინგი". კორი სპინკსი – მიგელ გონსალესი
22:30 ჭადრაკი. მატჩი მსოფლიო ჩემპიონის წოდებისთვის. ვ. კრამნიკი – პ. ლეკო
23:00 ბრძოლა წესების გარეშე - "Ultimate Fighting Championship"
00:15 ახალი ამბები
00:30 ამერიკული ფეხბურთი. კვირის მოვლენა

# კლუბი, რომელიც არ იყიდება

## მოვიდნენ, ნახეს, მაგრამ ვერ დაიპყრეს

ნინო ტიკარაძე

*რობერტ მაქსველი, მაიკლ ნაიტონი, რუპერტ მურდოქი, მალკოლმ გლეიზერი – ესაა სია იმ ადამიანებისა, რომლებიც სხვადასხვა დროს ეცადნენ, ხელში ჩაეგდოთ მსოფლიოში უმდიდრესი კლუბი "მანჩესტერ იუნაიტედი", მაგრამ თითოეული მათგანის მცდელობა კრახით დამთავრდა.*

აშკარაა, რომ "მანჩესტერ იუნაიტედი" ყოველთვის წარმოადგენდა და კვლავაც წარმოადგენს მდიდარი ადამიანების ინტერესის საგანს. მართლაც, ვინ იტყვის უარს მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი და უმდიდრესი კლუბის საკონტოლო პაკეტის ხელში ჩაგდებაზე, მაგრამ, კლუბის გულშემატკივრების თქმისა არ იყოს, "მანჩესტერ იუნატედი" ესაა კლუბი, რომელიც არ იყიდება", მით უმეტეს, მაშინ, როცა გულშემატკივარი აშკარად გრძნობს, რომ კლუბის ყიდვის მოსურნეს მისი ბედი კი არ აღელვებს და მის შემდგომ წარმატებებზე კი არ ფიქრობს, არამედ კლუბს გამდიდრების მთავარ წყაროდ მოიაზრებს.

"მანჩესტერ იუნაიტედის" ყიდვის მსურველთა სიას ქრონოლოგიურად რომ მივყვეთ, სიის სათავეში აღმოვაჩენთ ერთ-ერთი გაზეთის მთავარ რედაქტორს რობერტ მაქსველს, რომელიც საკუთარი თანამშრომლების კუთვნილი ფულის გაფლანგვით იყო ცნობილი. ბუნებრივია, ასეთი ადამიანის სათავეში მოსვლა კლუბს კარგს არაფერს მოუტანდა. 1999 წელს იგი ზღვაში დამხრჩვალი იპოვეს. ამით ბოლო მოეღო კიდეც მის ფინანსურ მაქინაციებს.

შემდეგი იყო უძრავ-მოძრავი ქონების აგენტი მაიკლ ნაიტონი, რომელსაც, როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, კლუბის ყიდვისთვის საჭირო თანხა არ გააჩნდა.

ნაიტონის შემდეგ ჰორიზონტზე გამოჩნდა ავსტრალიელი მედიამაგნატი რუპერტ მურდოქი, რომელსაც არა მხოლოდ გულშემატკივრებმა, არამედ მთავრობამაც შეუშალა ხელი, ინგლისური კლუბის მეპატრონე გამხდარიყო.

დაბოლოს, მილიარდერი მაგნატი მალკოლმ გლეიზერი, რომელმაც დაახლოებით ერთი თვის წინათ გამოაცხადა, რომ "მანჩეტერ იუნაიტედის" ყიდვა ჰქონდა გადაწყვეტილი. კლუბის აქციების მხოლოდ 19 პროცენტის მფლობელი გლეიზერი დიდი ხნის განმავლობაში აწარმოებდა მოლაპარაკებას საფეხბურთო კლუბის უმსხვილეს აქციონერებთან ჯონ მეგნიერსა და ჯეი პი მაქმენუსთან, რადგან მათი აქციების შესყიდვის გარეშე ვერ შეძლებდა, კლუბის საკონტროლო პაკეტს დაუფლებოდა. მაგნატმა აქციონერებს თითოეულ აქციაში სამი გირვანქა სტერლინგის გადახდა შესთავაზა. აქციონერებმა თავიანთი კუთვნილი აქციების მიცემაზე უარი უთხრეს მალკოლმ გლეიზერის და ამით კლუბის სათავისკენ მიმავალი ყველა გზა მოუჭრეს. აქციონერთა გადაწყვეტილება გუშინ გახდა ცნობილი. ახლა საუბარია იმაზე, რომ დამარცხებულმა გლეიზერმა შეიძლება კლუბის აქციების თავისი წილი გაყიდოს, მაგრამ ეს მხოლოდ აქციონერთა ვარაუდია.

გასაგებად საფონდო ბირჟაზე მისულ გლეიზერის მოწინააღმდეგე და კლუბის მრავალრიცხოვან გულშემატკივრებს საბოლოო გადაწყვეტილებამ დიდი სიხარული მიანიჭა. ისინი ხომ გლეიზერის სურვილის გამოცხადების დღიდან არ დაშოშმინებულან, პროტესტს ყოველდღიურად გამოხატავდნენ და მაგნატს "მტაცებელსაც" უწოდებდნენ. მათი აზრით, კერძო პირის მიერ "მანჩესტერ იუნატედის" მართვის სადავეების ხელში აღება გუნდის დიდების დასასრულის დასაწყისი იქნებოდა.

ახლა კი ფიქრობენ, რომ მათმა ბრძოლამ ამაოდ ნამდვილად არ ჩაიარა, მაგრამ, "მანჩესტერ იუნაიტედის" ერთ-ერთი აქციონერის თქმით: "თუ ფრთხილად არ ვიქნებით, შეიძლება მესამე მცდელობა უკვე კერძო პირის გამარჯვებით დამთავრდეს. მართალია, გულშემატკივრებმაც გვაგრძნობინეს, რომ ყოველთვის მზად არიან, ჩვენი კლუბი დაიცვან. საბჭოც უშეცდომოდ მოიქცა, მაგრამ შეიძლება ყოველთვის არ გაგვიმართლოს."

და მაინც, საინტერესოა, ვინ იქნება შემდეგი?!

ჭადრაკი

# ლეკო ისევ წინ არის



პეტერ ლეკო კვლავ იმარჯვებს.

მსოფლიოს გამაერთიანებელი ჩემპიონატის ნახევარფინალურ მატჩში რუს ვლადიმირ კრამნიკსა და უნგრელ დიდოსტატ პეტერ ლეკოს შორის მდგომარეობა არ შეცვლილა. ვლადიმირ კრამნიკმა ვერც ამჯერად მოიგო თეთრი ფიგურებით და 12 პარტიის შემდეგ ანგარიშია - 6,5:5,5 პეტერ ლეკოს სასარგებლოდ. დარჩენილ ორ პარტიაში ლეკოსთვის საკმარისია არ წააგოს ან ერთი პარტია მოიგოს, რომ უნგრელი დიდოსტატი კლასიკურ ჭადრაკში არაოფიციალური მსოფლიო ჩემპიონი გახდება და მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის საგზურსაც მოიპოვებს. ამდენად, კრამნიკისთვის მდგომარეობა უკიდურესად სახიფათოა.

ხუთშაბათს კრამნიკი საბოლოოდ მიხვდა, თუ როგორ მონსტრთან აქვს საქმე. ვლადიმირის მეექვსე ცდა, თეთრი ფიგურებით დაემარცხებინა ლეკო, კრახით დასრულდა. ლეკომ კრამნიკს გამარჯვების ყოველგვარი შანსი მოუსპო. ის ამართლებს თავის მეტსახელს - "რკინის პეტერი" - ტიგრან პეტროსიანის ანალოგის მსგავსად, რომელსაც დაცვით თამაშში ბადალი არ ჰყავდა. თითქმის ყოველთვის კრამნიკი უკეთეს პოზიციაშია, მაგრამ ლეკო, თამაშობს რა ცაიტნოტის ზღვარზე, მუდმივად ახერხებს უზუსტესი სვლების გაკეთებას და, შესაბამისად, მდგომარეობის გამოსწორებას.

ახლა კრამნიკს ისღა დარჩენია, სადებიუტო სტრატეგია შეიმუშაოს და შეეცადოს, დღეს გამოასწოროს მდგომარეობა. ის არჩევანის წინაშე დგას და შეუძლია ან გარისკოს და მოგებაზე ითამაშოს, ან დაელოდოს უკანასკნელ, მე-14 პარტიას, რომელიც ორშაბათს გაიმართება. თუმცა, ბოლო პარტიაში მას აუცილებელი გამარჯვება დასჭირდება. ეს კი იოლი საქმე სულაც არ არის. თუმცა, საკითხავია, როგორ გააკეთებს ამას კრამნიკი, თუ ლეკო შავი ფიგურებით შეუვალია. ის მოქმედებს მახრჩობელა გველივით, რომელიც მეტოქის პარალიზებას ახერხებს.

არავისთვის დასამალი არ არის, რომ კრამნიკი შვეიცარიის ქალაქ ბრისაგოში საუკეთესო თამაშს ვერ აჩვენებს. უფრო ზუსტი რომ ვიყოთ, უნდა ვაღიაროთ, რომ კრამნიკს მუდმივად რაღაც არ ჰყოფნის. მგონი, არსებობს სვლა, რომელსაც გამარჯვების მოტანა შეუძლია, მაგრამ კრამნიკს ეს სვლა ვერაფრით მოუძებნია. პირიქით, ლეკო ყოველთვის ნახულობს საჭირო სვლებს და ამით ნოკაუტში აგდებს მეტოქეს.

არადა, სულ რამდენიმე დღის წინათ კრამნიკი შესანიშნავად გამოიყურებოდა და საერთოდ არ ჰგავდა იმ ადამიანს, რომელსაც გადაღლა ეტყობა. მეცხრე პარტიის შემდეგ კი მისი სახე რაღაცნაირად შეიცვალა. ის პარტია მეტოქეებმა მე-16 სვლაზე ყაიმით დაასრულეს და, ძირითადად, პეტერ ლეკოს კეთილი ნების გამო. არა, დაფაზე, მართლაც, საყაიმო მდგომარეობა იყო, მაგრამ კრამნიკი იმდენად ცუდად გრძნობდა თავს, რომ ადვილი შესაძლებელი იყო, შეცდომა დაეშვა, მაგრამ ლეკომ არ იკადრა მისი წვალება და მე-16 სვლაზე ყაიმზე შეუთანხმდა. კრამნიკი მაშინ პრესკონფერენციასაც არ დასწრებია.

კრამნიკმა ვერც მომდევნო პარტია მოიგო. ალბათ, ისევ ჯანმრთელობის მდგომარეობა გახდა ამის მიზეზი. ისევ სწრაფი ყაიმი. ამჯერად მე-17 სვლაზე. კრამნიკს კი მხოლოდ ორი ცდა დარჩა იმისთვის, რომ თეთრი ფიგურებით მოიგოს და მატჩი ფრედ მაინც დაასრულოს, რაც მას მსოფლიო ჩემპიონის წოდებას შეუნარჩუნებს.

ამას იმისთვის ვამბობ, რომ მე-12 პარტიაში, ერთკვირიანი შესვენების შემდეგ, მაყურებელმა კვლავ იხილა ბრძოლისთვის შემართული ნამდვილი კრამნიკი. თუმცა, მან ისევ დაუშვა შეცდომები. მე-20 სვლაზე კრამნიკი არჩევანის წინაშე დადგა: წასულიყო თუ არა მდგომარეობის გართულებაზე. რუსმა ბევრი იფიქრა და ბოლოს გადაწყვიტა, გაერისკა. ამით ნათელი გახდა, რომ ამჯერად სწრაფი ყაიმი არ გამოვიდოდა. პოზიცია ისეთი გამოვიდა, რომ თავდაცვა ისევ პეტერ ლეკოს მოუხდა. მე-18 სვლაზე კრამნიკმა ცბიერი სვლა გააკეთა. ნათელი გახდა, რომ მას არ აშინებდა წაგების ალბათობა, როცა დარჩენილი ორივე პარტიის მოგება მოუწევდა. ლეკომ გამოწვევა მიიღო. მან არასტანდარტულად უპასუხა და ნამდვილი ბრძოლაც გაჩაღდა. მეტოქეები მინიმალური უპირატესობის მოსაპოვებლადაც არ იშურებდნენ დროს და პირველი კონტროლის წინ დარჩენილი 10 სვლისთვის კრამნიკს 12 წუთი ჰქონდა, ლეკოს კი - 11. ამასთან, ლეკო, რომელიც ჩვეულებრივ დიდხანს ფიქრობს, კრამნიკის სვლებს მყისვე პასუხობდა და, რაც მთავარია, პასუხი სწორი იყო.

კრამნიკმა ვერაფრით შეადგინა ისეთი გეგმა, რომელიც მას საშუალებას მისცემდა, დიდი უპირატესობა მიეღო. ბოლოს კრამნიკმა 33-ე სვლაზე შეცდომა დაუშვა. დარჩენილი 6 სვლისთვის მას მხოლოდ 3,5 წუთი რჩებოდა და, ამასთან, ვერც უპირატესობას ფლობდა. მან უნგრელს ყაიმი შესთავაზა, რაზეც ლეკო დათანხმდა.

ჩოგბურთი

# ვინუსს რუსული სუსხი და რასპუტინი ჰყვარებია



ვილიამსი რასპუტინის დიდი თაყვანისმცემელი ყოფილა.

ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში მოსკოვი საჩოგბურთო ტურნირს "კრემლის თასს" მასპინძლობს. უფრო სწორად, 1996 წლიდან დიდ საჩოგბურთო ორომტრიალშია. ამ ხნის განმავლობაში კრემლის კორტებზე არაერთ სახელოვან ჩოგნის ოსტატს უასპარეზია და ახლაც ასპარეზობს. ტურნირს მოთამაშე და მაყურებელი არასდროს აკლდა, მაგრამ, შარშანდლიდან მოყოლებული, ანუ მას შემდეგ, რაც "Ladies Kremlin Cup" Top 9-ში შევიდა, მოსკოვური კორტების ფასმა ერთიორად იმატა. საქმე ისაა, რომ შესაბამის ჯგუფში შესვლით ტურნირი მხოლოდ დიდი სლემის რანგს თუ ჩამორჩება. უფრო სწორად, შარშანდლიდან მოყოლებული, "კრემლის თასი" მნიშვნელობით მეორე ტურნირია დიდი სლემის ტურნირების შემდეგ.

ამხელა შესავალი იმისთვის დაგვჭირდა, რომ მოსკოვში მიმდინარე ტურნირს ვინუს უილიამსი სტუმრობს.

გთავაზობთ ბი-ბი-სის ჟურნალისტის მიერ აღებულ ინტერვიუს სიდნეის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონთან. ჟურნალისტი უილიამსის ვარცხნილობაზე ამახვილებს ყურადღებას. ვინუსი მოსკოვში ნიუიორკელი პარიკმახერის წყალობით ახალი ვარცხნილობით ჩასულა. ვარცხნილობა კი ვიტნი ჰიუსტონის სტილშიაო.

იქვე იმასაც ვიგებთ, რომ უფროს უილიამსს მოსკოვი ძალიან მოსწონს.

"პირველად აქ 1997 წელს ჩამოვედი და მეოთხედფინალამდე გავაღწიე. მომეწონა რუსეთი, რუსული ზამთარი, სიცივე. განსაკუთრებული გრძნობები მიჩნდება, როდესაც ასეთ კლიმატურ პირობებში ვხვდები. ამასთან, დამატებითი მიზეზი მაქვს იმისთვის, რომ თბილი ქურთუკი ვიყიდო...

ერთი ეგაა, დროში სხვაობის გამო დღისით მძინავს".

### კერპები - რასპუტინი და ბარიშნიკოვი

მიუხედავად იმისა, რომ გადატვირთული გრაფიკი აქვს, იმედს არ კარგავს, რომ პირველი შესაძლებლობისთანავე მოსკოვს დაათვალიერებს. პირველ ყოვლისა კი, ძალიან სდომებია, ის ღირსშესანიშნაობები მოინახულოს, რომელიც წარსულის კოლორიტულ პიროვნებებს უკავშირდება.

"პეტრე დიდი, ეკატერინე, ივანე მრისხანე, რასპუტინი... საერთოდ, რასპუტინი ჩემი ერთ-ერთი საყვარელი ისტორიული პერსონაჟია. რასპუტინზე წიგნიც მაქვს. მგონია, რომ იგი საოცარი ადამიანი იყო. საოცარი იმიტომ, რომ, თუ გავითვალისწინებთ, როგორ უჭირდა გლეხობას, ამ ფონზე ის გმირულად და კეთილშობილურად იქცეოდა".

რაც შეეხება თანამედროვეებს, აქ ვინუსს ერთი უცვლელი კერპი ჰყავს. კერპი, რომლის გაცნობის ისტორიაც არასდროს დაავიწყდება. საუბარია მიხაილ ბარიშნიკოვზე.

"ის ნიუ იორკში, სადილზე გავიცანი. ვუთხარი: "ღმერთო ჩემო! როგორ ბრძანდებით? თქვენ დიდი ვინმე ხართ!". მან მიპასუხა: "ეს თქვენ ხართ დიდებული!" იგი საოცარი ადამიანია. ერთმანეთს დიდ პატივს ვცემთ".

### მძიმე დრო

შარშანდლიდან მოყოლებული, ვინუსს ტრავმები სტანჯავდა და საკმაო ხანს, როგორც თავად აცხადებს, ვერ აცნობიერებდა იმას, რომ ჩოგბურთის გარეშე ცხოვრობდა. მუცლის პრესის დაჭიმვის გამო 2003 წლის მეორე ნახევრის გაცდენისთვის ვინუსი, პირველად შვიდი წლის განმავლობაში, მსოფლიო რეიტინგის პირველი ათეულიდან გამოვარდა. ტრავმის გამო უფროს უილიამსს კორტებზე დაბრუნება მიმდინარე წლის აპრილამდე არ ეწერა. მაგრამ როგორც კი დაბრუნდა, ჩოგბურთს მოწყურებულმა, ჩარლსტონისა და ვარშავის ტურნირები მოიგო, თუმცა... მოხდა ისე, რომ მესამე ტურნირზე, სადაც მისგან ასევე გამარჯვებას ელოდნენ, ისევ დაშავდა. მარცხენა მუხლზე მიღებულმა ტრავმამ უილიამსს ფინალში ამელი მორესმოსთან თამაშის საშუალება არ მისცა.

...ვერც "კრემლის თასზე" მიაღწია რაიმე წარმატებას. მეოთხედფინალში მას გადაულახავ ბარიერად მასპინძელი ელენა ბოვინა მოევლინა.

"რამდენიმე არასწორი გადაწყვეტილება მივიღე. რამდენიმე ტურნირზე გამოვედი, თუმცა, ნორმალური პრაქტიკის უქონლობის გამო შეჯიბრებისთვის მზად არ ვიყავი. ამის მერე მომავლისთვის დასკვნა გამოვიტანე: თუ მზად არ ხარ, უმჯობესია, საერთოდ არ ითამაშო. წინააღმდეგ შემთხვევაში უკეთესის მოლოდინით შინ ჯდომა მოგიწევს".

...ბოლო ოთხ ტურნირში ვინუსმა სამჯერ დათმო ორთაბრძოლა ლინსდეი დევენპორტთან. აშშ-ის ღია ჩემპიონატზე გამარჯვების შემდეგ დევენპორტი პირველად დაწინაურდა ურთიერთშეხვედრათა ნუსხაში – 13:12.

გარდა ამისა, მოქმედ ჩოგბურთელთა შორის ერთადერთი უარყოფითი ბალანსი ვინუსს საკუთარ დასთან – სერენასთან აქვს – 5:8.

საინტერესოა, რომ დებს შორის გამართული 13 მატჩიდან 7 დიდი სლემის ფინალებზე მოდის.

"ტურნირებზე ერთად ყოფნა გვახალისებს. ბევრს ვხუმრობთ, მთელ დღეს ვხითხითებთ, ვჭორაობთ".

ერთადერთი შეკითხვა, რომელზეც ვინუსს პასუხის გაცემა უჭირს, ისაა, თუ როდის დაიბრუნებს ოდინდელ ფორმას.

"ზუსტად ვერ გეტყვით. თუმცა, ახლა თავს ბევრად უკეთ ვგრძნობ. მინდა, ახალ სეზონს სრულად მომზადებული შევხვდე. გავითვალისწინებ იმ გაკვეთილებს, რომელიც წლეულს შემომთავაზა ცხოვრებამ. რა თქმა უნდა, ვაცნობიერებ, რომ უკუსვლის გარეშე შეუძლებელია".

### რუსული რევოლუცია

დები უილიამსების, ბელგიელების ენინ-არდენისა და კიმ კლიისტერსის ტრავმების გამო მსოფლიო ჩოგბურთში დაწინაურდნენ რუსები - ანასტასია მისკინა და მარია შარაპოვა, რომლებმაც შესაბამისად მოიგეს "როლან გაროსი" და "უიმბლდონი".

საინტერესოა, რას ფიქრობს "რუსულ რევოლუციაზე" თანამედროვე საჩოგბურთო მოდის ერთ-ერთი მთავარი კანონმდებელი.

"რუსი გოგოები ძალიან კარგები არიან და მუდმივად ვითარდებიან. ბევრს სწავლობენ და მიღწეულზე არ ჩერდებიან".

ერთი სიტყვით, ქალთა საჩოგბურთო სამყაროში ბრძოლები ახლა იწყება. ასე რომ, სავსებით შესაძლებელია, მომავალი წელი სულაც განმსაზღვრელი გამოდგეს.

კალათბურთი

დასაწყისი 794 (245)

# ვინ, რა, როგორ NBA-ში

სანდრო ნავერიანი



კელვინ კატო, კატინო მობილი და სტივ ფრენსისი - "ორლანდოს" ახალწვეულები.

### აღმოსავლეთ კონფერენცია

**12. "ორლანდო მეჯიქი"** (გასული სეზონი: 21-61)

**სასტარტო ხუთეული:** სტივ ფრენსისი, კატინო მობლი, ჰედო თურგოგლუ, დუაიტ ჰოვარდი, კელვინ კატო.

დარწმუნებული ვარ, წლევანდელ სეზონში ჩვენ სულ სხვა "ორლანდო მეჯიქს" ვიხილავთ. სულ სხვას არა იმიტომ, რომ "მეჯიქის" სასტარტო ხუთეული მთლიანად გადახალისებულია. არა. უბრალოდ, იმიტომ, რომ გუნდი მთლიანად გაახალგაზრდავებულია. სასტარტო ხუთეულში, ფაქტობრივად, არც ერთი ის კალათბურთელი არ არის, რომლებიც შარშანაც "ორლანდოში" იყვნენ. ვთვლი, რომ კლუბის ხელმძღვანელობამ სწორი ნაბიჯი გადადგა, როდესაც ტრეისი მაკგრეიდი გუნდიდან გაუშვა და მის ნაცვლად მაღალი დონის კალათბურთელები მიიღო. სტივ ფრენსისმა და კატინო მობლიმ, როგორც იქნა, თავი დააღწიეს "ჰიუსტონ როქეთსს" და ჯეფ ვან განდის მენტორულ სისტემას. ორლანდოში ისინი ლიდერების როლს შეასრულებენ. ორივეს უყვარს ბურთის თრევა, რაც "ორლანდო მეჯიქს" ძალიან წაადგება. ორივეს შეუძლია კარგი გადაცემების გაკეთება სწორედ მაშინ, როდესაც ეს ყველაზე მეტად არის საჭირო. ფრენსისისა და მობლის გადაცემები შეუძლია გამოიყენოს ჰედო თურგოგლუმ, რომელსაც საშუალო დისტანციიდან საკმაოდ კარგი, დაყენებული ტყორცნა აქვს. რაც შეეხება ცენტრს, ამ შემთხვევაში ვთვლი, რომ "ორლანდო მეჯიქში" ლიგის ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული ცენტრი თამაშობს, თუმცა, საფიქრებელია, რომ დუაიტ ჰოვარდი თავის პირველ სეზონს ატარებს ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში და არავინ იცის, რა დრო დასჭირდება მას ადაპტირებისთვის. რაც არ უნდა იყოს, წლეულს ვერავინ იტყვის, რომ "ორლანდო მეჯიქი" ლიგის ყველაზე სუსტი გუნდია. პირადად ჩემი აზრი კი ასეთია: ფლორიდულ კლუბს არ უნდა გაუჭირდეს პლეი-ოფში მოხვედრა.

**11. "ტორონტო რეფტორზი"** (გასული სეზონი: 33-49)

**სასტარტო ხუთეული:** რაფერ ელსტონი, ვინს კარტერი, ჯალენ როუზი, კრის ბოში, რაფაელ არაუჰო.

ბოლო წლების განმავლობაში "ტორონტო რეფტორზის" წარმატებები მხოლოდ ვინს კარტერზე იყო დამოკიდებული. როგორ იქნება წლეულს? ისევ კარტერის იმედად არის დარჩენილი კანადური გუნდი თუ არა? ვფიქრობ, წლევანდელი სეზონი "რეფტორზისთვის" განსაკუთრებულია. დავიწყოთ იმით, რომ ვინს კარტერი კვლავ ტორონტოშია და გასულ სეზონთან შედარებით უკეთეს ფორმაშია. ამას დაუმატეთ კრის ბოში, რომელიც შარშან პირველ სეზონს ატარებდა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში. ერთი სიტყვით, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ კრის ბოშმა ადაპტაცია წარმატებით გაიარა და ახლა თავის გამოჩენის დრო დადგა. ტორონტოელ რეპტილიებს ერთი ახალწვეული ჰყავთ, რომელზეც კლუბის ხელმძღვანელობა დიდ იმედს ამყარებს. ფიქრობენ, რომ კარტერ-ბოშის დუეტს სწორედ მან უნდა გაუწიოს დახმარება. ეს კალათბურთელი არის რაფაელ არაუჰო. კლუბის ხელმძღვანელობა დიდხანს ეძებდა კარგ ცენტრს და აი, იპოვა კიდეც. არაუჰოს შეუძლია ფარქვეშ კარგად თამაში, ფიზიკურად ძლიერია, მოედნის კარგი ხედვა აქვს და, საერთოდ, კალათბურთის ყველა ელემენტს კარგად ფლობს. გუნდს ასევე ჰყავს კვალიფიციური ფორვარდი დონიელ მარშალი. ჯალენ როუზს, კრის ბოშს და დონიელ მარშალს შეუძლიათ მთლიანად დაიკავონ სამწამიანი ზონა, რაც ფარქვეშ თამაშისას ხელფეხს გაუხსნის რაფაელ არაუჰოს. შეიძლება ითქვას, რომ აღმოსავლეთ კონფერენციის "აუტსაიდერებიდან" პლეი-ოფში გასვლის ყველაზე კარგი შანსი "ტორონტო რეფტორზს" აქვს.

**10. "ატლანტა ჰოუქსი"** (გასული სეზონი: 28-54)

**სასტარტო ხუთეული:** ტონი დელკი, ჯოშ ჩაილდრესი, ელ ჰარინგტონი, ენტუან უოლკერი, ჯეისონ კოლიე.

ატლანტელმა ქორებმა ენტუან უოლკერისა და ელ ჰარინგტონის სახით სერიოზული ძალა შეიმატეს. როგორც ჩანს, "ატლანტა ჰოუქსის" დამრტყმელი ძალა სწორად ეს ორი კალათბურთელი იქნება. ენტუან უოლკერი სნაიპერად არის დაბადებული. მან შარშანდელ სეზონში ადგილი ვერ დაიმკვიდრა "დალას მავერიქსის" სასტარტო ხუთეულში, ხოლო ელ ჰარინგტონი, შეიძლება ითქვას, "ინდიანა პეისერზში" დაიტანჯა - მას არ ჰქონდა საკმარისი სათამაშო დრო, რათა თავისი შესაძლებლობები ბოლომდე გამოემჟღავნებინა. ეს არის ის, რისი იმედიც შეიძლება ჰქონდეს ატლანტურ კლუბს. კლუბში არიან გამოცდილი კალათბურთელები, თუმცა, მათი ვარსკვლავი უკვე ჩაესვენა (ამის ნათელი მაგალითია ცენტრი კევინ უილისი). ერთადერთი, ვისაც შეუძლია თავი გამოიჩინოს, არის ფრანგი ბორის დიაო. აღსანიშნავია, რომ გუნდის ლიდერების - უოლკერისა და ჰარინგტონის შეცვლა არავის ძალუძს. და თუ რომელიმე მათგანმა ტრავმა მიიღო, მაშინ ისედაც სუსტი "ატლანტა ჰოუქსი" კიდევ უფრო დასუსტდება, რაც შეიძლება საბედისწეროც აღმოჩნდეს. საერთო ჯამში, თუ კალათბურთელებს ტრავმების ეპიდემია არ შეეყარა, პლეი-ოფში გასვლაზე ფიქრი შეიძლება სავსებით რეალური იყოს.

**9. "ნიუ-ჯერსი ნეთსი"** (გასული სეზონი: 47-35)

**სასტარტო ხუთეული:** ჯეისონ კიდი, რონ მერსერი, რიჩარდ ჯეფერსონი, აარონ უილიამსი, ჯეისონ კოლინზი.

როგორც ჩანს, "ნიუ-ჯერსი ნეთსის" ეპოქა, რომელიც ამ საუკუნის დასაწყისშივე გამოიკვეთა, დასასრულს უახლოვდება. გუნდმა დაკარგა კენიონ მარტინი, კერი კიტლზი და უარი თქვა ლუშის ჰარისზე. სწორედ ამ კალათბურთელების წყალობით გადიოდა ორი წლის განმავლობაში "ნიუ-ჯერსი ნეთსი" პლეი-ოფში და სუპერფინალში. სწორედ ამის გამო შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ნიუჯერსელი ქსელები წლეულს პლეი-ოფს მიღმა დარჩებიან. ამას ადასტურებს ისიც, რომ კლუბის ხელმძღვანელობამ კალათბურთელთა ხელფასებზე გამოყოფილი ბიუჯეტი 50 მილიონამდე შეამცირა და, რაც ყველაზე მთავარია, შეიმუშავა გეგმა, რომელიც ჯეისონ კიდის გაცვლას გულისხმობს. იმის მიუხედავად, რომ ჯეისონ კიდი და რიჩარდ ჯეფერსონი ისტ რუტერფორდში დარჩნენ, პლეი-ოფში გასვლა მაინც ძალიან ძნელად შესასრულებელ ამოცანად რჩება. სულ დამავიწყდა მეთქვა: არა მგონია, კალათბურთში ალონსო მურნოინგის ფანტასტიკურმა დაბრუნებამ რაიმე გავლენა მოახდინოს კლუბის მომავალზე ან პლეი-ოფში გასვლაზე.

გაგრძელება მომდევნო ნომერში



ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

გულახდილად

# გზააბნეული მომავალი

ცნება - სტუდენტი, სტუდენტობა ყოველთვის ყველაფერ პროგრესულს, ნოვატორულს, წამყვანს, ახლებურს გულისხმობდა. სტუდენტური მასა შორსმჭვრეტელობით, ფართო ხედვით, თავისუფალი აზროვნებით, დოგმების უარყოფით, მეამბოხე სულით, დემოკრატიულობით ხასიათდებოდა. ყოველ შემთხვევაში, ჩემს პირად წარმოდგენაში, სტუდენტი ახალგაზრდა, დამოუკიდებელ, თამამ ძალას ნიშნავდა და დღესაც ნიშნავს. სწორედ ამიტომ, ამ კვირაში უნივერსიტეტში გამართული სტუდენტების შეხვედრა საქართველოს განათლების მინისტრ კახა ლომაიასთან, ჩემთვის საკმაოდ მოულოდნელი, გასაკვირი და გულდასაწყვეტიც კი იყო.





გასაკვირია, როდესაც ხედავ, რომ რეზო მიშველაძის ან გურამ შარაძის და რიგირთი სტუდენტის ხედვა, აზროვნება ერთმანეთს ასე საგანგაშოდ ემთხვევა.

აუხსნელია, როდესაც სტუდენტი რელიგიაზე, განათლების რეფორმაზე, ეროვნულობაზე ერთნაირი ვიწრო და შეზღუდული ხედვით მსჯელობს.

გულსატკენია, როდესაც სტუდენტს, რომელმაც ხვალინდელ საქართველოში უნდა იცხოვროს და იმოღვაწეოს, ყოველივე ახლისადმი ისეთივე უსაფუძვლო აგრესია აქვს, როგორც გუშინდლიდან მოსულ წითელ პროფესორს.

უცნაურია, რომ სტუდენტი მართვადი შეიძლება იყოს და სხვის თამაშს თამაშობდეს.

როგორ დავიჯერო, რომ წლების განმავლობაში სტუდენტობა იმიტომ დუმდა, რომ წინა განათლების მინისტრების ყველაფერი მოსწონდა. თუმცა, კახა ლომაიას წინამორბედი მინისტრები არაფრის შეცვლას არ ცდილობდნენ.

გაუგებარია, სტუდენტს ნებისმიერი პროგრესული ცვლილება რატომ არ უნდა უხაროდეს და რატომ უნდა ეშინოდეს მისი. მითუმეტეს, თუ ეს ცვლილება მის ინტერესებშია.

იმედის მომცემია, როდესაც ხედავ, რომ ამგვარი შეხედულების მქონე სტუდენტები აშკარა უმცირესობას წარმოადგენენ. მათი აგრესია, უინტერესობა, სიჯიუტე მასობრივ პროგრესულობაში იკარგება.

მაგრამ, ერთი-ორი მაინც რატომ?

ისინიც ხომ ჩვენი, შეიძლება გზააბნეული, მაგრამ მომავალია.

# ოღონდ კი იყოს სამადლობელი!

არც ისე დიდი ხნის წინ დანიშნულმა თბილისის მერმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა მისდამი თავდაპირველად არსებული სკეპტიკური დამოკიდებულების შეცვლა, საზოგადოების რწმენის მოპოვება საკმაოდ მოკლე ვადაში რეალური ქმედებების ხარჯზე მოახერხა. შეიძლება ვინმე არ დამეთანხმოს, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ჭიაბერაშვილი გულწრფელად ცდილობს და უნდა, ქალაქს პატრონის ხელი დაატყოს. რასაც ვერაფრით ვიტყვი ქალაქის მთელ მთავრობაზე. დედაქალაქში ნელ-ნელა გზები იგება, ბაღები და პარკები იწმინდება, ნაგავი იყრება, მახინჯი ბილბორდების ნაწილი იჭრება, ვანდალური მშენებლობების მცირედი შეჩერდა და უამრავი სხვა. სამწუხაროდ, თბილისში გასაკეთებელ-გამოსასწორებელი ჯერ კატასტროფულად ბევრია. ზოგადად ჩვენი დედაქალაქი მოუვლელი ქალაქის იერსახეს ინარჩუნებს. თბილისის "პრესტიჟული" უბნების თითქმის ყველა სახლზე დაშენებული ბინების სიმახინჯისა უკანონობას ნამდვილად ყურადღების მიქცევა სჭირდება. მარტო კეკელიძის ქუჩაზე ზემოთ ახედვა, ჭავჭავაძის გამზირზე გასეირნება ან რიგის და ფალიაშვილის ქუჩებზე თავაწეულად და თვალგახელილად ჩავლაა საჭირო, რომ ამგვარი "კანონიერი" დაშენებების უკანონობა-უკულტურობაში დარწმუნდეთ. ჭავჭავაძის გამზირზე, სახანძროსთან, ზედ ტროტუარზე აშენებული და ჩემს მიერ არაერთხელ ნახსენები გაუგებარი, უფუნქციო, უპატრონო ლურჯი შუშის ნაგებობა დღესაც უცვლელად დგას და მის დემონტაჟზე არავინ ზრუნავს. როგორ დავიჯერო, რომ არქიტექტურის ეს "შედევრი" ჩემ მეტს თვალში არავის ხვდება, არავის აწუხებს? ეტყობა, მთლად უპატრონოც არ არის და საკმაოდ ძლიერი ჩრდილოვანი მეპატრონე გააჩნია, რომლის ავტორიტეტი ან ჯიბე მისი კუთვნილების ხელშეუხებლობის გარანტიაა.

თბილისში ყოველდღე პირველ სართულზე მდებარე ბინები იყიდება. ფანჯრები, კარებები იჭრება, კიბეები უშენდება და ახალ-ახალი კაფეები, მაღაზიები იხსნება. თავისთავად, ეს სწორი და ბუნებრივი პროცესია. მაგრამ, აი, რამდენად სწორია, რომ თითოეული ამ ახალგახსნილი მაღაზიის ან კაფეს მფლობელი სახლის ფასადს საკუთარი გემოვნებითა და ხედვით ცვლის. ვისაც რა უნდა, იმას აკეთებს. საკუთარი ობიექტის გარშემო რამდენიმე მეტრის ფასადის ფართს რა ფერებად არ ღებავენ! როგორი კიბეც უნდათ, ისეთს აშენებენ. ფანჯრებს და კარებს ფასადის საერთო ხედის იგნორირებით ჭრიან. ნუთუ თბილისს მთავარი მხატვარი არ ჰყავს, ან თუ ჰყავს, დალტონიკი ხომ არ არის? აბა, სხვანაირად როგორ შეიძლება თბილისის პირველი სართულის ვარდისფერ, ყვითელ, ცისფერ, მწვანე ქიმიურ ფერებად აჭრელება არ აწუხებდეს? ოქროსფერი, წითელი, ლურჯი კიბეები მოწონდეს? თუ ერთ სახლში ხუთი მაღაზიაა გახსნილი, ხუთივეს გარშემო სრულიად განსხვავებული, ურთიერთშეუხამებელი ფერები აქვს შერჩენილი. ისეთი გრძნობა გიჩნდება, თითქოს სოფლის ორღობეში სეირნობ, სადაც ღობეები ყველამ საკუთარი გემოვნების შესაბამისად შეღება.

თბილისში წარმოუდგენლად გადატვირთული მოძრაობის ფონზე ფეხით მოსიარულეთა ქუჩის გადასვლის მხოლოდ ჩვენებური სტილი, მანქანებს შორის ბოდიალი არა და არ შეცვლილა, რაც ნაწილობრივ იმის ბრალია, რომ მიწისქვეშა გადასასვლელები ჯერაც არ არის მოწესრიგებული და სიცოცხლისთვის უსაფრთხო. ფეხით მოსიარულეების მანქანის სავალ ნაწილზე თბილისური ზანტი, აუჩქარებელი სეირნობა არა მხოლოდ გამოჩენის სურვილით ან ელემენტარული უკულტურობით, არამედ ტროტუარების საგანგაშო მდგომარეობითაც აიხსნება. მაგალითად, რამდენიმე დღის წინ, შესანიშნავი თბილი ამინდი იყო და ბარნოვის ქუჩაზე ფეხით გავლა გადავწყვიტე. ტროტუარზე ფეხით სეირნობა აზრადაც არ მქონდა, მაგრამ ხუთი წუთის გავლის შემდეგ მივხვდი, რომ ან ფეხს, ან კისერს, ან, საუკეთესო შემთხვევაში, ფეხსაცმლის ქუსლს მოვიტეხავდი და მანქანის სავალ ნაწილზე გადასვლა ვამჯობინე. ტროტუარები, ასფალტის საფარის მდგომარეობა არაცენტრალური ქუჩების პრობლემა უფროა, მაგრამ რომელ ქუჩაზე მოიტეხავ კისერს ან მანქანა ბარნოვზე დაგარტყამს თუ რუსთაველის გამზირზე, რა მნიშვნელობა აქვს? ამ ყველაფრის პარალელურად თბილისის ნებისმიერი, ცენტრალური და არაცენტრალური ქუჩების განათებაზეც რომ ვინმემ იზრუნოს, ურიგო ნამდვილად არ იქნებოდა.

თბილისის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია გასუფთავდა. გარევაჭრობის უბადრუკი პატარ-პატარა ჯიხურები, ფიცრულები, დახლები, თაროები, რთული კონსტრუქციები და მუყაოს უბრალო ყუთები ერთი პერიოდი კი აალაგეს, მაგრამ ახლა, ნელ-ნელა ისევ უკან ბრუნდება. ესეც მერიის ყურადღების ღირსია.

მარშუტკების რაოდენობამ არამცთუ იკლო, მე მგონი, იმატა კიდეც. ყველასათვის ასეთი მოსაწონი საპატრულო მანქანების მიუხედავად, სამარშრუტო ტაქსების ტარების მანერამ, ყოველგვარი წესების იგნორირებამ, ხელოვნური საცობების შექმნამ და ერთი ზედმეტი მგზავრის გამო წარმოუდგენელი ვირაჟების კეთებამ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა. არ ვიცი, თითქოს გვპირდებიან, რომ ამ პრობლემას მიხედავენ. ვნახოთ! ისევ და ისევ ჭიაბერაშვილის იმედად თუ ვიქნებით.

ყველაფერს, რაც თბილისში სასწრაფოდ გასაკეთებელი და ყურადღების მისაქცევია, ნამდვილად ვერც კი ჩამოვთვლი, არც გამახსენდება. დარწმუნებული ვარ, რომ ამ წერილის წაკითხვის შემდეგ. თბილისის ყველა მაცხოვრებელს თავისი ინდივიდუალური შემჩნევა, შესწორება, დამატება ექნება. თბილისში განსაკუთრებული, მართლაც, უამრავია. მონდომებისა და ენთუზიაზმის მიუხედავად, მარტო ჭიაბერაშვილი ამ ყველაფერს ვერ გაწვდება. აუცილებლად ვინმე მხარში უნდა ამოუდგეს. "სოფლის შენებას რა უნდა?" რა უნდა და ნაკლები ლაპარაკი, მეტი პასუხისმგებლობა, სიყვარული და ხალისი. საზოგადოება კი, მერწმუნეთ, გაკეთებულს არავის დაუკარგავს. ერთი ათად დაუნახავს და დაუფასებს. მადლობის თქმას რა უნდა? არაფერიც არ უნდა. ოღონდ კი იყოს სამადლობელი!

# თქვენც ხომ არ დათვერით?

"პრეზიდენტს აქ რა უნდოდა, კაცო?!" - რუსული მასმედიის წარმომადგენელთა ჯგუფის კახეთში რთველზე გასეირნებამ ერთ უბრალო, ალალ-მართალ კახელ გლეხში ასეთი აზრი გამოიწვია. ამ კონკრეტულ შემთხვევაში მეც ბოლომდე ამ გლეხის აზრს ვიზიარებ და ვეთანხმები. მუცლების ამოვსების, სმა-ჭამის ამ ღრეობაში საქართველოს პრეზიდენტს მართლაც რა უნდოდა? პრეზიდენტს კი არა, მთავრობის სხვადასხვა წევრებს, მინისტრებსაც რა უნდოდათ? არ ვიცი, შეიძლება მე მეშლება და ზედმეტად ვაზვიადებ, მაგრამ წინა კვირას კახეთში გამართულმა გასვლითმა "აქციამ" საკმაოდ გამაღიზიანა.





საქართველოს ისტორიის საბჭოური ათწლეულების განმავლობაში რუსეთის საზოგადოების საუკეთესო ნაწილი, მასმედიის, კულტურის, მეცნიერების, პოლიტელიტის წარმომადგენელთა არმიები სტუმრად სისტემატურად ჩამოდიოდნენ და ჩვენ, ქართველები, მათ ყოველთვის შეძლებისდაგვარად ერთნაირი სტუმარმასპინძლობით ვხვდებოდით. ვცდილობდით კახეთში წაგვეყვანა, საუკეთესო ღვინო, მწვადი მიგვერთმია და განუმეორებელი ქართული სიმღერა მოგვესმენინებინა. ასეთია ქართველების სტუმართმოყვარეობის ძველი ადათწესი. თუმცა, რუსი სტუმრების უმეტესობის ადათი კი, სამწუხაროდ, სულ სხვაა. ისინი ერთნაირი, უცვლელი დაუნახაობითა და უმადურობით გვპასუხობდნენ და კლიმატურად ცივ, უყურძნო, უღვინო, უჩურჩხელო, უმწვადო და რაც მთავარია, უმზეო სამშობლოში კიდევ უფრო გაღიზიანებულები ბრუნდებოდნენ. ქართული ღვინის გემოს ბოლომდე იმახსოვრებდნენ და როგორც კი საქართველოს ოდნავ მაინც გაუჭირდებოდა, მათი მეგობრულ-მეზობლური მხარდაჭერა დასჭირდებოდა, ხელსაყრელ მომენტს ხელიდან არ უშვებდნენ, რომ "мне стыдно за дни проведенные в Грузии" არ ეთქვათ.

დღეს, როდესაც რუსეთთან ახალი ტიპის კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას ყველანაირად ვცდილობთ, მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით საპასუხოდ ისევ და ისევ იმავე ტრადიციულ დაუნახაობას ვეჯახებით, მესმის, რომ რუსული მედიის მოწვევა, სიამოვნება, გამასპინძლება და ამით რუსეთის საინფორმაციო ველის ჩვენს ინტერესებში გაუმჯობესების მცდელობა, შეიძლება დროული და მიზანშეწონილი იყოს. ისიც ყველამ შესანიშნავად ვიციით, რომ ჯერ ისეთი რუსი არ დაბადებულა, რომელიც დასალევზე, მითუმეტეს ნატურალურ კახურ ღვინოზე უარს იტყვის. ამიტომ, სავსებით ბუნებრივია, რომ რუსი ჟურნალისტები შემოდგომაზე საქართველოში საიამოვნებით ჩამობრძანდნენ, კახეთში ხალისით გავარდნენ, ბევრი ჭამეს, კიდევ უფრო ბევრი დალიეს, ჩურჩხელები ამოავლეს და ბალახზე წამოგორებულებმა (ფეხზე ველარ იდგნენ) ბრუდენშაფტზე ყანწებით ჩვენი, როგორც "უნიკალური ერის" სადღეგრძელო დალიეს. კი ბატონო, ღმერთმა შეარგოთ და მერე რა? ნუთუ, ვინმე მართლა სერიოზულად ფიქრობს, რომ მოსკოვში დაბრუნებული, სიცივისგან გამოფხიზლებული ჟურნალისტები მაინც იმას არ იტყვიან, რასაც მათგან რუსეთის დღევანდელი იდეოლოგია, პოლიტიკა მოითხოვს? ნუთუ, მართლა გვჯერა, რომ მწვადით ან ხაშლამით პირს დავუტკბობთ? ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ყველაფერი პირიქით იქნება. რაც უფრო კარგი იყო ხინკალი, ღვინო და ჭაჭა, რომლითაც მათ პეტრე ცისკარიშვილი (დავიჯერო, მეტი საქმე არა აქვს?) უმასპინძლდებოდა, მით უფრო მეტად მოინდომებენ, რომ ჩვენი მდიდარი, უხვი, კოლორიტული ქვეყანა მათ "სასადილო-სანადიმოდ" დიდხანს შეინარჩუნონ.

მთელი დღის განმავლოაბში საქართველოს ყველა წამყვანი ტელეკომპანია მთავარი საინფორმაციო გადაცემების მეშვეობით პირამოვსებულ, ღეჭვის პროცესში მყოფ რუსებს გვაჩვენებდა. თითქოს ამაზე მნიშვნელოვანი, საინტერესო საქართველოში იმ დღეს არაფერი მომხდარა. ნუთუ ეს ვიზიტი მართლაც ისეთი სერიოზული დატვირთვის მქონე იყო, რომ მინისტრებიდან დაწყებული, თვით ბადრი პატარკაციშვილით დამთავრებული, ყველამ ამისთვის მოიცალა? ნუთუ, საქართველოში ისეთი ადამიანები გამოილია, რომლებიც კახეთში რთველზე ჩასულ სტუმრებს ბადრი პატარკაციშვილზე უფრო ლოგიკურად, შესაფერისად და უკეთ გაუმასპინძლდებოდა? მე პირადად, კახეთში პატარკაციშვილის მიერ მასპინძლობას მედიკო მეზვრიშვილის მიერ მასპინძლობას ვამჯობინებდი. ულვაშები ერთსაც აქვს და მეორესაც. უბრალოდ, ერთს უფრო ქართული, შავი. კახეთი, რთველი, კახური პურ-მარილი, ნამდვილი კარგი ღვინის გემო და სადღეგრძელოები კი, დარწმუნებული ვარ, მეზვრიშვილმა ნამდვილად უკეთ იცის. ვერაფრით დავიჯერებ, რომ მასპინძლის ეს გაუგებარი კანდიდატურა კახეთის უბადლოდ ცოდნის, ხელგაშლილობის, სტუმართმოყვარეობის, ან ენაწყლიანობის პრინციპით შეირჩა. საერთოდ, საინტერესოა, რუსული მედიის ველის ქართული ღვინით გაუმჯობესების სტრატეგიული გეგმა ვისი იდეაა, რომელმა სამინისტრომ შეიმუშავა? დარწმუნებული ვარ, არა კულტურის, იმიტომ, რომ ამ ვოიაჟს რა-რა და კულტურულობის არაფერი ეტყობოდა.

სამწუხაროდ, წარსული ათწლეულების განმავლობაში არაერთი ასეთი გასეირნება, ვახტანგურად დალეული ბრტყელ-ბრტყელი სადღეგრძელო, ნაწლავებგადახლართული სტუმარი გვინახავს, მაგრამ არც ერთ მათგანს, როგორც წესი, მადლობა არ უთქვამს და მითუმეტეს, არანაირი "ველი" არ გაუუმჯობესებია. სად იყო კახეთში წლების მანძილზე გამძღარნასვამი რუსული "პროგრესული" საზოგადოება 9 აპრილის, აფხაზეთის, ოსეთის, აჭარის ან უამრავი სხვა, ჩვენთვის ასეთი მნიშვნელოვანი, მტკივნეული და მხარდასაჭერი მოვლენების დროს? უკეთეს შემთხვევაში, უბრალოდ, სდუმდნენ. უფრო ხშირად კი მხოლოდ იმას ამბობდნენ, რაც საქართველოში ერთხელ მაინც ნამყოფმა გულწრფელმა, ობიექტურმა და მადლიერმა ადამიანმა ვერ უნდა თქვას. საინფორმაციო გადაცემების მეშვეობით ახლა კახეთიდან მოკითხვებს რომ გვითვლიან და კომპლიმენტებს გვეუბნებიან, ბოლო პერიოდში გამწვავებული რუსულ-ქართული ურთიერთობისას ხმა რატომ გაიკმინდეს? მაშინაც პირები მწვადით ჰქონდათ გამოვსებული და ღეჭავდნენ? აი, ხომ გაირკვა, რომ სავსე პირით ლაპარაკი სრულებითაც არ ეთაკილებათ და მათი ზრდილობის ნორმებს შეესაბამება.

ჩემი აზრით, ძალიან გულსატკენია, როდესაც ხელისუფლების, ცნობილი ადამიანების მხრიდან ასეთ პროვინციულ მაამებლობას ხედავ. რიგითი ჟურნალისტების დასაპურებელ-გასაჩუმებლად ჩემი ქვეყნის მთავრობამ, წამყვანმა ტელეარხებმაც კი მოიცალეს, დრო გამონახეს. შემოდგომაზე კახეთში ასეთი დაკავებული გლეხები საქმეს მოწყვიტეს და ოქროს წუთები პამპულობასა და ვიღაცის მომსახურებაში დააკარგვინეს. რუსი სტუმრები დაათვრეს, გაართეს, უმღერეს, სახე დააკარგვინეს და ახლა ისიც მოინდომეს, რომ ეს ე.წ. "აქცია" იდეოლოგიურ-სტრატეგიული მნიშვნელობით მოგვაწოდონ და დაგვაჯერონ.

ქეიფი გინდათ? იქეიფეთ! დალევა გინდათ? დალიეთ! რუსი მეგობრები გყავთ? ჩვენც. სტუმრების გამასპინძლება გიყვართ? ჩვენც. მაგრამ რიგითი პურ-მარილის ამგვარი სპეკულატიური პოპულარიზაცია რა საჭიროა? ნუთუ, მართლა ფიქრობთ, რომ დღეიდან თქვენი ახალი მეგობარი ჟურნალისტები, რომლებმაც თავისი ქვეყნის რეალობა ვერ აღიარეს, "ნორდ ოსტზე", "ბესლანზე" ხმის ამოღება და სიმართლის თქმა ვერ გაბედეს, ქეიფს დაგიფასებენ, მალდობას გადაგიხდიან, საინფორმაციო ველს გაგიუმჯობესებენ, ობიექტურად იმას დაწერენ და იტყვიან, რაც საქართველოში ქეიფის გარეშეც შესანიშნავად ჩანს? პირველივე კრიტიკულ მომენტში კახეთს, ყურძნის მტევნებს და მასპინძლებს გაიხსენებენ და მხარში ამოგვიდგებიან.

რა მოგივიდათ, თქვენც ხომ არ დათვერით?

# ტერორიზმის სათავეები

ლაშა ბაქრაძე

*ვფიქრობ, საკმარისი დრო გავიდა ბესლანის ტრაგედიის შემდეგ, რომ ეიფორიისა და ყალბი პოლიტიკური კორექტულობის სურვილის გარეშე კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი ტერორიზმისა და განსაკუთრებით თვითმკვლელი ტერორისტების ისტორიას, რომლის შესახებაც უფრო მეტი ზღაპრები გვსმენია, ვიდრე რეალური ფაქტები.*



ვერა ზასულიჩი



მარია სპირიდონოვა



სოფია პეროვსკაია

### შაჰიდი

"მიცანით?" ჰკითხა მშვენიერმა მწვანეთვალება ახალგაზრდა ქალმა რუს გენერალ რასულ გაჯიევს 2000 წლის 10 ივნისს ურუს-მარტანის სამხედრო კომენდატურის წინ. გენერალი შეჩერდა, მაგრამ პასუხის გაცემა ველარ მოასწრო. საშინელი აფეთქების ხმა გაისმა. გენერალი, მისი რვა მცველი და ახალგაზრდა ქალი, სახელად ასია გასუევა, ყუმბარამ ნაფლეთებად აქცია.

ოცდაორი წლის ურუს-მარტანელი ასია გასუევა პირველი ჩეჩენი თვითმკვლელი ქალი იყო. ჩეჩნეთის მეორე ომის დაწყების შემდეგ, თითქმის ერთი წლის განმავლობაში, ასია გასუევას რუსებმა თექვსმეტი უახლოესი ნათესავი და უამრავი ახლობელი მოუკლეს, მათ შორის ქმარი, ორი ძმა, ერთი და, ბიძაშვილები და მამიდაშვილები.

ბრძოლაში დაჭრილი ასიას ქმარი რუსებს ტყვედ ჩაუვარდათ ხელში. ურუს მარტანის სამხედრო კომენდანტი გენერალი გაჯიევი იმავე დღეს ეწვია დაჭრილს საავადმყოფოში და ზედმეტი ლაპარაკის გარეშე ხიშტი ჩაასო გულში. ამის შემდეგ ასიამ ორჯერ შეაღწია კომენდანტამდე ქმრისა და ძმის გვამების გამოსათხოვად, მაგრამ მკაცრი "ნაჩალნიკის" გულის მოლბობა ვერ შეძლო. მეორე შეხვედრისას გაჯიევი მას დაემუქრა, რომ თუ ასია კიდევ ერთხელ გაბედავდა მასთან შეხვედრას, ცოცხლად ჩაფლავდა მიწაში. ასია გასუევა ორი კვირით ქალაქიდან გაქრა, 10 ივნისს უკან დაბრუნდა და კიდევ ერთხელ შეხვდა გაჯიევს.

ასეთ ქალებს რუსულმა პრესამ ზიზღნარევი სახელი, "შავი ქვრივები" მოუგონა, გაჯიევებს კი გმირებს უწოდებენ. რუსული მედიებისა და მათ მიერ მანიპულირებული ხალხის თვალში ისინი ფუნდამენტალისტური ისლამური იდეოლოგიის მეშვეობით ზომბებად არიან ქცეულნი. ყოველგვარი ბოროტების ისლამიზმზე გადაბრალება, მსოფლიოში არსებული ანტიტეროსტული და ხშირად (შეფარვით მაინც) ანტიისლამური პროპაგანდის ფონზე, ყველაზე ადვილი გამოსავალია. ასია გასუევა, ისევე როგორც ასობით ჩეჩენი, რომლებაც მის მაგალითს მიბაძეს, არც ისლამისტი ყოფილა და არც ბავშვობიდან ნატრობდა თავის აფეთქებას.

ამ თავგანწირული აქტის წინ შეიძლება ასია გასუევას ასეც ელოცა: "მოხედე მათ ამპარტავნობას და თავს დაათიე შენი რისხვა. მიეც ქვრივის ხელებს ძალა განზრახვის აღსასრულებლად. ... რადგან სიმრავლეში არ არის შენი ძალა, არც ძლიერებაშია შენი ძალა, არამედ მდაბალთა ღმერთი ხარ, დამცირებულთა ქომაგი, უძლურთა შემწე, განწირულთა მფარველი, უსასოთა მხსნელი." ასე ლოცულობდა პირველი ტერორისტი ქალი - ბიბლიური ივდითი (ივდ. 9, 9-11), ათასწლეულებით ადრე. ივდითმა ასირიელთა სარდალი ოლოფერნე მოკლა და თავისი ერი იხსნა. მისი გმირობის ისტორია შემოგვინახა ებრაელთა და ქრისტიანთა წმინდა წიგნმა.

11 სექტემბერმა გააადვილა რუსული პროპაგანდისთვის დამალოს ჩეჩნეთის ტრაგედიის საწყისი და მიზეზი: რუსეთის მიერ წარმოებული ტოტალური, ტერორისტული ომი ჩეჩენი ხალხის წინააღმდეგ. სადაც ბესლანში დაღუპულ ბავშვებს გავიხსენებთ, იქ ათასობით დახოცილი ჩეჩენი ბავშვიც უნდა გვახსოვდეს.

### რუსული ტერორის დიდი ტრადიცია

კარგი იქნებოდა რუს პროპაგანდისტებს, სანამ ტერორიზმის მათთვის უცხო და გაუგებარ ისლამურ ფესვებზე დაიწყებდნენ ფილოსოფოსობას ტერორიზმის საკუთარი, რუსული დიდი ტრადიციაც გაეხსენებინათ.

ტერორიზმი, თანამედროვე გაგებით, მე-19 საუკუნის პროდუქტია. დესპოტიის წინააღმდეგ ამ მეთოდით ბრძოლაში განსაკუთრებით რუსები გამოირჩეოდნენ. ეს გასაკვირი არაა. ცარისტული რეჟიმი სხვა, დემოკრატიული და არადესტრუქციული მეთოდებით ბრძოლის საშუალებას არ უტოვებდა ოპოზიციურად განწყობილ ძალებს.

1869 წლის გაზაფხულზე ჟენევაში უცნობი ახალგაზრადა კაცი მიხაილ ბაკუნინს გაეცნო. მან ანარქიზმის დიდ ბელადს თავი ერთ-ერთი ყველაზე დიდი რუსული იატაკქვეშა ორგანიზაციის ხელმძღვანელად წარუდგინა. ამის დოკუმენტიც აქვს სერგეი ნეჩაევს (1847-1882), მაგრამ ყველაფერი ყალბია, ისევე როგორც მის მიერ მოგონილი ისტორია, რომ ის დაჭერილი იყო და ციხიდან გამოიქცა. ამ დროისთვის ნეჩაევს ერთი წელი ჰქონდა ნასწავლი უნივერსიტეტში და მცირე გამოცდილება მიღებული რევოლუციურ უჯრედებში მოღვაწეობისა. რაც არ იყო ყალბი ნეჩაევში, მისი რევოლუციური ენერგია და შემართება, დაჩაგრული რუსი ხალხის გათავისუფლებისთვის ბრძოლის სურვილი გახლდათ.

ბაკუნინი აღტაცებული იყო ახალგაზრდა კაცით. ბაკუნინის ხელშეწყობითა და ხელდასხმით, მის ანარქისტულ თეორიებზე დაყრდნობით ოცდაორი წლის სერგეი ნეჩაევმა რამდენიმე პატარა წიგნაკი, მათ შორის ტერორისტული ტექნიკისა, მეთოდისა და ორგანიზირების, ტერორისტის იდეურობის თეორიული საფუძველი "რევოლუციონერის კატეხიზმო" დაწერა.

"1. რევოლუციონერი განწირული ადამიანია. ...

2. რევოლუციონერმა იცის, თავისი არსის სიღრმეში, რომ მან არა მხოლოდ სიტყვით, არამედ საქმითაც, ყველა ძაფი გაწყვიტა, რომელიც მას საზოგადოებრივ წესრიგთან და განათლებულ სამყაროსთან და ამ სამყაროს ყოველ კანონთან, ჩვევებთან, საზოგადოდ მიღებულ კონვენციებთან და მორალურ შეხედულებებთან აკავშირებდა. ის ამ სამყაროს უკომპრომისო მტერია, და თუ ის მასში ცხოვრებას აგრძელებს, მხოლოდ იმისთვის, რომ ყველაფერი ეს რაც შეიძლება უფრო ჩქარა გაანადგუროს.

3. რევოლუციონერს ეზიზღება ყველა დოქტრინა და უარყოფს მშვიდობიან მეცნიერებებს, რომელთაც ის მომავალ თაობებს გადაულოცავს. ის იცნობს მხოლოდ ერთ მეცნიერებას: ნგრევის მეცნიერებას." და ა.შ.

მორალურად გამართლებულია ყველაფერი, რასაც რევოლუციამდე მივყავართ - ტყუილი, გამოძალვა, ძალაუფლების წარმომადგენელთა მოკვლა და, თუ ეს საჭიროა, უდანაშაულო ადამიანთა სიკვდილიც, საერთოდ ტოტალური განადგურება. მიზანი არის არა მარტო ძალაუფლების წინააღმდეგ ბრძოლა, არამედ ხელისუფლების პროვოცირება სისასტიკისკენ. ამ სტრატეგიის შედეგი უნდა იყოს "ხალხის ტანჯვისა და უბედურების ზრდა და გაფართოება, რაც მას მოთმინებას დააკარგვინებს და საერთო აჯანყებისკენ უბიძგებს."

"ორი ნაბიჯის" ტაქტიკის მიხედვით პირველადი მიზანი არის არა სამყაროს გაკეთილშობილება, გაუმჯობესება, არამედ გაუარესება, რადგანაც ამ გზით ბევრად უფრო ადრე მივაღწევთ მიზანს - ხალხის დაუმარცხებელ და ყველაფრის დამანგრეველ ძალად შეკვრისა, ვიდრე მშვიდობიანი პროპაგანდითა და აგიტაციით. რეჟიმის მოსანგრევად კი საჭიროა კონსპირაციული, მტკიცე ქსელი პატარ-პატარა უჯრედებისა, რკინის დისციპლინით და ერთიანი ხელმძღვანელობით."

ნეჩაევმა მოკლედ და სხარტად ჩამოაყალიბა ტერორიზმის იდეოლოგია და მეთოდიკა, თორემ მანამდეც ბევრი იყო მსგავსი იდეებით შეპყრობილი და პრაქტიკაშიც უფრო გამოცდილი, თვითონ ბაკუნინზე რომ არაფერი ვთქვათ, თუნდაც ფრანგი ოგუსტ ბლანკი ან გერმანელი კარლ ჰაინცენი (1809-1880), რომელიც ევროპის 1848 წლის რევოლუციის დროს წერდა: "და თუ შენ ნახევარი კონტინენტის აფეთქება დაგჭირდება და სისხლის ზღვის დაყენება მოგიწევს ბარბაროსთა პარტიის გასანადგურებლად, ნუ გექნება სინდისის ქენჯნა." საფრანგეთის რევოლუციის (1792 წ.) დროს გრახუს ბაბეფიც ირწმუნებოდა, რომ "ტირანებთან ბრძოლაში ყველა საშუალება კანონიერია." მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში გამძაფრებული ნიჰილიზმი ნგრევაში დიდ აღმშენებლობით ძალას ხედავდა. იატაკქვეშეთიდან ძალადობის სისტემატურ გამოყენებას იდეოლოგიურად გამტკიცებულ სტრატეგიის ჩარჩოებში მაშინ "საქმით პროპაგანდას" უწოდებდნენ, დღეს კი ამას უბრალოდ ტერორიზმი ჰქვია. "ზოგჯერ ზოგიერთი საქმე უფრო პროპაგანდისტულია, ვიდრე ათასობით ბროშურა"- ამბობდა ბაკუნინი.

არსად ისეთი წარმატებული არ ყოფილა ტერორისტული ტაქტიკა, რომელიც ნახევარი საუკუნის განმავლობაში რუსული რევოლუციური მოძრაობის განუყოფელი ნაწილი იყო, როგორც რუსეთში. ცარიზმმა ვერ შეძლო ტერორიზმის დამარცხება. ტერორიზმმა მას საბოლოო ჯამში ბოლო მოუღო. ხოლო მათ, ვინც რევოლუციის საშუალებით ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს, ტერორიზმი ახალ საფეხურზე აიყვანეს, - ტერორიზმი სახელმწიფოს მართვის ერთ-ერთ ქვაკუთხედად იქცა.

რევოლუციური საბჭოეთის მემკვიდრის - თანამედროვე რუსეთის ხელისუფლების თავში სახელმწიფო ტერორიზმის ტრადიცია ისევ ცოცხალია.

1869 წლის შემოდგომაზე ნეჩაევი დაბრუნდა რუსეთში, ჩამოაყალიბა საიდუმლო ორგანიზაცია "სახალხო ანგარიშსწორება" და შეუდგა თავისი თეორიის პრაქტიკად გადაქცევას. ერთადერთი, რაც მისმა ორგანიზაციამ შეძლო, იყო ორგანიზაციის წევრის, სტუდენტ ივანოვის მკვლელობა. მას ეჭვიანმა ნეჩაევმა ღალატში დასდო ბრალი, როგორც შემდეგში აღმოჩნდა სრულიად უსაფუძვლოდ. "ივანოვის საქმემ" მთელი რუსეთი შეძრა, დოსტოევსკის კი "ეშმაკნის" (**Бесы** -ს ცოტა არ იყოს უხერხული, მაგრამ მიღებული თარგმანი) დაწერისაკენ უბიძგა. სერგეი ნეჩაევი, რომელსაც დოსტოევსკისთან პიოტრ ვერხოვენსკი ჰქვია, რომანის ერთ-ერთი მთავარი გმირია. 1873 წელს, როცა დოსტოევსკის რომანი გამოიცა, მისმა კრიტიკულმა დამოკიდებულებამ ნეჩაევშჩინისადმი "პროგრესული რუსული საზოგადოება" გააღიზიანა და ავტორს რეაქციონერობა დასწამეს.

პროგრესული რუსული საზოგადოების დიდი გამარჯვება იყო, როდესაც პეტერბურგის გუბერნატორის მკვლელი ვერა ზასულიჩი 1878 წელს სასამართლომ გაამართლა, რადგანაც მკვლელობა გამოწვეული იყო სამართლიანობის გრძობითა და კეთილშობილი მოტივებით". გუბერნატორის მკვლელობა ახალგაზრდა რევოლუციონერმა გადაწყვიტა მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა პატიმარი სცემა და გაამათრახებინა.

ნეჩაევის გამო, ივანოვის საქმესთან დაკავშირებით, სამასამდე ადამიანი დაიჭირეს. თვით ნეჩაევმა კი 1869 წლის დეკემბერში ევროპაში გაქცევა მოახერხა, ლონდონში ჟურნალ "ობშჩინასაც" გამოსცემდა. მიუხედავად იმისა, რომ ნეჩაევისადმი ნდობა და სიმპათია აღარავის ჰქონდა, მისმა ციურიხში დაკავებამ და 1872 წელს რუსეთისთვის გადაცემამ რუსულ ემიგრაციაში დიდი აღშფოთება და პროტესტი გამოიწვია. შვეიცარიაში მყოფი რუსი სტუდენტები, განსაკუთრებით კი ქალები, სწავლის მაგივრად პოლიტიკური დისკუსიებით იყვნენ დაკავებულნი. შვეიცარია, უპირველეს ყოვლისა კი, ციურიხი და მისი "პოლიტექნიკუმი" და უნივერსიტეტი, რუსული ტერორიზმის კადრების სამჭედლოდ იქცა. საიდუმლო ლაბორატორიებში ყუმბარების კეთებას სწავლობდნენ, ციურიხის მთა და გარეშემო ტყეები ყუმბარების სროლის პოლიგონად იქცა ოთხმოციან წლებში.

რუსეთში ნეჩაევს 25 წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. საპყრობილეში მან სულ ცოტა ხანში მოახერხა მეციხოვნეთა და ჯარისკაცთა გარევოლუციონერება. ისინი ნეჩაევს "ჩვენს არწივს" უწოდებდნენ, ხელს უწყობდნენ მის მიმოწერას და შეხვედრას ახლად შექმნილი ტერორისტული ორგანიზაციის "ნაროდნაია ვოლიას" წარმომადგენლებთან. ტერორისტებს მისი გათავისუფლება უნდოდათ, მაგრამ "გურუმ" ურჩია იმპერატორის მოსაკლავად მიემართათ მთელი ძალისხმევა.

1861 წლის გლეხთა უსულგულო გათავისუფლებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია რუსეთში. 60-იანი წლების ნიჰილზმი იყო საზოგადოების პასუხი "კეთილისმყოფელი" იმპერატორი ალექსანდრე მეორის არათანმიმდევრულ რეფორმებზე. "მიძინებული ხალხის გამოსაფხიზლებლად" დიმიტრი კარაკოზოვმა 1866 წლის 4 აპრილს "საქმით პროპაგანდას" მიმართა. იმპერატორის მკვლელობის მცდელობამ უშედეგოდ ჩაიარა. ხალხიც არ გამოფხიზლდა. ხალხში ჭორები დადიოდა, რომ იმპერატორს ბატონყმობის გაუქმებით ნაწყენმა მემამულემ ესროლა. იმპერატორის კანცელარიის III განყოფილება, ანუ პოლიტიკური პოლიციის ხელმძღვანელობა, რუსული ტრადიციისამებრ თვლიდა, რომ იმპერატორზე ხელის აწევა ერთმა მუჭა ნაძირალებმა - "ძირითადად, რუსებმა" გაბედეს, მაგრამ ისინი პოლონური პროპაგანდის გავლენის ქვეშ იყვნენ მოქცეულნი. დასავლეთი ყოველთვის იყო და იქნება რუსეთის ძირითადი მტერი. რუსეთი ყოველთვის გარეთ ეძებდა მტერს. ყველაფერი ცუდი უცხოეთიდან შედის "წმინდა რუსეთში".

პოლონელები მართლაც იყვნენ პოლიტიკური ტერორის წამომწყებნი იმპერიაში. 1862 წელს, კიდევ ერთი პოლონური აჯანყების დროს, პოდპორუჩიკმა პოტებნიამ ესროლა გენერალ-ადიუტანტ ლიდერსს, მეფისნაცვალს პოლონეთში. რამდენიმე დღის შემდეგ თავს დაესხნენ ახალ მეფისნაცვალს, დიდ მთავარ კონსტანტინეს.

"ხალხის გამოსაფხიზლებლად" სოფლებისკენ დაძრული რუსული ინტელიგენცია მალე გამოფხიზლდა. ცხადი გახდა, რომ "ხალხში სიარულს" შედეგი არ მოჰქონდა. თვითმპყრობელობითა და საკუთარი ხალხით გულგაცრუებულმა განათლებულმა რუსეთმა ისევ დაინახა ცენტრალიზირებული საიდუმლო ორგანიზაციის შექმნის აუცილებლობა. ვერა ზასულიჩის გამართლებამ ფრთები შეასხა ტერორისტთა ახალ თაობას. იმპერია პანიკამ მოიცვა. მაგრამ ახალ-ახალმა დრაკონულმა კანონებმა და პოლიტიკური პოლიციის თუ ადგილობრივი ხელისუფლების თვითნებობამ ტერორის ტალღა ვერ შეაჩერა. 1879 წელს სამი წლის წინ შექმნილი "ზემლია ი ვოლია" გაიყო. "ნაროდნაია ვოლიას" წარმოშობა ახალი საფეხური იყო თვითმპყრობელობასთან ბრძოლის გზაზე. მათ პროგრამაში ეწერა, რომ ტერორი იარაღია მთავრობის შესაშინებლად და ხალხის აგიტაციისთვის. იზიარებდნენ რა პიოტრ ტკაჩევის აზრს, რომ რუსეთის მონარქია ჰაერში კიდია და არც ერთ საზოგადოებრივ ფენაში მას საყრდენი არა აქვს, "ნაროდოვოლცები" თვლიდნენ, რომ იმპერატორის მოკვლა სისტემასაც დაშლიდა.

რუსული ტერორის ერთ-ერთ მამას, პიოტრ ტკაჩევს (1844-1886) ეკუთვნის სტატია დამახასიათებელი სათაურით: "ტერორიზმი როგორც რუსეთის ზნეობრივი და საზოგადოებრივი აღორძინების ერთადერთი საშუალება", რომელიც იმპერატორზე წარმოებული "ნადირობის" წარმატებულად დამთავრების შემდეგ დაისტამბა.

1881 წლის 1 მარტს იმპერატორი ალექსანდრე II მოკლეს.

"იმპერატორი-განმათავისუფლებელის" აღსასრული თუ არ გაუხარდათ, დიდად არც არავის წყენია. ეს მერე შეითხზა ლეგენდები - ალექსანდრე II-ს, რომ დაცლოდა, რუსეთს დემოკრატიის გზაზე შეაყენებდაო.

3 მარტს ხელმწიფის სიკვდილის გამო შავარშიაშემოვლებული გაზეთი "დროების" პირველივე გვერდზე მოთავსებულია აკაკის ლექსიც "გაზაფხული".

"დღეს მერცხალი შემოფრინდა, -
ჭიკჭიკითა გადმომძახა:
"გაზაფხული! გაზაფხული!"
გულს იმედი დამესახა. ..."

იმედი გაცრუვდა. თვითმპყრობელობა არ დაინგრა და ტერორიც გაგრძელდა.

იმპერატორის მკვლელობის სულის ჩამდგმელი სოფია პეროვსკაია და მისი თანამონაწილენი სიკვდილით დასაჯეს. ასობით ადამიანი ციხეებსა და გადასახლებაში მოხვდა, მაგრამ არ გასულა 6 წელიც და ახალი თავდასხმა მოხდა ახალ იმპერატორ ალექსანდრე III-ზე. ტერორისტები სიკვდილით დასაჯეს, მათ შორის, საშა ულიანოვიც, პატარა ვალოდიას, შემდეგში დიდი ლენინის უფროსი ძმა.

ნეჩაევი მოესწრო საძულველი ტირანის - ალექსანდრე II-ის მკვლელობას, ვერ მოესწრო გათავისუფლებას. ის 35 წლის ასაკში ტუბერკულიოზით გარდაიცვალა ციხეში, მაგრამ, როგორც წინათ იტყოდნენ ხოლმე, "მისი საქმე ცოცხალია". ტერორისტების თაობებზე რუსეთსა და რუსეთს გარეთ "რევოლუციონერის კატეხიზმომ" წარუშლელი კვალი დატოვა. ამერიკული შავი პანტერების ბელადი ელდრიჯ კლივერი აღიარებდა, რომ ის "პირდაპირ შეყვარებული იყო კატეხიზმოში", გერმანული წითელი არმიის ფრაქციის წევრი ჰორსტ მალერისათვის ნეჩაევი იდეალი იყო.

ლიტერატურისთვისაც ცოცხალია ნეჩაევი. მწერალმა ხორხე სემპრუნმა, ყოფილმა კომუნისტმა და ესპანეთის ყოფილმა კულტურის მინისტრმა, ნეჩაევის ისტორია თანამედროვე ესპანეთში და ლათინურ ამერიკაში გადაიტანა რომანში "ნეჩაევი ბრუნდება".

გაგრძელება შემდეგ ნომერში

## TV პროგრამა

16 ოქტომბერი

### რუსთავი - 2

**08.00** კლასიკა **08.30** მულტსერიალი "დათვების ქალაქის ზღაპრები" **09.00, 12.00, 15.00** კურიერი **09.20** "ჯეტექსი" **11.00** სერიალი "დაკარგული ქალაქის მაძიებლები" **12.20** "გაიღიმეთ ფარული კამერაა" **12.50** მხ. ფილმი "სტალკერი" **15.20** სერიალი "წმინდა ინგლისური მკვლე ლობები" **17.00** სერიალი "მარკო პოლო" **18.00, 21.00, 01.00** კურიერი **18.20** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **18.50** მხ. ფილმი "მე დინა ვარ" **22.00** "ფსიქო"- "მდგმური". რეჟ. რომან პოლანსკი (18). **01.20** მხ. ფილმი "ექსპერიმენტი" (18).

### TV5

**06.15, 08.00,** 10.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.00, 20.00, 24.00,** 02.30(შვეიცარია), 02.55(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.00** ყავა ან ჩაი. საუბრები მრგვალი მაგიდის გარშემო. **08.25** საბავშვო გადაცემა კარინ დელფინისთან ერთად. "ბიდუმ ბიდუმ" **12.15** გამოსაშვები კლასი. მხ.ფილმი. რეჟისორი ედვინ ბეილი. 2004. **14.05** არტ რეპორტაჟი. **18.35** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **19.05** შავი მუსიკის ისტორია. დოკ. ფილმი. **20.25** სამძებრო პოლიცია. ტელესერიალი. **23.00** ქვების ტყე. დოკ. ფილმი. **04.20** პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება.

### პირველი არხი

**08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.00** მოამბე **08.15** მხ. ფილმი "ერთი ბედის ანოტაცია" (გ) **10.00** იმღერე რამე **10.30** საცირკო სანახაობა **11.00** მხიარული კარუსელი **11.30** საქართველო არის ესე **12.10** ჩოგბურთელ ვაჟთა საერთ. ტურნირი **15.15** ჩოგბურთელ ვაჟთა საერთ. ტურნირი **18.00** ვესტნიკი **18.45** "იმღერე რამე" **19.15** ტელეზღაპარი **19.25** "დრო და ადამიანები" - ნ. მარი **19.40** "ეთნოგრაფიული ჩანახატი" **20.35** ფორტუნა **21.15** "საღამოს საუბარი" -პომერანცევი **22.00** სპექტაკლი "კავკასიური ცრცის წრე" **00.15** მხ. ფილმი "არასერიოზული კაცი" (გ)

### 202

**10.00** ქართული ესტრადის ვარსკვლავები **13.00** რეტროსპექტული ჩვენება - ჩარლი ჩაპლინი **20.00** ქართული ესტრადის ვარსკვლავები **22.00** რეტროსპექტული ჩვენება - ჩარლი ჩაპლინი

### კავკასია

**14.00, 17.00** ქართული მუსიკა **16.00** სერიალი "ნარჩიტა მომღერალი ჩიტია" მე-4ს. **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** "ცნობილი ადამიანების უცნობი წლები" **19.40** "საწინდარი" **21.00** "ილუზიონი". მხ. ფილმი "გრძელი ღამე" (გ) **00.30** ქართული მუსიკა

### მზე

**09.00** მუსიკა მზეზე **09.30** მულტსერიალი "სქელი ძაღლი მენდოზა" **10.00** საბ. სერიალი "ჩემი მეგობარი უცხოპლანეტელია" **10.30** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **11.30** შემეცნებითი პროგრამა "ყველაზე, ყველაზე" **12.30** შემეცნებითი-გასართობი პროგრამა "ფოკუსის ისტორია" **13.00** სერიალი "კარაბინერები" **14.00, 17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **14.15** მხ. ფილმი "ბოროტმოქმედები" (გ) **16.15** მუსიკა მზეზე **16.30** "ფარული კამერა" **17.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **17.50** შემეცნებითი პროგრამა "ყველაზე, ყველაზე" **18.50** მუსიკა მზეზე **19.00** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **20.30** სერიალი "კარაბინერები" **21.30** კრიმ. დრამა "ტაქსის მძღოლი" **22.30** მხ. ფილმი "როგორ გახდე ვარსკვლავი" (გ) (რიშარ ბერი)

**18.00** მინისერიალი "პედიატრები" მე-3ს. **20.00** დოკ. ფილმი **20.30** სილუეტი **21.30** დოკ. ფილმი **22.20** მხ. ფილმი "მარტოსული ვარსკვლავის შტატი" (18)

### მეორე არხი

**19.00** საქ. პარლამენტის მაჟორიტარ კანდიდატთა შუალედური არჩევნები **20.00** მულტფილმი "მარსუპილამი" **20.25** "იმღერე რამე" **20.55** ასე ვცხოვრობთ **21.20** მუს. ოქტაგონი **22.00** ქიმერიონი - მ. დოიჯაშვილი **22.40** მხ. ფილმი "ცარიელი სივრცე" (გ)

### იმედი

**09.00** ანიმაციური ფილმი "ჰანსი და ვერცხლის ფიგურები" 1-2ნ. **10.00** მხ. ფილმი "დეტექტივთა კლუბი საგანძურის ძიებაში" (გ) **11.15, 03.00** იმედის მელოდიები **11.30** "იმედითა შენითა" **11.45** "კლიპ-ლოტო" **12.40, 16.15, 02.30** ტვ-მარკეტი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 23.15** ქრონიკა **13.30** მხ. ფილმი "სილამაზის სალონი "ვენერა" (გ) (ნ. ბეი) **15.15** უცნობი საქართველო **15.40** "წუთისოფელში" - "კავთისხევი" მე-4 გადაცემა **16.30** "პირველი ნახევარი" **17.10** დოკ. სერიალი "მშვიდობით მე-20 საუკუნევ" **18.05** "პირველი ნაბიჯი" **19.30** ვაკაჭი-ნიუსი **20.05** მხ. ფილმი "ლეონი" (გ) (ჟან რენო) **22.30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. **00.20** "ნადიმი ჯ. კაშიასთან ერთად" **01.35** სერიალი "ნეშ ბრიჯესი"

### ОРТ

**06.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **06.10** Полном. мультфильм "Тысяча и одна история кролика". Часть 1. **06.40** Сериал **"ПРИКЛЮЧЕНИЯ МОЛОДОГО ИНДИАНЫ ДЖОНСА". 08.20** Играй, гармонь любимая! **09.00** Слово пастыря. **09.10** Здоровье. **10.20** "Смак" **10.40** "Михаил Козаков: от 7 до 70". **11.30** "Спасатели. Экстренный вызов". **12.10** "История с географией". "Прирожденные охотники". **13.10** Тайны века. "Мартин Борман. Советский шпион". **14.00** Умницы и умники. **14.50** Дисней-клуб: "Приключения Мики и Дональда". **15.10** "Пестрая лента". "Дети "Покровских ворот". **16.00** "КВН-2004". Премьер-лига. Первый полуфинал. **17.50** Золотые годы Микки Мауса. Впервые в России. **18.10** "Ералаш". **18.40** Криминальная Россия. "Бриллианты для мафии". **2**-я с. **19.10** "Новые русские бабки". **20.00** "Кто хочет стать миллионером?" **21.00** Время. **21.20** "Последний герой". Суперигра. **22.40** "Золотой граммофон". **23.40** Пирс Броснан в детективе **"ПОРТНОЙ ИЗ ПАНАМЫ" 01.40** Джулия Робертс в комедии **"СТАЛЬНЫЕ МАГНОЛИИ" 04.00** Сериал "Специальное подразделение II". **05.30** Сериал "Все путешествия команды Кусто". "Дети риса и пороха".

### НТВ

**06.25** Стивен Сигал в боевике **"В ОСАДЕ". 08.00, 10.00, 13.00, 16.00, 19.00** Сегодня **08.15** Мультфильмы "Рикки-Тикки-Тави", "Пес в сапогах". **08.55** "Без рецепта". Доктор Бранд. **09.25** "Дикий мир" **10.20** Дмитрий Рогозин в программе "Растительная жизнь". **10.55** Кулинарный поединок. **11.55** Квартирный вопрос. **13.20** Особо опасен! **14.00** Сергей Варчук в фильме **"НЕ МОГУ СКАЗАТЬ "ПРОЩАЙ" 16.20** "Женский взгляд". Валентина Шарыкина. **16.55** Своя игра. **17.55** Сериал **"АДВОКАТ: ДЕЛО ПРОСТЫХ ЛЮДЕЙ". 19.40** Профессия - репортер. **20.10** Михаил Пореченков в сериале **"АГЕНТ НАЦИОНАЛЬНОЙ БЕЗОПАСНОСТИ-5: ДВЕ МОНЕТКИ"**. Часть 1. **21.20** Константин Хабенский в фильме **"В ДВИЖЕНИИ"**. **23.25** Костя Цзю. Лучшие бои. **Костя Цзю - Хуго Пинеда. 00.05** Юлия Маярчук в фильме **"НАРУШАЯ ЗАПРЕТЫ" 01.55** "ПроЯвление". Футбольные истории. **02.30** Сериал **"КЛАН СОПРАНО". 04.30** Ричард Дрейфус в боевике **"ЛАНСКИ"**

# პირველად „ოსკარზე"

თებერვლამდე კიდევ ბევრი დარჩა, მაგრამ "ოსკარის" თემის გარშემო ახალი ამბების დინება უკვე გაიხსნა. 2005 წლის შოუს ამერიკელი კომიკოსი კრის როკი უმასპინძლებს - ეს ცნობათაგან ერთ-ერთი პირველია.

39 წლის შავკანიანი მსახიობი მაყურებლის გაცინებას კომედიებში "ქვეყნის მეთაური", "ცუდი კომპანია" და "დოგმა" მშვენივრად ახერხებდა და "ოსკარის" ცერემონიის პროდიუსერს ჯილ ქეითსს დიდი იმედი აქვს, რომ კრის როკი დარბაზში შეკრებილი ვარსკვლავური პუბლიკის გართობასაც შეძლებს.

როკი პირველად დიდებას 1987 წელს გამოსულ ფილმში "ბევერლი ჰილსელი პოლიციელი-2" ეზიარა, სამი წლის განმავლობაში მონაწილეობდა პოპულარულ კომედიურ ტელესერიალში "შაბათი ღამის ცოცხალი ეთერი" და ასე თანდათან იმყარებდა პოპულარობას. საბოლოოდ, მან იმდენი მოახერხა, რომ ტელე-სერიალში შესრულებული როლისთვის სამი "ემის" ჯილდო მოიპოვა, მერე კი ორი "გრემითაც" დაჯილდოვდა ფილმების თანხლები მუსიკალური ალბომებისთვის. და ახლა მას მორიგი ბედნიერება დაატყდა თავს - "ოსკარის" შოუს მასპინძლობა, ისეთი ცნობილი და გამოცდილი შოუმენების შემდეგ, როგორიც ვუპი გოლდბერგი, სტივ მარტინი და ბილი კრისტალი არიან.

ჟურნალისტები კი წინასწარ იცინიან შოუზე, რომლის სცენარი ჯერ ჩანასახშიც არ არის. ამ სიცილის მიზეზი, ცხადია, კრის როკია, რომელსაც "ინთერთეინმენთ უიქლიმ" "ამერიკის ყველაზე პროვოკაციული კომიკოსი" უწოდა და სასაცილო ადამიანების სიაშიც პირველ ადგილზე გაიყვანა. სწორედ კრის როკის პერსონის არაორდინარულობის გამო, აღნიშნა ერთმა მიმომხილველმა: "როგორ გაუმართლა ტელე-არხ "ეი ბი სი"-ს, რომ უკვე დაუშვა პირდაპირი ეთერის ხუთწამიანი დაგვიანებით გადაცემის პრეცედენტი შარშან" - თორემ, ვინ იცის, რას წამოროშავს შავკანიანი კომიკოსი.




ცერემონიალის პროდიუსერი ქეითსი კი მაინც ჯიუტად აცხადებს, რომ როკი მას ყოველთვის სიცილს გვრის და ყოველთვის საინტერესო რაღაცებს ამბობს.

კინოაკადემიის აღმასრულებელი დირექტორი ბრიუს დეივისი კი როკის არჩევას უფრო სხვა მიზეზით ხსნის. "ლოს ანჯელეს თაიმსთან" ინტერვიუში ის აცხადებს, რომ როკი მასპინძლად აირჩიეს ახალგაზრდა მამაკაცი მაყურებლების მისაზიდად, რომლებიც, წლევანდელი გამოკითხვების მიხედვით, "ოსკარს" აღარ უყურებენ.

მათ დასაინტერესებლად როკის გარდა სხვა ხერხიც არსებობს, მაგალითად, ისეთი ფილმი, როგორიც "ტიტანიკია": იმ წელს, როცა ჯეიმს კამერონის ფილმმა წაზიდა შინ "ოსკარის" ჯილდოები შოუს 18-34 წლის მამაკაცების უმრავლესობა ადევნებდა თვალს - ამ ასაკის ამდენი მაყურებელი მანამდე "ოსკარს" მთელი 12 წლის განმავლობაში არ ჰყოლია.

კიდევ არის ფილმების კატეგორია, რომლებიც ახალგაზრდა მამაკაც მაყურებელს "ოსკარის" ცერემონიალის დროს ტელევიზორთან აბამს. ეს "ბეჭდების მბრძანებლის" ჟანრია, ანდა "გლადიატორის".

თუმცა, წელს არც "ტიტანიკი" გვაქვს, არც "გლადიატორი" და არც "ბეჭდების მბრძანებელი", ამიტომ მამრობითი სქესის ახალგაზრდა წარმომადგენლების დაინტერესება და გართობა ისევ კრის როკმა უნდა აიღოს საკუთარ თავზე.

ის კი არავინ იცის, რას მოიმოქმედებს. კრის როკი ხომ ის კაცია, რომელსაც ძალიან უყვარს რასიზმსა და აბორტებზე ლაპარაკი და რომელიც 1998 წლის "ვენითი ფეარის" გარეკანზე თეთრად გადაღებელი სახით გამოჩნდა. გარდა ამისა, მასთან ინტერვიუს ჩაწერის შემდეგ, უკლებლივ ყველა ჟურნალისტი ყველაზე სასაცილო კაცად ნათლავს ამერიკაში, მაგრამ თან ისეთ ზედსართავებსაც იშველიებენ, როგორიც "უზრდელი" და "უხეშია".

თუმცა, ყველაფერი წინ არის. ბილი კრისტალის და სტივ მარტინის განმეორებითი მასპინძლობის შემდეგ, იქნებ "ოსკარის" ცერემონიალში ახალი სისხლის შეშვებამ, მართლაც, დადებითად იმოქმედოს შოუზე. მაყურებელი კი წინასწარ მოემზადება რაიმე ორიგინალურის და შეიძლება ცოტა არაკორექტულის მოსასმენად - კრის როკისგან ხომ ყველაფერია მოსალოდნელი. მანამდე კი, ზუსტად 25 იანვარს "ოსკარის" ნომინაციები გახდება ცნობილი. თვითონ შოუ კი 27 თებერვალს გაიმართება.

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- კლავიატურაზე ბეჭდვის ათითითიანი მეთოდი.
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word.
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა.
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge










## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.